

178  
1965 / 2.




# სახვრთა სამართალი

საქართველოს კვლევითი კომიტეტის გამომცემლობა

1965

5



# საბჭოთა სამართალი

## № 5

სექტემბერი-ოქტომბერი

1965 წელი

გამოცემის XII

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო  
**ო რ თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი**

### უ ი ნ ა ა რ ს ი

მოწინავე — სოციალისტური სახელმწიფო საწარმო-სახალხო მეურნეობის ძირითადი რგოლი	3
ა. შუშანაშვილი — სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის მომენტის განსაზღვრა და მისი მნიშვნელობა	10
გ. ნადირაძე — სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევის ობიექტი და სავანი	18
ო. მგელაძე — სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება ავტოავარიის საქმეთა გამოძიებისას	25

### კომენტარები ახალ კანონმდებლობაზე

ს. ჯორბენაძე — აღმოჩენის სამართალი	34
ლ. ისაკაძე — სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა გამოყენება ავტორის თანხმობის გარეშე	45
გ. ყოღლაია — მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების ზოგიერთ თავისებურებათა შესახებ	52

### ახალი კანონმდებლობაში

საბჭოთა გამოგონების საერთაშორისო სამართლებრივი დაცვა	62
--	----

### კონსულტაცია

ს. ჯაფარიძე — მოქალაქეთა აღმინისტრაციული წესით გამოსახლება	68
ზ. უვანია — 1864 წლის სასამართლო რეფორმა	72


### ნარკვევი

ა. აბესაძე — ვაზის ტირილი	79
ვ. სიღამონიძე — პეტრე უმიკაშვილი — ექსპერტი	84

### გოჭინავთა პორტრეტები

უანგარო ადამიანი	86
ინფორმაცია	88

9869.





## СОДЕРЖАНИЕ

Передовая — Социалистическое государственное предприятие — основное звено народного хозяйства . . . . .	3
А. Шушанашвили — Определение момента привлечения к уголовной ответственности и его значение . . . . .	10
Г. Надирадзе — Объект и предмет нарушения правил о валютных операциях	18
О. Мгеладзе — Применение научно-технических средств при расследовании автоаварийных дел . . . . .	25

### КОММЕНТАРИИ К НОВОМУ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВУ

С. Джорбенадзе — Право на открытие . . . . .	34
Л. Исакадзе — Пользование произведениями изобразительного искусства без согласия автора . . . . .	45
Г. Колбая — Некоторые вопросы советского уголовного процесса в новых УПК союзных республик . . . . .	52

### НОВОЕ В ЗАКОНОДАТЕЛЬСТВЕ

Международноправовая охрана советского изобретения . . . . .	62
--	----

### КОНСУЛЬТАЦИЯ

С. Джагаридзе — Выселение граждан из жилого помещения в административном порядке . . . . .	68
З. Жвания — Судебная реформа 1864 года . . . . .	72

### ОЧЕРК

А. Абесадзе — Плач виноградной лозы . . . . .	79
В. Сидамонидзе — Петр Умикашвили — эксперт . . . . .	84

### ПОРТРЕТЫ ПЕРЕДОВЫХ

Бескорыстный человек . . . . .	86
Информация . . . . .	88

შგვ. № 3578  
 ტირაჟი 5000  
 უგ 09110

**სარედაქციო კოლეგია**  
 ა. კაციტაძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი,  
 ვ. ბერძენიშვილი, ი. დოლიძე, გ. ინწკირველი,  
 მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, თ. წერეთელი,  
 ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—9-09-62

გადაეცა წარმოებას 14/X-65 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/1-66 წ. ანაწყოების ზომა 7x12; ქაღალდის ზომა 70x108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმარაოდენობა 6.

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14  
 Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

## სოციალისტური სახელმწიფო სანაგმო—სახალხო მუხანაობის ძირითადი კვლევა

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს მშრომელები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს მრეწველობის მართვის, დაგეგმვის სრულყოფისა და სამრეწველო წარმოების ეკონომიური სტიმულირების შესახებ. პლენუმის დადგენილებებმა სოციალისტური მრეწველობის წინაშე დასახეს შემდგომი მძლავრი აღმავლობის ნათელი პერსპექტივები, რომელთა განხორციელებისათვის ბრძოლა საბჭოთა ხალხის სამოქმედო პროგრამად გადაიქცა.

პლენუმის დადგენილებაში მრეწველობის მართვის ძველი სისტემის ნაკლოვანებათა შორის მითითებულია საწარმოებში სამეურნეო ანგარიშის ფორმალურ ხასიათზე და სამეურნეო საქმიანობაში საწარმოთა უფლებების შეზღუდულობაზე. წარმოების კონცენტრაციის ზრდისა და საწარმოო კავშირთა გაფართოების პირობებში სამეურნეო დამოუკიდებლობის არსებული ფარგლები ვიწრო აღმოჩნდა თანამედროვე სოციალისტურ საწარმოთათვის. იგი ბოჭავდა მათ შესაძლებლობებს შრომის ნაყოფიერების და წარმოების ეფექტურობის ამაღლების საქმეში. აუცილებლად იქნა მიჩნეული სამეურნეო საკითხების გადაჭრაში საწარმოთა დამოუკიდებლობის შემდგომი გაფართოება, მათი გათავისუფლება წვრილმანი მეურვეობისაგან.

პარტიის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებით გადაჭრილია როგორც სამრეწველო, ისე მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოების სამეურნეო საქმიანობის მომწიფებული საკითხები. დიდად არის გაფართოებული საწარმოთა სამეურნეო ინიციატივა და დამოუკიდებლობა, დასახულია რეალური შესაძლებლობანი სოციალისტურ საწარმოთა სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისათვის.

ჩვენს სამეურნეო კანონმდებლობაში აქამდე მოქმედებდა სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ 1927 წლის 29 ივნისის დადგენილებით დამტკიცებული დებულება სახელმწიფო სამრეწველო ტრესტის შესახებ, რომელიც სამრეწველო ტრესტის ორგანიზაციულ სტრუქტურას, კომპეტენციას, მისი ლიკვიდირების საკითხებს აწესრიგებდა და ტრესტში შემავალ საწარმოთა საქმიანობის შესახებ მარტოოდენ რამდენიმე ძირითად დებულებას შეიცავდა საწარმოს დირექტორის უფლებამოვალეობათა მოკლე ჩამოთვლის სახით. ამ დებულების მიხედვით ტრესტში შემავალ ცალკეულ საწარმოთა მართვა ევალებოდა ტრესტის გამგეობის მიერ დანიშნულ და ერთმართველობის საწყისებზე მოქმედ დირექტორს, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა საწარმოს ყველა



ობერაციებს, განკარგავდა მინდობილ ქონებას, პასუხს აგებდა მის დაცვაზე და სამეურნეო საქმიანობაზე (დებულების 24-36 მუხლები).

საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის 5 დეკემბრის დადგენილებაში „მრეწველობის მართვის რეორგანიზაციის შესახებ მითითებული იყო, რომ „საწარმო წარმოადგენს მრეწველობის მართვის ძირითად რგოლს. ამიტომ საწარმოს ტექნიკური მომსახურება, მომარაგების სწორი ორგანიზაცია, საწარმოს შიგნით შრომის უფრო სრულყოფილად მოწყობა, წარმოებაში ერთმმართველობის სრულად გატარება, საწარმოს მუშა კოლექტივის და ტექნიკური პერსონალის მაქსიმალური აქტიობისათვის უფრო კეთილსასურველი პირობების შექმნა, კვალიფიცირებულ ადმინისტრაციის შერჩევა, საწარმოს დამოუკიდებლობის აუცილებელი ზომა წარმოადგენს სოციალისტური მართვის სისტემის შემდგომი გაუმჯობესების საფუძველს“.<sup>1</sup> ამ დადგენილების თანახმად საფინანსო-საგეგმო დისციპლინის მკაცრი დაცვის მეოხებით მოცემული ლიმიტების ფარგლებში საწარმო დამოუკიდებელი უნდა იყოს. სამეურნეო ანგარიშზე საწარმოთა გადაყვანა ავლენს საწარმოს სახეს, ხელს უწყობს წარმოების რაციონალიზაციას, ბრძოლას უცხადებს ბიუროკრატიზმს და საქმის გაჭიანურებას.

სამეურნეო საქმიანობაში საწარმოთა დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს დადგენილებას, რომლის საფუძველზე გაფართოვდა საწარმოთა დირექტორების უფლებები დაგეგმვის, კაპიტალური მშენებლობის, საწარმოთა რეკონსტრუქციის, მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციის, შტატების, ხელფასის და ფინანსირების დარგში.<sup>2</sup> მთავრობის ამ დადგენილებამ საწარმოთა დირექტორების წინაშე დასახა ახალი ამოცანები სახელმწიფო გეგმათა შესრულების, წარმოებაში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის, შრომის ნორმირების და ორგანიზაციის, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, საწარმოთა კოლექტივის შემოქმედებითი ინიციატივის უფრო ფართოდ გაშლისა და წარმოებაში არსებულ რეზერვების ყოველმხრივი გამოყენებისათვის.

სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს ახალი დებულება ითვალისწინებს საწარმოს დანიშნულების არსებით საკითხებს, მისი ქონებრივი, მატერიალური და ტექნიკური აღჭურვილობის და საწარმოო სამეურნეო საქმიანობის ძირითად მიმართულებებს. დებულების საერთო ნაწილში მოცემულია სოციალისტურ სახელმწიფო საწარმოს, როგორც სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ძირითადი რგოლის ცნება. სახელმწიფო საწარმო გამოიყენებს რა მის გამგებლობაში ან სარგებლობაში მყოფ ქონებას, სახალხო-სამეურნეო გეგმის შესაბამისად და სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე თავისი კოლექტივის ძალებით და ზემდგომი ორგანოს ხელმძღვანელობით ახორციელებს საწარმოო-სამეურნეო საქმიანობას (პროდუქციის დამზადება, სამუშაოთა შესრულება, მომსახურების გაწევა), ასრულებს ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს და ახორციელებს უფლებებს, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი და წარმოადგენს იურიდიულ პირს.

იხ. ვაზეთი „პრავდა“ 14 დეკემბერი 1929 წელი.

<sup>2</sup> Сборник „Постановления центрального комитета КПСС и Совета Министров СССР по вопросам промышленности и строительства „Госюзрздат“,“ стр. 91.

სოციალისტურ სახელმწიფო საწარმოს ცნების ასეთ ფორმულირებასთან დაკავშირებით გადაჭრილად უნდა ჩაითვალოს დავა თითქოს სახელმწიფო საწარმოს ცნების ძირითად და სავალდებულო ელემენტს არ წარმოადგენს მისი იურიდიულ პირად ცნობა.<sup>1</sup> ამის შესახებ პასუხს იძლევიან დებულების მეორე და მეშვიდე მუხლები, რომელთა მიხედვით სოციალისტური საწარმო იურიდიული პირია. დებულების ზოგად ნაწილში მოცემულია საწარმოს დაარსების საფუძველი, მისი წესდების შინაარსი, ქონებრივი პასუხისმგებლობის ფარგლები. საწარმო პასუხს არ აგებს იმ ორგანიზაციის ვალდებულებებზე, რომელსაც ემორჩილება, აგრეთვე სახელმწიფოს ვალდებულებებზე, ისე როგორც სახელმწიფო არ აგებს პასუხს მის ვალდებულებებზე. დებულების ამ ნაწილში დაზუსტებულია საკითხი, რომელიც ადრე სათანადოდ არ იყო განმარტებული, სახელდობრ რა შემთხვევაში წარმოადგენს კომბინატი, ტრესტი ან ფირმა საწარმოს? დებულებით ეს საკითხი შემდეგნაირად არის რეგლამენტირებული: თუ კომბინატის, ტრესტის, ფირმის შემადგენლობაში შედიან საწარმოო ერთეულები, რომელნიც არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ საწარმოებს, კომბინატი, ტრესტი, ფირმა მოქმედებს ამ დებულების შესაბამისად როგორც საწარმო, ხოლო თუ მათ ექვემდებარებიან დამოუკიდებელი საწარმოები, მათ მიმართ ისინი მოქმედებენ როგორც სამეურნეო მმართველობის ორგანოები.

საწარმოს საწესდებო ფონდს შეადგენს ძირითადი და საბრუნავი საშუალებანი, რომელთა ოდენობა აისახება საწარმოს ბალანსში.

საწარმოს შეაქვს საამორტიზაციო ანარიცხები კაპიტალური რემონტისათვის და ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის. კაპიტალური რემონტისათვის განკუთვნილი საამორტიზაციო ანარიცხები შეადგენს საწარმოს ფონდს და ვიზნარჯება მის მიერ როგორც კაპიტალურ რემონტზე, ისე ძირითადი ფონდების მოდერნიზაციაზე და აგრეთვე ამ სამუშაოთა შესრულებისათვის საჭირო დეტალებისა და კვანძების შესაძენად და გაცვეთილი დეტალებისა და კვანძების შესაცვლელად. იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ეკონომიურად უფრო მიზანშეწონილია, კაპიტალური რემონტის მაგიერ საწარმოს შეუძლია შეიძინოს ახალი მოწყობილობა კაპიტალური რემონტისათვის განკუთვნილი საამორტიზაციო ანარიცხებიდან. საამორტიზაციო ანარიცხების სახსრების უფრო რაციონალურად გამოყენების მიზნით, რომელიც კაპიტალური რემონტისათვისაა განკუთვნილი, საწარმო აძლევს ზემდგომ ორგანოს ამ ანარიცხების საერთო მოცულობის 10 პროცენტს ისეთ საწარმოთათვის დახმარების გასაწევად, რომელთაც არ აქვთ საკმარისი საბრუნავი საშუალებანი კაპიტალური რემონტის გასახორციელებლად. საამორტიზაციო ანარიცხები ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის წარიმართება კაპიტალურ დაბანდებათა ფინანსირებისათვის თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა.

გვემის შესრულებისათვის საწარმოს კოლექტივის მატერიალური დაინტერესებისა და წარმოების რენტაბელობის უზრუნველყოფის მიზნით საწარმოს განკარგულებაში გადადის მიღებული მოგების (თვითღირებულების შემცირებით მიღებული ეკონომიიდან) ანარიცხები, რომელიც შეადგენს წარმოების ფონდს მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა

<sup>1</sup> იხ. მაგალითად Д. М. Генкин. Правовое положение государственного социалистического предприятия—„Советское Государство и право“, 1965 г., № 9, стр. 71—73.



და წარმოების სრულყოფისათვის. საწარმოს ფონდიდან სახსრები შეიძლება გაიხარჯოს ახალი ტექნიკის ღონისძიებების განხორციელებისათვის, მოწყობილობის მოდერნიზაციისათვის, წარმოების გაფართოებისათვის, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის, საბინაო ფონდის რემონტისათვის, ინდივიდუალური პრემიებისათვის, მუშაკთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, საწარმოს საექიმო-სანიტარულ დაწესებულებისათვის მედიკამენტების შესაძენად, დასასვენებელი სახლების და სანატორიუმების საგზურებისათვის და მუშაკებზე ერთდროული დახმარების მიცემისათვის. არ დაიშვება ზემდგომი ორგანოს მიერ საწარმოს ფონდიდან სახსრების ამოღება და გადანაწილება.

წარმოების ნარჩენებიდან დამზადებულ ფართო მოხმარების საქონლის და ნაკეთობათა რეალიზაციით მიღებული მოგება მთლიანად რჩება საწარმოს განკარგულებაში და მოიხმარება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესისამებრ.

საწარმო უფასოდ, ბალანსიდან ბალანსზე, გადასცემს საწარმოს პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სასპორტო ინვენტარს, რაც შეძენილია საწარმოს ფონდის, ფართო მოხმარების ფონდის და სოციალისტური შეჯიბრების სახსრებიდან. იგი აგრეთვე უფასოდ აძლევს საწარმოსთან არსებულ საექიმო-სანიტარულ დაწესებულებას (პუნქტს) შენობას, გათბობის, განათების, წყლით მომარაგების, დაცვის, დალაგების და რემონტის უზრუნველყოფით. ასევე შეუძლია მას უფასოდ დაუთმოს მასთან არსებულ მუშა (სოფლის) ახალგაზრდობის სკოლას, კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს, ტექნიკუმს და სხვას შენობები სასწავლო მიზნით, საჭირო მოწყობილობა, ხელსაწყოები, ინსტრუმენტები რემონტის და სამეურნეო მომსახურების უზრუნველყოფით. საწარმოს უფლება აქვს გაასხვისოს სხვა საწარმოებზე ან ორგანიზაციაზე ზედმეტი და გამოუყენებელი მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, ხელსაწყო ინსტრუმენტები, ინვენტარი, ნედლეული, მასალა, სათბობი და პროდუქციული საქონელი, თესლი და საკვები იმ პირობით თუ ზემდგომი ორგანო უარს განაცხადებს ზემოთ ჩამოთვლილ ნამეტობათა გადანაწილებაზე ან ერთი თვის ვადაში პასუხს არ მიიღებს ნამეტობათა შესახებ შეტყობინების დღიდან.

საწარმო უზრუნველყოფს გამოშვებული პროდუქციის მაღალ ხარისხს და ახალი ტექნიკის, მოწინავე გამოცდილების მიღწევათა, სახალხო მეურნეობის საჭიროებათა, საბჭოთა საზოგადოების ესთეტიურ მოთხოვნილებათა საფუძველზე გამოშვებული პროდუქციის სრულყოფას. იგი ორგანიზებულად წარმართავს წარმოების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საქმეს. დამტკიცებული გეგმის და დადებულ ხელშეკრულებების შესაბამისად ახორციელებს პროდუქციის გამოშვებას და მიწოდებას ნომენკლატურის, ასორტიმენტის, სთანადო ხარისხის და კომპლექტურობის დაცვით; ამასთანავე პირველ რიგში უზრუნველყოფს პროდუქციის მიწოდებას საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის. საწარმოს მიერ პროდუქციის მიწოდების გეგმების და დავალებათა შეუსრულებლობა წარმოადგენს სახელმწიფო დისციპლინის უხეშ დარღვევას და გამოიწვევს დამნაშავე თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობას.

ღებულების 30-ე მუხლის თანახმად საწარმოს ევალება ყოველმხრივ განავითაროს და განამტკიცოს პირდაპირი სამეურნეო კავშირული თეორია დამამ-

ზადებელ საწარმოებსა და მომხმარებელ ორგანიზაციებს შორის, ამ უკანასკნელთა სათანადო ხარისხის და მათთვის საჭირო ნომენკლატურისა და ასორტიმენტის პროდუქციით უზრუნველყოფისათვის. ამასთანავე სახალხო მოხმარების საქონლის დამზადება და მიწოდება უნდა ემყარებოდეს სავაჭრო ორგანიზაციების შეკვეთებს და მათთან დადებულ ხელშეკრულებებს.

სოციალისტური სახელმწიფო საწარმო განაგებს თავის საფინანსო რესურსებს, უზრუნველყოფს სახსრების ხარჯვაში მაქსიმალურ ეკონომიას და მიზნობრიობას, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტთან, საბანკო ორგანოებთან, მიმწოდებლებთან, მენარდებთან და სხვა ორგანიზაციებთან დროულ ანგარიშსწორებას. იგი მუდმივად სრულყოფს თავის სტრუქტურას, წარმოების მართვის ხარჯების მაქსიმალური შემცირებით, ქმნის პირობებს მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის, შრომის ნაყოფიერების მუდმივი ზრდისათვის, უზრუნველყოფს შრომის კანონმდებლობის, ტექნიკური უსაფრთხოების, საწარმოო სანიტარიის, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის წესების და შრომის დისციპლინის დაცვას, ატარებს გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს, ზრუნავს კადრების მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. საკონტროლო ციფრების საფუძველზე, მუშა-მოსამსახურეთა ფართო მონაწილეობით საწარმო შეიმუშავებს პერსპექტულ და წლიური გეგმების პროექტებს მისი საქმიანობის ყველა სახეების მიხედვით, დადგენილი მაჩვენებლების შესაბამისად, სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა და მომხმარებლებთან, გამსაღებელ და სავაჭრო ორგანიზაციებთან დამყარებული სამეურნეო კავშირთა თვითობათა შემდგომი განვითარების გათვალისწინებით.

დადგენილი მაჩვენებლებისა და დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად საწარმო ადგენს გაშლილ ტექნიკურ სამრეწველო-საფინანსო გეგმას საწარმო-სამეურნეო საქმიანობის კვარტალურ და თვიურ გეგმებს, რომელიც მტკიცდება დირექტორის მიერ. შემდგომი ორგანო უზრუნველყოფს საწარმოს სათანადო მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსებით და საგეგმო დავალების შესრულებისათვის აუცილებელი შრომის ხელფასით.

საწარმოს უფლება აქვს მიიღოს სხვა საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან შეკვეთები გეგმის ზევით პროდუქციის დამზადებაზე და სამუშაოთა შესრულებაზე შემკვეთის ნედლეულითა და მასალებით ან თავისი მასალით წარმოების ნარჩენებიდან, თუ ეს ზიანს არ მიაყენებს მისთვის დადგენილ სახელმწიფო გეგმის და ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებას.

კაპიტალურ მშენებლობას და ძირითადი ფონდების რეკონსტრუქციას საწარმო ახორციელებს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებთან დადებულ სანარდო ხელშეკრულებებით. ეკონომიური თვალსაზრისით, როცა სანარდო წესით მშენებლობის წარმოება მიზანშეწონილი არ არის, ასეთი სამუშაოები შეიძლება განხორციელდეს სამეურნეო წესით.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების დარგში დებულებით განსაზღვრულია საწარმოს უფლებები მისი საწარმოო საქმიანობისათვის საჭირო მოწყობილობის, ნედლეულის, მასალის, სათბობის და სხვა მატერიალურ ფასეულობათა შექმნის და გამოიმუშავებული პროდუქციის გასაღების დარგში, მიწოდების ხელშეკრულებათა ან შესასრულებლად მიღებულ განრიგების მიხედვით. დებულების 68-ე მუხლი უფლებას ანიჭებს საწარმოს გასაღოს სხვა





სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებზე და ორგანიზაციებზე, მათ შორის კოლმეურნეობებზეც პროდუქცია, რომელიც განრიგების მიხედვით არ საღდება.

დებულებით გათვალისწინებულია საწარმოს უფლება უარი თქვას ზედმეტ და არა საჭირო პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულებაზე და უარის შესახებ აცნობოს მიმწოდებელს, ფონდის ხელთქონეს და განრიგის გამცემ ორგანოს 10 დღის ვადაში.

დებულებით გაფართოებულია საწარმოთა უფლებები დავალიანებათა ზარალში ჩამოწერის საქმეში. ზემდგომ ორგანოზე შეტყობინებით მას უფლება აქვს ზარალში ჩამოწერის ხანდაზმული დებიტორული დავალიანება და მისჯილი ვალი, რომელზედაც დაბრუნებულია სააღსრულებო დოკუმენტაცია, სასამართლოს მიერ დამტკიცებული არქონების აქტით მოვალის ვალაუფალობისა და მის ქონებაზე გადახდევინების მიქცევის შეუძლებლობის გამო, აგრეთვე სხვა დავალიანება, რომელიც საწარმოს მიერ უიმედოდ არის მიჩნეული. რაც შეეხება ნორმის ზევით ფასეულობათა დანაკლისებს, აგრეთვე საქონლის, მასალის და პროდუქციის გაფუჭებას, როცა კონკრეტული დამნაშავე დადგენილი არ არის, წარმოებას ზემდგომ ორგანოზე შეტყობინების გზით უფლება აქვს ჩამოსწეროს ბალანსიდან ასეთი თანხები ყოველ ცალკეულ შემთხვევაში 100 მანეთის ფარგლებში (სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1963 წლის ნოემბრის № 322 ინსტრუქციული წერილის თანახმად ასეთის ჩამოწერა ბდებოდა ზემდგომი ორგანიზაციის ნებართვით).

ადმინისტრაციული სამმართველოს ხარჯების ხარჯთაღრიცხვას საწარმო ადგენს ხელფასის საერთო ფონდის და ადმინისტრაციული სამმართველო ხარჯების ასიგნებათა სახსრების ყოველმხრივი ეკონომიის გათვალისწინებით. ეს ხარჯთაღრიცხვა მტკიცდება საწარმოს დირექტორის მიერ. საწარმოს უფლება აქვს ცალკე ბალანსზე გამოჰყოს თავის საწარმოები და მეურნეობანი, რომელთა ვალდებულებების შესრულებაზე პასუხს აგებს საწარმო.

გაფართოებულია საწარმოთა უფლებები შრომისა და ხელფასის დარგში. საწარმო შეიმუშავებს თავის სტრუქტურასა და შტატს ტიპიური სტრუქტურის და შტატების შესაბამისად. საწარმოს სტრუქტურა და შტატი მტკიცდება დირექტორის მიერ. საწარმოს დირექტორი მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ამტკიცებს და ცვლის ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების და მოსამსახურეთა ხელფასის განაკვეთებს სათანამდებო განაკვეთების სქემის თანახმად ხელფასის ფონდის ფარგლებში, აგრეთვე საშტატო განრიგის საშუალო ხელფასის მიხედვით.

დებულების ნოველა აგრეთვე გამოიხატება მაში, რომ დირექტორის მიერ დამტკიცებული საწარმოს შტატი, ხელფასის განაკვეთები და ადმინისტრაციული სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვა საფინანსო ორგანოებში რეგისტრაციას არ მოითხოვს.

საწარმოს უფლება აქვს დაუწესოს მაღალკვალიფიციურ ოსტატებს და სხვა ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს ხელფასზე დანაშატი სათანამდებო განაკვეთის 30 პროცენტამდე ოდენობით ხელფასის ფონდის ფარგლებში, გამოიყენებს რა ამ მიზნით ზემდგომ ორგანოს ნებართვით საწარმოს საგეგმო ფონდის 0,3 პროცენტს.

საწარმოს უფლება აქვს განსაკუთრებულ შემთხვევაში გასცეს ცალკეულ

მუშაკებზე არავეგმიური ავანსი ხელფასის ანგარიშში არაუმეტეს ერთი თვის ხელფასის ოდენობით.

უხელფასო შევებულების მიცემა ზუსტად არის რეგლამენტირებული შრომის კანონმდებლობით. დებულების 87-ე მუხლით გათვალისწინებულია აუცილებლობის შემთხვევაში მოკლევადიანი შევებულების მიცემა მუშაკებზე მათი თხოვნის შესაბამისად ხელფასის შეუნახავად. საწარმოს უფლებათა ჩამონათვალში გათვალისწინებულია მოწინავე მუშათა და მოსამსახურეთა უმაღლეს სასწავლებლებში გაგზავნისა და მათზე გადიდებული სტიპენდიების გაცემა იმ პირობით, რომ ეს პირნი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ დაბრუნდებიან ამ საწარმოში.

საწარმოს სათავეში უდგას დირექტორი (მმართველი, უფროსი), რომელიც ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება ზემდგომი ორგანოს მიერ. იგი რაიმე მინდობილობის გარეშე წარმოადგენს საწარმოს ყველა დაწესებულებაში და ორგანიზაციაში, განაგებს კანონის შესაბამისად საწარმოს ქონებასა და სახსრებს, დებს ხელშეკრულებებს, იძლევა მინდობილობებს (მათ შორის ვადანდობის უფლებითაც), ხსნის ბანკში საწარმოს საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს, გამოსცემს ბრძანებებს, სამუშაოზე იღებს და სამუშაოდან ითხოვს მუშაკებს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად. დირექტორის მოადგილეები, მთავარი ბუღალტერი და ტექნიკური კონტროლის უფროსი ინიშნებიან და თანამდებობიდან თავისუფლდებიან დირექტორის წარდგინებით ზემდგომ ორგანოს მიერ. საწარმოს მართვა ხორციელდება ერთმმართველობის საწყისებზე. საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მუშაკთა მთელი კოლექტივი აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის, საწარმო-საქმიანობის შემდგომი განვითარება-სრულყოფისათვის და მუშაკთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავებაში.

საწარმოს ადმინისტრაცია დირექტორის სახით პროფკავშირის საქარხნო ადგილობრივ კომიტეტთან დებს კოლექტიურ ხელშეკრულებას და უზრუნველყოფს ნაკისრ ვალდებულებათა დროულად შესრულებას. მათთან ერთად ყოველმხრივ უწყობს ხელს სოციალისტურ შეჯიბრების გაშლას, აჯამებს შედეგებს, წყვეტს საკითხებს სოცშეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლექტივების წახალისებისათვის.

საწარმოს ადმინისტრაცია პროფკავშირის საქარხნო-საფაბრიკო ადგილობრივი კომიტეტის სხდომას მოახსენებს საწარმო-სამეურნეო საქმიანობის, გეგმების შესრულების, კოლექტიური ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულების შესრულების, შრომის ორგანიზაციის და პირობების გაუმჯობესების, მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და მუშა-მოსამსახურეთა კულტურული მომსახურებისათვის და მუშაობაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შედეგებზე. საწარმოებში და მსხვილ სამაქროებში, განყოფილებებში, ფერმებში მოქმედებენ საწარმოო თათბირები. საწარმოებში იქმნებიან საზოგადოებრივი კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფები და პოსტები, რომელთაც ადმინისტრაცია ყოველგვარ დახმარებას უნდა უწყევდეს მათ მუშაობაში, განიხილავდეს მათ წინადადებებს და აუცილებელ ზომებს ღებულობდეს გამოაშკარავებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

საწარმოს საქმიანობის შემოწმება ტარდება ზემდგომი ორგანოს მიერ. საწარმოს საფინანსო-სამეურნეო და საწარმოო საქმიანობის რევიზიას ატარებს

ზედგომი ორგანო დაინტერესებულ ორგანიზაციათა მონაწილეობით, კომპლექტურად, წელიწადში ერთხელ.

დებულების ბოლო ნაწილით რეგლამენტირებულია საწარმოს რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის, უფლებამონაცვლეობის, პრეტენზიების წარდგენის და მათი დაკმაყოფილების სამართლებრივი საკითხები.

ასეთია მოკლედ, დებულებით გათვალისწინებული ძირითადი მიმართულებანი სოციალისტურ საწარმოს ფუნქციების, კომპეტენციისა და საქმიანობის საკითხებში. ამ დებულების შესაბამისად საწარმოთა მუშაობის წარმართვა სოციალისტური მრეწველობის ეკონომიკის განმტკიცების საწინდარი.

ახლა, როდესაც საბჭოთა ხალხი პრაქტიკულად შეუდგა პარტიის სექტემბრის პლენუმის დადგენილებათა განხორციელებას და დიდი შრომითი აღმაშენებლის ვითარებაში ეზმადება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, ყველა მშრომელის მოვალეობაა განუხრელად დაიცვას დებულების ნორმები, პასუხისმგებლობის გრძნობით მოეპყრას სოციალისტური მეურნეობის ეფექტურად და ყაირათიანად წარმართვას, იბრძოდეს ჩვენი მრეწველობის რენტაბელობისა და სრულყოფისათვის.

# სისხლის სამართლის პასუხისმგებელი მიხედვის მომენჯის განსაზღვრა და მისი მნიშვნელობა

ა. უზუნაშვილი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საბჭოთა სისხლის სამართალწარმოების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს დანაშაულის სწრაფი და სრული გახსნა, დამნაშავეთა მხილება და კანონის სწორი გამოყენებით იმის უზრუნველყოფა, რომ თითოეული დანაშაულის ჩამდენი სამართლიანად დაისაჯოს და არც ერთი უდანაშაულო არ იქნეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემული და მსჯავრდებული (სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების მე-2 მუხლი).

ამ ამოცანიდან გამომდინარე გასაგებია თუ რა დიდი პოლიტიკური და სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემას. გარდა ამ ზოგადი, საერთო მნიშვნელობისა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის აქტის სწორად და დროულად განხორციელებას აქვს უფრო კონკრეტული პროცესუალური მნიშვნელობაც, რაც მდგომარეობს შემდეგში: ყველა იმ პროცესუალური უფლებითა და გარანტიით, რომლითაც აღჭურვილია ბრალდებული, სარგებლობს მხოლოდ ის პირი, ვინც კანონით დადგენილ საფუძველზე და წესით მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში. მხოლოდ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის შედეგად ხდება პირი ბრალდებული, პროცესუალური ურთიერთობის აქტიური მონაწილე, რომელსაც კანონით მინიჭებული აქვს ფართო უფლებები დაიცვას თავი წაყენებული ბრალდებისაგან, კერძოდ: იცოდეს რას სდებენ ბრალად, მისცეს ახსნა-განმარტება მისთვის წაყენებული ბრალდების შესახებ, წარადგინოს დამამტკიცებელი საბუთები, განაცხადოს შუამდგომლობა, შეიტანოს საჩივარი გამომძიებლის მოქმედებასა და გადაწყვეტილებაზე, მონაწილეობა მიიღოს რიგ საგამომძიებლო მოქმედებებში და სხვა. მოქმედი კანონმდებლობით არასრულწლოვანთა საქმეებზე და აგრეთვე იმ პირთა დანაშაულის შესახებ, რომლებსაც ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლიათ თვითონ განახორციელონ თავიანთი დაცვის უფლება, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის მომენტიდან საქმეში მონაწილეობისათვის დაიშვება დამცველი. და ბოლოს, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა, როგორც წესი, დაკავშირებულია მოქალაქის თავისუფლებების გარკვეულ შეზღუდვასთან. მომკვლევ პირს, განმომძიებელს, პროკურორსა და სასამართლოს უფლება აქვთ გამოიყენონ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემულის მიმართ აღკვეთის ღონისძიებანი: წაუსვლელობის ხელწერილი, პირადი ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების თავდებობა, დაპატიმრება.

მაშასადამე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის მომენტის სწორი განსაზღვრა უაღრესად საპასუხისმგებლო და სერიოზული საქმეა. ამიტომ

არის, რომ საბჭოთა კანონმდებელი, ავალდებულებს რა პროკურორს მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში დანაშაულის ჩადენაში ყველა დამნაშავე პირი, ამავე დროს მოითხოვს მისგან, რომ მკაცრად ადევნოს თვალყური, რათა არც ერთი მოქალაქე უკანონოდ და დაუსაბუთებლად არ იქნეს მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში (სსრ კავშირში საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ დებულების მე-17 მუხლი).

სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა ხდება ორი პროცესუალური მოქმედების შესრულებით: 1) გამომძიებელს გამოაქვს დადგენილება პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ და 2) უყენებს ამ პირს ბრალდებას, ე. ი. აცნობს მას დადგენილების შინაარსს და უმარტავს წაყენებულ ბრალდების არსს. ეს მეორე მომენტი პროცესუალური თვალსაზრისით რაიმე სირთულეს არ შეიცავს: კანონით დადგენილია, რომ ბრალდების წაყენება უნდა მოხდეს არა უგვიანეს ორმოცდარვა საათისა იმ მომენტიდან, როდესაც გამოტანილი იქნა დადგენილება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ, ხოლო ბრალდებულის გამოუცხადებლობის შემთხვევაში — არა უგვიანეს მისი მოყვანის დღისა (საქართველოს სსრ სსსკ 145 მუხლი).

შედარებით რთულია ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანის მომენტის განსაზღვრა. საქმე იმაშია, რომ კანონი ბრალდების წაყენების მომენტის მსგავსად კალენდარული სიზუსტით არ ადგენს იმ მომენტს, როდესაც გამომძიებელმა უნდა გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ. საქართველოს სსრ სსსკ 140 მუხლში ნათქვამია: თუ მოიპოვება საკმაო დამამტკიცებელი საბუთები, რაც საფუძველს იძლევა დანაშაულის ჩადენაში ბრალდების წაყენებისათვის, გამომძიებელს გამოაქვს დადგენილება ამ პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

ანალოგიური ნორმა მოცემულია რსფსრ (მუხ. 133), ბელორუსიის სსრ (მუხ. 142) და ლატვიის სსრ (მუხ. 145) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში.

დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსების მიხედვით, „თუ მოიპოვება საკმაო დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც მიუთითებენ გარკვეული პირის მიერ დანაშაულის ჩადენაზე, გამომძიებელს დაუყოვნებლივ გამოაქვს დადგენილება ამ პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ“ (უკრაინის სსრ სსსკ 131 მუხ., უზბეკეთის სსრ სსსკ 122 მუხ. და ა. შ.).

ამ ფორმულირებების განსხვავების მიუხედავად, ერთი რამ ცხადია: ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანის ერთადერთ საფუძველად კანონი მიიჩნევს დამამტკიცებელ საბუთებს (მტკიცებულებებს). რაც შეეხება იმას, თუ სახელდობრ რომელი მტკიცებულებები უნდა ჩაითვალოს საკმაოდ პირის ბრალდებულად პასუხისგებაში მისაცემად, ამ საკითხზე მითითება კანონში პირდაპირ არ არის მოცემული. ზოგიერთი ავტორი კმაყოფილდება მხოლოდ აღნიშნული მუხლების ანალიზით და რადგანაც აქ რაიმე კონკრეტულ კრიტერიუმს ვერ პოულობს, საერთოდ უარყოფს კანონის მოთხოვნების მნიშვნელობას ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის მომენტის განსაზღვრისათვის. ასე, მაგალითად, ვ. მ. სავიცი პირდაპირ წერს, რომ „კანონი ამ შემთხვევაში კრიტერიუმად არ გამოდგება, რადგანაც იგი განსაზღვრავს გამომძიებლის შინაგანი რწმენის ფორმირების მხოლოდ ზოგად

პირობებს და არა მის შედეგს<sup>1</sup>. ვ. მ. სავიციის აზრით ბრალდებულს სახით პასუხისგებაში მიცემის საფუძველს ქმნიან ის მტკიცებულებანი, რომლებიც არწმუნებენ გამომძიებელს პირის მიერ დანაშაულის ჩადენაში<sup>2</sup>.

აღსანიშნავია, რომ საკითხის ასეთი დაყენება არ გამოირჩევა ორიგინალობით. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საფუძველს თითქმის ყველა ავტორი უკავშირებს გამომძიებლის შინაგან რწმენას. უთანხმოება არსებობს მხოლოდ შემდეგ საკითხში: ნაწილი პროცესუალისტებისა იმ აზრისაა, რომ დადგენილება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ გამოტანილი უნდა იქნეს მისინ, როდესაც გამომძიებელს შეკრებილი მტკიცებულებების საფუძველზე შეექმნება მტკიცე შინაგანი რწმენა დანაშაულის ჩადენაში პირის ბრალეულობის შესახებ<sup>3</sup>. ნაწილი კი, პირიქით, ამტკიცებს, რომ ასეთი დადგენილების გამოსატანად საკმარისია იმ მტკიცებულებების არსებობა, რომლებიც საფუძველს აძლევენ გამომძიებელს ივარაუდოს მოცემული პირის მიერ დანაშაულის ჩადენა<sup>4</sup>.

ორივე ამ შეხედულების ძირითადი ნაკლი, ჩვენი აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ ისინი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისათვის მტკიცებულებათა საკმაობას განსაზღვრავენ გამომძიებლის შინაგანი რწმენის ხარისხით. რასაკვირველია, როდესაც გამომძიებელს გამოაქვს დადგენილება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ, იგი დარწმუნებული უნდა იყოს თავისი დასკვნების ჭეშმარიტებაში. ყოვლად დაუშვებელია ამა თუ იმ გარემოებების დამტკიცებულობის შესახებ საეჭვო და სავარაუდო დასკვნების გაკეთება. მაგრამ ამ დასკვნების სისწორის კრიტერიუმს წარმოადგენს არა გამომძიებლის შინაგანი რწმენა (შინაგანი რწმენა თვითონ ამ დასკვნების ასახვაა, შინაარსია), არამედ ის ობიექტური კავშირი, რომელიც არსებობს საქმეში არსებულ მტკიცებულებებსა და იმ გარემოებებს შორის, რომელთა დამტკიცებულობასაც კანონი მოითხოვს. ამიტომ, საძიებელი ფაქტების დასადგენად მტკიცებულებათა საკმაობა განისაზღვრება არა გამომძიებლის შინაგანი რწმენით, არამედ თვითონ ამ ფაქტების იმ შინაარსითა და მოცულობით, რაც დადგენილია კანონით.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ თუ მტკიცებულებათა რა ერთობლიობა ქმნის ობიექტურ საფუძველს პირის ბრალდებულად პასუხისგებაში მისაცემად, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებანი (საძიებელი ფაქტები), რომლებსაც ეს მტკიცებულებანი უნდა ადგენდნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის მომენტში. თუ საკითხს სწორედ ამ კუთხით მივუდგებით, არც თუ ისე რთული იქნება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანის მომენტის განსაზღვრა, რადგანაც კანონი ადგენს არა მართლ იმ გარემოებებს, რომლებიც საერთოდ უნდა დამტკიცდეს სისხლის სამართ-

<sup>1</sup> В. М. Савицкий, Прокурорский надзор за дознанием и предварительным следствием, М., 1959, стр. 190.

<sup>2</sup> იხ. იქვე, გვ. 191.

<sup>3</sup> Б. А. Викторов, О критике некоторых положений в теории советского уголовного процесса, «Советское государство и право», 1958, № 3, стр. 91—92; В. З. Лукашевич, Гарантии прав обвиняемого в советском уголовном процессе, изд-во ЛГУ, 1959, стр. 23; М. А. Чельцов, Советский уголовный процесс, М., 1962, стр. 306.

<sup>4</sup> М. С. Строгович, Обвинение и обвиняемый на предварительном следствии и на суде, М.; 1934, стр. 33; В. А. Стрёмовский, Предварительное расследование в советском уголовном процессе, М., 1958, стр. 31; В. И. Каминская, Показания обвиняемого в советском уголовном процессе, М., 1960, стр. 120—121.

თლის საქმეზე, არამედ იმ გარემოებებსაც, რომელთა დადგენაც სავალდებულოა გამოძიების ამა თუ იმ ეტაპზე. ასე, მაგალითად, სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის საკმარისია იმ ფაქტიური მონაცემების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ დანაშაულის ნიშნებზე (საქართველოს სსრ სსსკ 108 მუხლი). სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად კი ასეთი მონაცემები არ კმარა. საქართველოს სსრ სსსკ 141-ე მუხლის თანახმად დადგენილებაში ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ მითითებული უნდა იყოს: ბრალდებულად პასუხისგებაში მისაცემი პირის ვინაობა (სახელი, მამის სახელი, გვარი) და დანაშაული, რომლის ჩადენაც ბრალად ედება ამ პირს (დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი და სხვა გარემოებანი, რამდენადაც ეს ცნობილია გამოძიებისათვის). მამასადამე, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისათვის საკმაოა ის მტკიცებულებანი, რომლებიც ადგენენ დანაშაულისა და მისი ჩამდენი პირის შესახებ კანონში მითითებულ გარემოებებს. ამ გარემოებების დადგენით მტკიცების საგანი არ ამოიწურება. გამოძიების დამთავრებისა და, სახელდობრ, საბრალდებო დასკვნის შესადგენად აუცილებელია, რომ შეკრებილი მტკიცებულებები ადგენდნენ არა მარტო დანაშაულისა და მისი ჩამდენი პირის შესახებ ზემოთ მითითებულ გარემოებებს, არამედ საქმის ისეთ არსებით გარემოებებსაც, როგორიცაა: დანაშაულის ჩადენის ხერხი, მოტივები, შედეგი, დაზარალებულის ვინაობა, ბრალდებულის ბრალის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი და სხვა (საქართველოს სსრ სსსკ 206 მუხ.). რასაკვირველია, შეიძლება ეს გარემოებანი უფრო ადრეც დადგინდნენ, მაგრამ, როგორც წესი, მათი დაუდგენლობა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას ვერ დააბრკოლებს<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისათვის დასადგენ გარემოებათა წრე გაცილებით ფართოა საქმის აღძვრის მომენტში არსებულ გარემოებებზე, ხოლო შედარებით მცირეა იმ გარემოებათა წრეზე, რომლებიც დადგენილი უნდა იყოს გამოძიების დამთავრებისა და საბრალდებო დასკვნის შედგენის მომენტში.

როგორც კი წინასწარი გამოკვლევის სტადიაზე დადგინდება, რომ ნამდვილად ჩადენილია დანაშაული მოცემული პირის მიერ და არ არსებობს გარემოებანი, რომლებიც გამორიცხავენ სისხლის სამართლის საქმის წარმოებას, გამოძიებელმა (მომკვლელმა პირმა) დაუყოვნებლივ უნდა მისცეს ეს პირი სისხლის სამართლის პასუხისგებაში. ამ საკითხის როგორც ნაადრევად, ასევე დაგვიანებით გადაწყვეტა დიდ ზიანს აყენებს პიროვნებას და საერთოდ საბჭოთა მართლმსაჯულების ინტერესებს. პასუხისგებაში ნაადრევად მიცემამ შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ პირი უსაფუძვლოდ იქნეს ცნობილი ბრალდებულად, მის მიმართ უსაფუძვლოდ იქნეს გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებანი, შეირყეს

<sup>1</sup> ჩვენ არ ვეთანხმებით ნ. ვ. ჟოგინს და ფ. ნ. ფატკულინს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისათვის აუცილებელია დადგენილი იყო პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის შემადგენლობის კონსტრუქციაში შემავალი ყველა გარემოება და, რომ ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შემდეგ მოწმდება უმეტესად ის გარემოებები, რომლებიც ბრალდებულისათვის ინკრიმირებული დანაშაულის შემადგენლობის ფარგლებს გარეთ მდებარეობენ, ანდა შეეხებიან სხვა დანაშაულებრივ ქმედობას (Н. В. Жогин, Ф. Н. Фаткуллин, Предварительное следствие, М., 1965, стр. 185—186, 208).


მისი ავტორიტეტი საზოგადოების თვალში და სხვა. ცნობილია, რომ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა არავისთვის სასიამოვნო არ არის და მით უმეტეს უდანაშაულო პირისათვის. სწორად შენიშნავს პროფ. რ. დ. რახუნოვი, რომ „შემდგომში ბრალდების დაუდასტურებლობის გამო საქმის შეწყვეტილთა ცი შეუძლებელია პირს აუნაზღაუროთ ის მორალური ზიანი, რომელიც მას უსაფუძვლოდ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემამ მიაყენა“<sup>1</sup>. გარდა ამისა, გარკვეული პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში ნაადრევად მიცემას შეიძლება მოყვეს ის, რომ ნამდვილმა დამნაშავემ თავი აარიდოს პასუხისმგებლობას. ბრალდების წარდგენის შემდეგ, როგორც წესი, წინასწარ გამოძიება მიმდინარეობს ერთი ვერსიით, დანაშაულის ჩადენაში მხილებული კონკრეტული პირის მიმართ. ამიტომ თუ წაყენებული ბრალდება არ დადასტურდა და საქმე მოისპო, მოსალოდნელია, რომ ნამდვილი დამნაშავის მხილება შეუძლებელი გახდეს. საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ დანაშაულის ჩადენიდან რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო რთულდება დანაშაულის გახსნა და დამნაშავეთა დადგენა.

არანაკლებ საზიანოა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საკითხის დაგვიანებით გადაწყვეტა. როდესაც პასუხისგებაში მიცემისათვის საკმაო საფუძველი არსებობს, ხოლო გამომძიებელს არ გამოაქვს სათანადო დადგენილება და არ უყენებს ბრალდებას, ეს იწვევს ბრალდებულის დაცვის უფლების უხეშად დარღვევას, რადგანაც მთელი წინასწარი გამოძიება მიმდინარეობს ბრალდებულის ზურგს უკან, მიმდინარეობს ბრალდებულის გარეშე, რომელიც ფაქტიურად არსებობს, მაგრამ არ შეუძლია დაიცვას თავი, რადგანაც ცნობილი არ არის ბრალდებულად და არ სარგებლობს ყველა იმ უფლებებით, რომლებსაც მას კანონი ანიჭებს.

ჩვენი რესპუბლიკის საგამომძიებლო ორგანოების უკანასკნელი წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თუ პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში უსაფუძვლოდ მიცემა იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს, სამაგიეროდ ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემა ხდება დიდი დაგვიანებით, ხოლო ძალიან ხშირად გამოძიების დამთავრების მომენტში. ჩვენს მიერ შესწავლილი 350 საქმიდან 227 საქმეზე ბრალდებულის სახით პასუხისგებაში პირი მიცემული იყო გამოძიების დამთავრების დღეს. ამ ციფრს მართო სტატისტიკური მნიშვნელობა როდი აქვს. საქმე იმაშია, რომ გამომძიებლები უმეტეს შემთხვევაში გამოძიებას აწარმოებდნენ უკვე კონკრეტული პირის მიმართ, იყენებდნენ ყველა იმ საშუალებას და უფლებას, რომლებიც მათ ბრალდებულის მიმართ ვაჩნიათ. ასე, მაგალითად, 1963 წლის 4 დეკემბერს თბილისის კიროვის სახ. რაიბროკურატურაში აღიძრა საქმე ს-ს მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენებით 850 მანეთის მითვისების ფაქტზე. 6 დეკემბერს ს-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიებად შერჩეული იქნა თავდებობა. ამის შემდეგ მიდის წინასწარი გამოძიება. ს. რამოდენიმეჯერ იქნა დაკითხული მოწმედ, რამოდენიმეჯერ მოხდა მისი დაპირისპირება სხვა მოწმებთან. ყველა შემთხვევაში ს. ბუნებრივია, გაფრთხილებული იყო ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და წინასწარი შეცნობით ტყუილი ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. მაგრამ როგორც დაკითხვის, ისე დაპირისპირების დროს ფაქტიურად იგი

<sup>1</sup> Р. Д. Рахунов, Участники уголовно процессуальной деятельности, М., 1961, стр. 194—195.





იკითხებოდა როგორც ბრალდებული, იკითხებოდა იმ გარემოებების შესახებ, რომლებითაც იგი იმხილებოდა როგორც დამნაშავე. საქმეზე ჩატარებული იქნა მთელი რიგი სხვა საგამომძიებლო მოქმედებები: ჩხრეკა, ამოღება, ექსპერტიზის დანიშვნა, ქონებაზე ყადაღის დადება და სხვა. ბრალდება კი წარედგინა 1964 წლის 22 იანვარს, ე. ი. მაშინ, როდესაც წინასწარი გამოძიება უკვე დამთავრდა. ვსაგებია, რომ ს-ს, რომელიც გამოძიების მთელ მანძილზე ცნობილი არ იყო ბრალდებულად, არ შეეძლო ესარგებლა იმ პროცესუალური უფლებებით, რომლებიც გააჩნია ბრალდებულს თავისი დაცვის უფლების განსახორციელებლად.

1964 წლის 22 იანვარს თბილისის ლენინის სახ. რაიმილიციაში აღიძრა საქმე კ-ს მიერ ჩადენილი სპეკულაციის ფაქტზე. იმავე დროს კ-ს აღკვეთის ღონისძიებად შეერჩია გაუსვლელობის ხელწერილი, ხოლო ბრალდება კ-ს წარედგინა 13 თებერვალს.

შეიძლებოდა მსგავსი მაგალითები კიდევ მოგვეტანა, მაგრამ დასკვნა საბოლოოდ მაინც ერთი იქნება: როდესაც პირს ბრალდება არა აქვს წარდგენილი და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიება გამოყენებული, ამ პირის პროცესუალური უფლებების რაიმე დაცვაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებას კანონი უშვებს მხოლოდ იმ პირების მიმართ, რომლებსაც კანონით დადგენილი წესით წარდგენილი აქვთ ბრალდება კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში. სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე პირის დაკავება, ხოლო აღძვრის შემდეგ ბრალდების წამოყენებამდე დაპატიმრება ან აღკვეთის სხვა ღონისძიებების გამოყენება დაიშვება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში დანაშაულის ჩადენაში ეჭმიტანილი პირის მიმართ. ამ შემთხვევაში ბრალდება წაყენებული უნდა იქნას არაუგვიანეს 10 დღე-ღამისა აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების მომენტიდან. თუ ამ ვადაში ბრალდება არ იქნა წაყენებული, აღკვეთის ღონისძიება უქმდება. ყველა სხვა შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, ვისგანაც არ უნდა მიმდინარეობდეს იგი, წარმოადგენს სოციალისტური კანონიერების დარღვევას, კონსტიტუციით გარანტირებული პიროვნების თავისუფლების უკანონოდ შეზღუდვას.

ზოგიერთი გამომძიებელი რატომღაც ისე ერიდება ბრალდების დროულად წარდგენას, რომ მაშინაც კი, როდესაც უკვე საქმის აღძვრის მომენტში აშკარაა დანაშაულის ჩადენა კონკრეტული პირის მიერ, მას ბრალდებას კი არ უყენებს, არამედ ეჭმიტანილად გამოყავს, რათა მის მიმართ აღკვეთის ღონისძიებების შერჩევის უფლება მოიპოვოს. ასეთ შეცდომებს უმეტესად ადგილი აქვს იმ შემთხვევებში, როდესაც სისხლის სამართლის საქმე იწყება მოქალაქის დაკავებით. ძალიან ხშირად მილიციის ორგანოებს უკვე დაკავების მომენტში გააჩნიათ საკმაო მონაცემები, რომ პირს წაუყენონ ბრალდება დაკავებისათვის კანონით დადგენილი სამი დღის ვადაში. მიუხედავად ამისა, ბრალდებას არ უყენებენ, ხოლო პროკურორები, რომლებიც დაპატიმრების სანქციას აძლევენ, ამას არც მოითხოვენ. თუ გავითვალისწინებთ იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს ეჭმიტანილისა და ბრალდებულის პროცესუალურ უფლებებში, ნათელი გახდება, რომ ასეთი ფაქტები არ უწყობენ ხელს პიროვნების უფლებების დაცვას. მოვიტანთ ერთ დამახასიათებელ მაგალითს: ვასული წლის ზაფხულში თბილისის ლენინის სახ. რაიმილიციის მუშაკებმა ქალაქის სადგურში დააკავეს წ., რომელიც არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა და ხულიგნობდა. და-


კავების დროს მან მილიციის მუშაკებს გაუწია ფიზიკური წინააღმდეგობა, სა-  
 მორიგეოში ატეხა დებოში, გაარტყა პასუხისმგებელ მორიგეს, დალევს რაც კი  
 ხელში მოხვდა. შეადგინეს ეჭვიმტანილის დაკავების ოქმი(!) მეორე დღეს გა-  
 მომძიებელმა აღძრა საქმე, დაკითხა მოწმეები, მათ შორის „ეჭვიმტანილიც“.   
 ნაცვლად იმისა, რომ ბრალდება წარედგინა და შემდეგ შეერჩია აღკვეთის ღო-  
 ნისძიება, გამომძიებელმა დაპატიმრების სანქცია პროკურორისაგან მიიღო  
 დაკავების ოქმის საფუძველზე და გამომძიების დამთავრებამდე ეს პირი საქმე-  
 ში გამოდიოდა, როგორც ეჭვიმტანილი.

როგორც ვხედავთ, სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემის მომენტის  
 არადროული განსაზღვრა იწვევს მოქალაქეთა კონონიერი უფლებებისა და  
 ინტერესების შეზღუდვას, წარმოადგენს სოციალისტური კანონიერების უხეშ  
 დარღვევას. რასაკვირველია, როდესაც პრაქტიკაში პირს დაგვიანებით აძლევენ  
 სისხლის სამართლის პასუხისმგებაში, ამას, როგორც წესი, არ აკეთებენ რაიმე  
 ცუდი განსაზღვრით. ეს უფრო იმის შედეგია, რომ ზოგიერთი გამომძიებელი  
 და პროკურორი სათანადოდ ვერ აფასებს ბრალდების დროულად წარდგენის  
 პროცესუალურ მნიშვნელობას. ეს საგამომძიებლო მოქმედება მიაჩნიათ არა-  
 არსებით პროცედურულ მომენტად. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს  
 თავმჯდომარემ ა. ფ. გორკინმა ერთ-ერთ თავის გამოსვლაში სამართლიანად  
 აღნიშნა, რომ მატერიალური და პროცესუალური სამართლის ნორმების დარ-  
 ღვევა უმეტეს შემთხვევაში გამოწვეულია არა „ბოროტი განზრახვით“, არამედ  
 კანონის მოთხოვნების არასათანადო ცოდნით, კონკრეტული საქმეების წარ-  
 მოებისას სამართლის ნორმების გამოყენების უუნარობით!

მაგრამ კანონიერების დარღვევა, რა მოტივითაც არ უნდა იყოს იგი გამო-  
 წვეული, ყოვლად შეუწყნარებელია და შეუთავსებელია სოციალისტური კა-  
 ნონიერების განხორციელებასთან. კანონის მოთხოვნების ღრმა ცოდნა და და-  
 ცვა მოთხოვნება ყველას და პირველ რიგში მათ, ვისაც უშუალოდ დავალებუ-  
 ლი აქვს კანონიერებისათვის ბრძოლა.

9869

1 «Советское государство и право», 1962, № 8, стр. 11.



# საპარლამენტო ოპოზიციის წევრების დაკავების შედეგად და საბანი

გ. ნადირაძე



დამოუკიდებლად იმისა დანაშაული ჩადენილია მოქმედებით თუ უმოქმედობით, იგი ყოველთვის ხელყოფს განსაზღვრულ ობიექტს. არ არის დანაშაული, რომელსაც არ ჰქონდეს ხელყოფის ობიექტი. მართებულად შენიშნავს ზაგოროდნიკოვი, რომ დანაშაულის ობიექტი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ, თუ რა დანაშაულს ქონდა ადგილი — დეზერტირობას თუ სოციალისტური საკუთრების გატაცებას, თაღლითობას თუ რაიმე სხვა დანაშაულს. დანაშაულის ობიექტის ასეთი მნიშვნელობა აიხსნება უპირველეს ყოვლისა იმით, რომ პირის მოქმედება რა ფორმითაც არ უნდა იყოს ის გამოხატული, საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს თავისთავად ღებულობს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მოქმედება იმ რეალურ სიკეთეს ემუქრება, რომელსაც კანონი იცავს...  
ქვემოთ

ყოველი დანაშაული პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხელყოფს სსრ კავშირში არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, სოციალისტური სამართლის განსაზღვრულ ნორმებს, ე. ი. ქცევის წესებს, რომლებიც დადგენილი ან სანქციონირებულია სოციალისტური სახელმწიფოს მიერ.

დანაშაულის ამ ზოგადი ობიექტის შესახებ ლაპარაკია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-7 მუხლში, სადაც ნათქვამია, რომ დანაშაულად ჩაითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ხელყოფს საბჭოთა საზოგადოებრივ ან სახელმწიფო წესწყობილებას, მეურნეობის სოციალისტურ სისტემას, სოციალისტურ საკუთრებას, პიროვნებას, მოქალაქეთა პოლიტიკურ, შრომით, ქონებრივ და სხვა უფლებებს, აგრეთვე სოციალისტური მართლწესრიგის ხელშეწყობის სხვა, საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით. მასხადამე, ყოველი დანაშაულის ობიექტია სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობანი ანუ სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობანი ზოგადი ობიექტია ყველა დანაშაულებრივი ხელყოფისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების განსაკუთრებულ ნაწილში გადმოცემულია დანაშაულის ყველა შემადგენლობა, განსაზღვრული გჯუფების მიხედვით, შესაბამისად მათი საერთო გვაროვნული ობიექტისა. რაც შეეხება თითოეულ დამოუკიდებელ დანაშაულს, მათ აქვთ ხელყოფის თავიანთი უშუალო ობიექტები.

„ხელყოფის ობიექტს მის კონკრეტულ ცხოვრებისეულ განსახიერებაში, შეიძლება წარმოადგენდეს როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური ფასეულობანი — პოლიტიკური, მორალური, კულტურული და სხვ.“<sup>1</sup>

აქ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ როგორც ზოგადი ასევე სპეციალური და უშუალო ობიექტი აუცილებელი და ამასთან ძირითადი ელემენტია, რომელიც ახასიათებს ყოველ დანაშაულს, თუმცა შესაძლოა, რომ ის აღნიშნული არც იყოს კანონის ტექსტში ცალკეულ შემადგენლობათა აღწერისას.

დანაშაულთა ზოგიერთ შემადგენლობას თავისი ხასიათის მიხედვით შესაძ-

<sup>1</sup> Загородников. Значение объекта преступления при определении меры наказания по советскому уголовному праву. «Труды Военно-юридической академии». вып. 10, стр. 8.

<sup>2</sup> Трайнин. Состав преступления по советскому уголовному праву. М., 1951 г., стр. 174.

ლოა გააჩნდეს არა ერთი, არამედ ორი და მეტი ობიექტიც, მაგრამ ეს საკითხი არ წარმოადგენს ჩვენი გამოკვლევის საგანს.

სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა, აგრეთვე სავალუტო ფასეულობებით ან ფასიანი ქაღალდებით სპეკულაცია ზიანს აყენებს სხვადასხვა საზოგადოებრივ ურთიერთობებს, მაგრამ ეს დანაშაულობანი უშუალოდ ხელყოფენ საბჭოთა ფულად-საკრედიტო სისტემას, ფულის მიმოქცევას, დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების სისტემას საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ.

ეს დანაშაულობანი პირდაპირ ან არაპირდაპირ ხელყოფენ როგორც სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მონობოლიას, ასევე ქვეყნის შიგნით ვაჭრობის ინტერესებსაც.

სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა, აგრეთვე სპეკულაცია სავალუტო ფასეულობებით ან ფასიანი ქაღალდებით ხშირად ხორციელდება შემდგომში სხვადასხვა ფასეულობების როგორც სსრ კავშირში უკანონო გზით შემოტანის, ისე საზღვარგარეთ გატანის მიზნით.

ყველაზე მეტ საშიშროებას ეს დანაშაულობანი უქმნიან ფულად მიმოქცევას ქვეყნის შიგნით და დაკრედიტების სისტემას საერთოდ და განსაკუთრებით საერთაშორისო კავშირურთიერთობებში. აქედან გამომდინარე „განსახილველი დანაშაულის ხელყოფის უშუალო ობიექტს წარმოადგენს საბჭოთა ფულადი და საკრედიტო სისტემა“.<sup>1</sup>

ამრიგად, იმ დანაშაულის ობიექტს, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ წარმოადგენს, როგორც საბჭოთა ფულადი და საკრედიტო სისტემა, ასევე მთლიანად ფულის მიმოქცევა. ხელყოფის ობიექტის მნიშვნელობის გათვალისწინებით, სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევას, აგრეთვე სავალუტო ფასეულობებითა და ფასიანი ქაღალდების სპეკულაციას სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დათმობილი აქვს ადგილი სხვა სახელმწიფო დანაშაულობათა გვერდით.

საბჭოთა ფულად სისტემაში იგულისხმება საბჭოთა ფული სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ბილეთების, სახელმწიფო სახაზინო ბილეთებისა და ლითონის ხურდა ფულის სახით.

სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-14 მუხლის შესაბამისად სსრ კავშირის გამგებლობას, მის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სახით, ექვემდებარება ფულისა და კრედიტის სისტემის ხელმძღვანელობა.

ფულის გამოშვებას სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი ახდენს მთავრობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე საკრედიტო და სალაროს გეგმის მიხედვით. საბჭოთა ფული წარმოადგენს ერთადერთ კანონიერ საშუალებას ქვეყნის შიგნით გადახდის და ყიდვის ოპერაციებისათვის. უცხოური ვალუტა იშვიათი გამოჩენის გარდა ამოღებულია მიმოქცევიდან.

საბჭოთა სახელმწიფომ ფული კაპიტალის დაგროვებისა და მშრომელთა ექსპლოატაციის საშუალებიდან, როგორც ის არის კაპიტალიზმის დროს, გადააქცია კომუნისმის მშენებლობის იარაღად, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების საშუალებად. საბჭოთა ფული აღრიცხვისა და საზოგადოებრივ წარმოებაზე და პროდუქტების განაწილებაზე კონტროლის იარაღია, შრომისა და მოთხოვნილების საზომია.

<sup>1</sup> Советское уголовное право. Часть особ., изд. 1964 г. Московского университета, стр. 84.

ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკა სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის პირველი დღიდანვე მოყოლებული მიმართულია მანეთის განმტკიცებისაკენ. ამან საშუალება მოგვცა მოკლე ვადაში უცხოეთის დახმარების გარეშე სტაბილური გაგვეხადა საბჭოთა ფულადი სისტემა.

1922—1924 წლებში შექმნილმა საბჭოთა ფულადმა სისტემამ დიდი როლი შეასრულა სოციალისტური ეკონომიკის განვითარებაში, კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლისათვის ბრძოლაში. სსრ კავშირის ფულადმა სისტემამ გაუძლო განსაკუთრებით მძიმე გამოცდას 1941—1945 წლების ომში.

სოციალიზმის დროს ფული ასრულებს ყველა იმ ფუნქციას, რაც საერთოდ დამახასიათებელია ფულისათვის, კერძოდ ღირებულების საზომის, მიმოქცევის საშუალების, გადახდის საშუალების, დაგროვების საშუალების, მსოფლიო ფულის ფუნქციებს.

საბჭოთა მანეთის კურსი განუწყვეტლივ იზრდება, მაღლდება მისი თანაფარდობა უცხოური ვალუტის მიმართ.

ფულად და საკრედიტო სისტემებთან არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირის სავალუტო მონოპოლიაც, რომელიც მთლიანად სახელმწიფოს ხელში იმყოფება და ხორციელდება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის მიერ.

საბჭოთა ფულს აქვს ოქროს შემცველობა და ის გარკვეულ სფეროში მსოფლიო ფულის ფუნქციებს ასრულებს.

თავიანთი დანაშაულებრივი საქმიანობით ვალუტით მოვაჭრე სპეკულანტები ზიანს აყენებენ საბჭოთა ფულად და საკრედიტო სისტემას, ისინი არღვევენ სახსრების გეგმაზომიერ განაწილებას, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში უცხოური ვალუტის შემოსვლას და მის გამოყენებას საბჭოთა კავშირის საერთაშორისო კავშირურობის განვითარების ინტერესებისათვის, ძირს უთხრიან საბჭოთა მანეთის კურსს, იწვევენ საბჭოთა ვალუტის საზღვარგარეთ დინებას, ხელს უწყობენ, რომ იგი გამოყენებულ იქნას სსრ კავშირის პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესების საზიანოდ.

ამ დანაშაულის ანალიზის დროს საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ სავალუტო ფასეულობათა თავისებურება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ვალუტა და სავალუტო ფასეულობანი გამოდიან რა როგორც საშუალება, რომელსაც იყენებენ დანაშაულებრივი მიზნებისათვის, ამავე დროს წარმოადგენენ საკრედიტო-ფულად ურთიერთობათა საგნობრივ გამოხატულებას.

ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევის საგნის ანალიზი გაკეთდეს განსახილველ დანაშაულის ობიექტის ანალიზთან ერთად. დანაშაულის ანალიზის დროს ხელყოფის ობიექტისაგან უნდა განვასხვავოთ ხელყოფის საგნები, ე. ი. იმ საზოგადოებრივ ურთიერთობების გამომხატველი საგნები, რომლებსაც ხელყოფს დანაშაულის ჩამდენი პირი. დანაშაულის საშუალებანი და საგნები ახასიათებენ დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს და თავისი მნიშვნელობის მიხედვით ისინი ერთსა და იმავეს წარმოადგენენ.

ამ შემთხვევაში დანაშაულის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს სხვადასხვა ნივთები და ფასეულობანი (ყოველგვარი ვალუტა და სავალუტო ფასეულობანი), რომელსაც სპეკულანტი-მევალუტე გამოიყენებს დანაშაულებრივი მიზნების მისაღწევად.

ვალუტით მოვაჭრე სპეკულანტებთან ბრძოლის ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ დანაშაულის საგნებიდან ზოგიერთი უფრო ხშირად გვხვდება, ხოლო ზო-

გი იზვიათად. უკანასკნელ წლებში ვალუტით მოვაჭრე სპეკულანტების წინააღმდეგ აღძრულ საქმეებში დანაშაულთა საგნებიდან ყველაზე უფრო ხშირად ვხვდებით ოქროს მონეტებს, უპირატესად მეფის დროს მოჭრილ რევოლუციამდელ მონეტებს (5, 7 $\frac{1}{2}$ , 10 და 15 მანეთიანები), ინგლისური ოქროს გირვანქა სტერლინგებს, თურქულ ოქროს ლირებს და სხვა სახელმწიფოების ოქროს მონეტებს.

სპეკულანტები ხშირად ყიდულობენ და ყიდიან აგრეთვე ოქროს ნამსხვრევებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ 1962 წელს მსჯავრდებულ სპეკულანტმა ცოციაშვილმა, თავისი დანაშაულებრივი საქმიანობის პერიოდში (1955—1956 წლების მანძილზე), დადო 20 გარიგება მეფის დროს მოჭრილი 1829 მონეტის ყიდვაზე, საერთო თანხით 1.045.360 მან. 25 გარიგება—1112 ასეთივე ოქროს მონეტის გაყიდვაზე, რომლის საერთო თანხა შეადგენდა 810.200 მან. იგი ყიდულობდა და ყიდა აგრეთვე ინგლისურ გირვანქა სტერლინგებს და თურქულ ლირებს საერთო თანხით 62.200 მან. ოქროს ნამსხვრევებს და ოქროს ნაკეთობებს თანხით 80.050 მან.

ცოციაშვილის დანაშაულებრივ გარიგებათა თანამონაწილე ბრალდებულ ბინაურიშვილიც ყიდულობდა და ყიდა ვალუტას. მან სულ მოახდინა მეფის დროს მოჭრილი 641 ოქროს მონეტისა და 400 გრამი ოქროს ნამსხვრევის ყიდვისა და გაყიდვის თერთმეტი გარიგება, რომლის საერთო თანხა 551.600 მანეთს შეადგენდა.

დაპატიმრებისა და ჩხრეკის დროს ციციანიშვილის ბინაში ამოიღეს 250 ოქროს მონეტი, როგორც მეფის დროისა, ისე უცხოური, ხოლო ბინაურიშვილის ბინაზე 851 ასეთივე ოქროს მონეტა. ამ მევალუტეებისაგან სულ ამოღებული იქნა ოქროს ნამსხვრევი და ოქროს ნაკეთობანი საერთო წონით 8 კილოგრამზე მეტი.


ელუაშვილმა, რომელიც საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას არ ეწეოდა, დანაშაულებრივი კავშირი დაამყარა ცოციაშვილთან და უკანასკნელის სახსრებით ყიდულობდა ვალუტას და სავალუტო ფასეულობებს. 1959 წელს მან ლენინგრადში კაპლუნისაგან შეიძინა მეფის დროს მოჭრილი ოქროს მონეტები და 142 გრამი ოქროს ნამსხვრევი ქ. თბილისში გასაყიდა.

1960 წლის თებერვალ-მარტში სპეკულანტ-მევალუტე უზდინმა მიყიდა შაპიროს 130 გრამი ოქროს ნამსხვრევი — 800—900 მანეთად.

1963 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ მსჯავრდებულმა მევალუტე კარაპეტ მოსესოვმა 1954—1962 წლების მანძილზე მოახდინა 35 დანაშაულებრივი გარიგება ვალუტითა და სავალუტო ფასეულობებით, მათ შორის მეფის დროის და უცხოური 551 ცალი ოქროს მონეტის ყიდვა-გაყიდვაზე. მისი ბინის გაჩხრეკისას ამოღებული იქნა 486 მეფის დროინდელი ოქროს მონეტა.

ქალაქ მოსკოვის სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ სპეკულანტ-მევალუტეების როკოტოვის, ფაიბიშენკოს, პოპოვისა და სხვ. დაპატიმრებისა და ჩხრეკის დროს ამოღებული იქნა მეფის დროინდელი და უცხოური 1524 ოქროს მონეტა 12 კილოგრამზე მეტი საერთო წონით.

უნდა აღინიშნოს, როგორც დამახასიათებელი თავისებურება, რომ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე პასუხისმგებში მიცემული და მსჯავრდებული პირები ოქროს ნივთებიდან ყველაზე მეტ უპირატესობას ანიჭებენ მეფის დრო-



ინდელ ოქროს მონეტებს. ეს არც არის გასაკვირი. აღნიშნული მონეტების მთლიანი სინჯი და მათი დიდი პოპულარობა იმ პირების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა, რომლებიც მათ იქნდნენ განძის სახით შესანახად.

მაგრამ იმის გამო, რომ საზღვარგარეთ დაბალ სინჯიან ოქროსაგან გამოშვებულ იქნა ყალბი თუმნიანები, აღნიშნული მონეტებისადმი ნდობა შეიწყა და ამის შედეგად — მათზე ოპერაციები შავ ბაზარში.

მაგალითად, 1957 წლის ბოლოს პიატიგორსკელ არობიანის თხოვნით მევალუტე კარაბეც მოსესოვმა მირაკიანისაგან 15.000 მანეთად იყიდა მეფის დროინდელი 60 ოქროს თუმნიანი და შემდეგ მიყიდა ისინი არობიანს 18.000 მანეთად. ეს თუმნიანები ყალბი აღმოჩნდა; მოსესოვმა არობიანთან მეორე გარიგება დადო 1960 წლის ზაფხულში, როდესაც მას მიჰყიდა 10 ყალბი ოქროს მონეტა.

ის, რომ კერძო პირების საკუთრებაშია მეფის დროინდელი ოქროს მონეტების გარკვეული რაოდენობა იწვევს მის ფართო გავრცელებას შავ ბაზარზე. დამახასიათებელია ისიც, რომ სპეკულანტები უფრო თამამად დებენ გარიგებას ამ მონეტით იმის იმედით, რომ მარცხის შემთხვევაში შესაძლებლობა ჰქონდეთ განმარტონ თითქოს იგი მოპოვებული აქვთ მემკვიდრეობით ან სხვა რაიმე ოფიციალური გზით.

სავალუტო გარიგებათა საგანს სპეკულანტი—მევალუტეებისათვის ხშირად წარმოადგენს ოქროს ნაკეთობანი: ჯაჭვები, საათები, პორტსიგარები, ბეჭდები და ა. შ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ 1961 წელს მსჯავრდებული მევალუტე მოშე მიხელაშვილი მსხვილ მევალუტე მორდებს კაკიაშვილისაგან ყიდულობდა ოქროს ძეწკვებს, საათებსა და ბეჭდებს. 1958 წელს კაკიაშვილმა თავის მხრივ იყიდა ალტშულერისაგან ოქროს პორტსიგარი. მოსესოვის ბინაში ჩხრეკის დროს ამოღებულ იქნა 20 სხვადასხვა ოქროს ნაკეთობა. მევალუტე მამისთვალოვმა ჩანჩინაოვისაგან იყიდა ორი ოქროს ძეწკვი და ქალის ოქროს საათი 6.030 მანეთად.

ვალუტითა და სავალუტო ფასეულობებით დანაშაულებრივ გარიგებათა საგნად არაიშვიათად გვხვდება ოქრო ნედლი სახით და ტექნიკურ ნაკეთობებში.

1957 წელს ევდოკიმოვმა იყიდა გალილოვისაგან 100 გრამი მარცვლოვანი ოქრო 300 მანეთად და შემდეგ გაყიდა იგი 500 მანეთად. მანვე 1958 წელს იყიდა გალილოვისაგან კიდევ 50 გრამი მარცვლოვანი ოქრო 175 მანეთად და შემდგომ გაყიდა 250 მანეთად. მანვე 1959 წლის დეკემბრის დამლევს იყიდა ზარიბოვისაგან 200 გრამი ოქრო 800 მანეთად, შემდეგ კი ნაყიდის რეალიზაციის მიზნით ჩავიდა მოსკოვში, სადაც 1959 წლის 29 დეკემბერს დაკავებულ იქნა, დაპატიმრებისას მისგან ამოღებულ იქნა 192,6 გრამი ოქრო.

ოქრო ნედლი სახით ან ტექნიკურ ნაკეთობებში შეიძლება შეძენილი იქნას დანაშაულებრივი გზით, რადგან მისი მართლზომიერი მფლობელობა შესაძლოა მეტად იშვიათ შემთხვევაში. ამ შემთხვევებს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს თუ ოქრო ამ სახით შეძენილი იყო 1937 წლამდე ან თუ შემოტანილია საზღვარგარეთიდან, მაგრამ ეს უკანასკნელი შემთხვევაც ნაკლებად დასაჯრებელია, რადგან საბაჟო ორგანოების მუშაობის პრაქტიკა ასეთ მოვლენას თითქმის არ იცნობს.

ვერცხლის დაბალი ღირებულებისა მისგან ოპერაციების შედეგად რაიმე მოგებაზე იმედის უქონლობის გამო ეს უკანასკნელი თითქმის არ გვხვდება დანაშაულებრივ გარიგებებში. ძლიერ იშვიათია შემთხვევა ბაზარ-

ზე ვერცხლის გამოჩენისა და ისიც, როგორც წესი, გატაცებულია წარმოებთან. იყო შემთხვევა, როდესაც გარკვეული საქმიანობის არმქონე პირმა ილინმა, რომელსაც არ გააჩნდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, მოსკოვის ერთ-ერთ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების მთავარ მექანიკოსს მასლოვთან მოლაპარაკებით ელექტროლიზურ ვერცხლის ფორფიტებიდან გამოაღწრო 19 ვერცხლის ნამსხვრევი 30 კილოგრამი და 130 გრამი საერთო წონით. 1960 წლის თებერვალში ილინი შეეცადა მიეყიდა დაუდგენელი პირისათვის 11 ოქროს ნამსხვრევი 14 კილოგრამი და 352 გრამი საერთო წონით, მაგრამ დაკავებულ იქნა.

პლატინა, როგორც სავალუტო ოპერაციების საგანი გვხვდება უპირველეს ყოვლისა საყოფაცხოვრებო, ზოგჯერ კი ტექნიკურ ნაკეთობათა სახით, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში — რევოლუციამდელი მოჭრალი მონეტების სახით.

ისევე, როგორც სხვა რევოლუციამდელი კეთილშობილი ლითონები, პლატინის ნამსხვრევები. მავთულები და სხვა ტექნიკური ნაკეთობები არ შეიძლება შეძენილ იქნეს სხვანაირად თუ არა დანაშაულებრივი გზით. მაშასადამე, პლატინის აღმოჩენა ასეთი სახით ყოველთვის იძლევა იმის საფუძველს, რომ ის შეძენილია დანაშაულებრივი გზით.

მევალუტე პატარაკაციშვილის ბინის გაჩხრეკისას ამოღებულ იქნა 450 გრამი პლატინის ნამსხვრევი, ხოლო პაპისმედოვის ბინის დამხმარე სათავსოს ჩხრეკისას აღმოჩენილ იქნა პლატინის მავთულები.

სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ საგანს წარმოადგენენ ძვირფასი ქვები და მათი ნაკეთობანი. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ 1963 წელს მსჯავრდებულმა მევალუტე მოსესოვმა მიკირტუმოვისაგან იყიდა ერთი ოქროს ბეჭედი ოთხ კარატიანი ბრილიანტით, ხოლო შემდეგში გაყიდა ის 120.000 მანეთად, მანვე 1959 წელს იყიდა გოგიშვილისაგან 8 ოქროს სამაჯური საერთო თანხით 4000 მან. აქედან 6 ცალის გაყიდა მოასწრო, ხოლო 2 ამოღებულ იქნა ჩხრეკის დროს. მევალუტე ბლაზერის აგარაკზე ჩხრეკის დროს აღმოჩენილ იქნა 4 ბრილიანტის ქვა, დამალული ვალიდოლის აბების ბუდეში.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს უცხოური ქალაქის ვალუტაც წარმოადგენს სპეკულაციის არა ნაკლებად გავრცელებულ საგანს. მაგალითად, მსჯავრდებულ მსხვილ მევალუტე როკოტოვსა და სხვა თანამონაწილეებს ამოუღეს სხვადასხვა სახელმწიფოს ბევრი მონეტა, როგორც კეთილშობილი ლითონისა, ისევე ქალაქისა, როგორცაა: ამერიკული დოლარები, ინგლისური გირვანქა, სტერლინგები, ახალი და ძველი ფრანგული ფრანკები, შვედური კრონები, შვეიცარული ფრანკები, გერმანული მარკები, ავსტრიული შილინგები, დანიის კრონები და ჰოლანდიური გულდენები. სხვა საქმეებში მევალუტეების — იანკოვლევის, ნაზიმის, ბიკულოვის სპეკულაციის საგანს წარმოადგენდა ერაყული დინარები, იტალიური ლირები, ინდური რუპიები და ა. შ.

დანაშაულებრივ გარიგებათა საგნად უფრო ხშირად გვხვდება სხვადასხვა ღირებულების ამერიკული დოლარები, როგორც ოქროსი (უფრო იშვიათად), ისევე ქალაქისა. ეს უნდა აიხსნას იმით, რომ ამერიკული დოლარები, ისევე როგორც კანადური დოლარები, შვეიცარული ფრანკები და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს ფულადი ნიშნები, წარმოადგენენ ისეთ ვალუტას, რომელიც გადაქცევადი არიან და რომელთა კონვერტირება თავისუფლად შეიძლება ე. ი. ისეთების, რომელთა გადაცვლა შეიძლება ყოველგვარი შეზღავანების გარეშე.



ამერიკული დოლარების შესახებ ლაპარაკისას აუცილებელია მოვივიწყოთ გ. ი. ლენინის სიტყვები: „...ამერიკელი მილიარდერები თითქმის ყველაზე მდიდარნი იყვნენ და გეოგრაფიულად ყველაზე უშიშარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ... მათ მოხვეტეს ასეულ მილიარდობით დოლარი და ყოველ დოლარს აჩნევია სიბინძურის კვალი... ყოველ დოლარს აჩნევია გუნდა ტალახი „შემოსავლიანი“ სამხედრო მიწოდებებისა, რომლებიც ყოველ ქვეყანაში ამდიდრებდნენ მდიდრებს და აჩანაგებდნენ ღარიბებს, ყოველ დოლარს აჩნევია სისხლის კვალი — იმ ზღვა სისხლისა, რომელიც დაღვარეს 10 მილიონმა მოკლულმა და 20 მილიონმა დასახიჩრებულმა დიად, კეთილშობილ, განმათავისუფლებელ, წმიდათა წმიდა ბრძოლაში იმის გამო, ინგლისელ თუ გერმანელ ავაზაკს ერგება მეტი დავლა ინგლისელი თუ გერმანელი ჯალათები აღმოჩნდებიან პირველნი მთელი მსოფლიოს სუსტი ხალხების ჩახშობათა შორის“...<sup>1</sup>

ცალკეულ შემთხვევაში, როგორც ეს პრაქტიკიდან ჩანს უცხოურ ქაღალდის ვალუტით გარიგებათა რიცხვი დიდ ოდენობას აღწევს. მაგალითად, როკოტოვმა შეისყიდა იაკოვლევისაგან უცხოური ვალუტა, უპირატესად დოლარები 50.000 მანეთის საერთო თანხით. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ მსჯავრდებულმა ალტშულერმა ქ. რიგაში იყიდა რამდენიმე ათეული ამერიკული ქაღალდის დოლარი და მიჰყიდა ისინი თბილისში მსხვილ მევალუტეს კაკიაშვილს; ამ უკანასკნელმა 200 ამერიკული დოლარი მიყიდა სხვა საქმეზე მსჯავრდებულ გოგიშვილს. მევალუტე ცოციაშვილმა 1956 წელს მიჰყიდა დენორიაშვილს 1 000 ამერიკული დოლარი 1 5000 მანეთად; ცოციაშვილმა ამის შემდეგ მეორე გარიგება მოახდინა და იყიდა კაკიტელაშვილისაგან 40 ამერიკული დოლარი; მანვე იყიდა ალტშულერისაგან ერთი ამერიკული 20 დოლარიანი ოქროს მონეტა 2400 მანეთად.

იშვიათად გვხვდება უცხოური ვალუტით გამოწერილი სავადასახადო დოკუმენტები. მაგალითად, უცხოური ვალუტით გამოწერილი ჩეკებით უკანონო ოპერაციების ფაქტებს აღგილი ჰქონდა რამდენიმე საქმეში. 1959 წელს იაკოვლევმა 40 მანეთად იყიდა გოროხოვისაგან ჩეკი 20 ამერიკულ დოლარზე, მანვე 1960 წელს ზაფხულში იყიდა ერთ სპეკულანტისაგან ჩეკი 60 გირვანქა სტერლინგზე და 20—30 ამერიკულ დოლარზე, რაშიც გადაიხადა 150—200 მან. როკოტოვმა იაკოვლევისაგან იყიდა ჩეკი 60 ამერიკულ დოლარზე 270 მანეთად, ხოლო 1960 წლის ზაფხულში მსჯავრდებულ ბიკულოვისაგან იყიდა ერთი ჩეკი 110 ინგლისურ გირვანქა სტერლინგზე.

დანაშაულებრივ გარიგებათა საგანი ხშირად არის 1957 წლის სახელმწიფო სესხის ობლიგაციები. მაგალითად, მევალუტე ცოციაშვილმა ოთხჯერ მიყიდა მევალუტე იაკობაშვილს სახელმწიფო სესხის ობლიგაციები საერთო ღირებულებით 93000 მან. და გადაახდევინა მათში ნაღდი ფული 18600 მანეთი.

ელუაშვილმა ვალუტით დანაშაულებრივ გარიგებათა დადებისას ლენინგრაძელ მევალუტესაგან ოქროს მონეტების შესყიდვისას ფულთან ერთად გადაიხადა 1957 წლის სახელმწიფო სესხის ობლიგაციებიც 240000 მან. თანხისა.

მოსესოვის ბინის ჩხრეკისას სხვა სავალუტო ფასეულობებთან ერთად ამოღებულ იქნა აგრეთვე სახელმწიფო სესხის 1957 წლის გამოშვების ობლიგაციები 5400 მანეთის თანხისა და 15000 მანეთის თანხის 3 პროცენტისანი შინა წი მომგებიანი სესხის ობლიგაციები.

ამგვარად, სპეკულანტ—მევალუტეების დანაშაულებრივი საქმიანობის საგანი შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის ვალუტა და სავალუტო ფასეულობანი.

<sup>1</sup> გ. ი. ლენინი. თხზ. ტ. 28, გვ. 57-58.

## სამეცნიერო-ჯეინიკურ საშუალებათა გამოყენება კვლევარის საქმეთა გამოძიებისას

ავტოავარიის საქმეთა გამოძიების მეთოდისა ძალზე რთულია. გამოძიებ-  
ლისაგან იგი მოითხოვს ოპერატიულობას, პირველადი საგამომძიებლო მოქმე-  
დებების გადაუდებლად და ხარისხოვნად შესრულებას, კრიმინალისტიკის სა-  
მეცნიერო-ტექნიკური საშუალებების ღრმა ცოდნას, შემთხვევის ადგილის კვა-  
ლიფიციურად დათვალიერებას.

შემთხვევის ადგილის ხარისხოვნად და ღრულად დათვალიერებას ავტო-  
ავარიის საქმეებზე დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. შემთხვევის ადგი-  
ლის დათვალიერების შედეგად გამოძიებელს ნათელი წარმოდგენა ექნება  
მომხდარ ავტოავარიაზე, მის თანმიმდევრობაზე, საშუალება ეძლევა სწორი ვერ-  
სია აირჩიოს გამოძიების წარმატებით დამთავრებისათვის.

შემთხვევის ადგილზე სხვადასხვა კვანძები რჩება, რომელთაც დიდი  
მნიშვნელობა ენიჭებათ დანაშაულის გასხნაში. გამოძიებლის მიზანია მოძებნოს  
ეს კვანძები, იცოდეს მათი დამუშავება, ფიქსირება, შეფუთვა. ამ საქმეში კი გა-  
მომძიებელს დიდი დახმარება შეუძლია გაუწიოს კრიმინალისტიკის სამეცნიე-  
რო-ტექნიკურმა საშუალებებმა, რომლებიც საგამომძიებლო ჩანთაშია მოთავ-  
სებული.

ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება ჩვენი საგამომძიებლო პრაქტიკიდან,  
როდესაც ავტოავარიის მოხდენის ადგილზე აღმოჩენილი კვანძებით დადგენილ  
იქნა, როგორც ავტომანქანა, რომელმაც ავტოავარია მოახდინა, აგრეთვე თვით  
მძღოლი.

**შემთხვევის ადგილის ფოტოგრაფირება.** შემთხვევის ად-  
გილზე შემდეგი სახის ფოტოგადაღებები უნდა მოვახდინოთ: **ს ა ო რ ი ე ნ ტ ა -  
ც ი ო, მ ი მ ო მ ხ ი ლ ვ ე ლ ი, ს ა კ ვ ა ნ ძ ო და დ ე ტ ა ლ უ რ ი.**

**ს ა ო რ ი ე ნ ტ ა ც ი ო** ეწოდება შემთხვევის ადგილის ფოტოგრაფირებას  
გარემომცველ საგნებთან და პირობებთან ერთად (მაგ. დაზიანებული ავტომან-  
ქანის გადაღება გვერდზე მდებარე შენობებთან და მისასვლელ გზებთან ერთად).

**მ ი მ ო მ ხ ი ლ ვ ე ლ ი** გადაღება ეწოდება შემთხვევის ადგილის ფოტოგრა-  
ფირებას გარემომცველ საგნებსა და პიროვნების გარეშე (მაგ. მხოლოდ დაზიან-  
ებული ავტომანქანის გადაღება). მიმომხილველი ფოტოგრაფირება რამდენიმე  
მხრიდან უნდა მოვახდინოთ.

**ს ა კ ვ ა ნ ძ ო** ფოტოგრაფირება სავალდებულოა შემთხვევის ადგილზე აწ-  
სებული მნიშვნელოვანი მონაკვეთის მსხვილ მასშტაბში ფიქსირებისათვის.  
(მაგ. გვამის და ავტომანქანის ზუსტი მდებარეობა, ხანძრის კერა შემთხვევის  
ადგილზე და სხვა).

**დ ე ტ ა ლ უ რ ი** ეწოდება ცალკეული საგნებისა და კვანძების ფოტოგრაფი-  
რებას მათი აღმოჩენის ადგილზე. დეტალური ფოტოგრაფირება უნდა მოვახდი-  
ნოთ მილიმეტრული მასშტაბით უკეთეს შეუძლებელია შემთხვევის ადგილის  
ერთ კადრზე დატევა, რეკომენდებულია გამოვიყენოთ პანორამული ფოტოგა-  
დაღება

ასლო მანძილიდან გადაღებისათვის, მაგალითად, მანქანა ვიწრო შესახვევში, საჭიროა გამოვიყენოთ სასაზო პანორამის მეთოდი, ე. ი. ობიექტი გადავიღოთ რამდენიმე ობიექტიდან ერთნაირად დაშორებულ წერტილიდან. ყოველ მომდევნო კადრზე უნდა აღიბეჭდოს წინამდებარე კადრის ნაპირი.

შორი მანძილიდან გადაღებისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ირგვლივი პანორამის მეთოდი, ე. ი. ობიექტს გადავიღებთ ნაწილ-ნაწილ, აპარატის შტატივზე ტრიალით, თვით შტატივის გადაადგილების გარეშე.

გაშლილი ადგილის ფოტოგადაღების დროს მზის სხივებიდან დასაცავად ობიექტს უკეთდება ლითონის ან მუყაოს ცილინდრი ან კონუსი (ბლენდა). ამავე მიზნით ობიექტი შეიძლება ზევიდან დაიფაროს ქაღალდის ფურცლით, ბლოკნოტით, ხელით და სხვა.

ფოტოგადაღება ზამთრის პირობებში რეკომენდებულია ხდებოდეს ყვითელი შუქფილტრით და ბლენდით. აპარატის საკეტის ფარდის გაყინვისაგან დასაცავად საჭიროა მისი პალტოს ქვეშ ტარება.

იმ ობიექტის გადაღების დროს, რომელშიც მზის პირდაპირი სხივები ეცემა, მიზანშეწონილია ფანჯრებზე ჩამოიკიდოს თეთრი ფარდა და გადაღება მოხდეს ისეთი ყოვნით, რომელიც გათვალისწინებულია ნაკლებად განათებული ასარეკელი თეთრი ქაღალდის ან მატერიისაგან დამზადებული ეკრანებით.

გადასაღები ადგილის ხელოვნური განათებისათვის შეიძლება ვისარგებლოთ: ჩვეულებრივი ელექტროფოტონათურებით, ფეთქებადი ლამფებით, ავტოფარებით, ტერმისტული ასანთით, ჯიბის ელექტროფანქრით, მუშახტეთა ლამფით, ნავის ლამფით და სხვ.

იმ შემთხვევაში, როდესაც არ გვაქვს საკმარისად მძლავრი განათების წყარო შეიძლება შევქმნათ „მოდარავი სინათლე“, ე. ი. გავაღებთ რა აპარატის ობიექტს, ვაადგილებთ სინათლის წყაროს სხივს ობიექტის ერთი ადგილიდან მეორეზე.

ნახევრადბნელი ობიექტი შეიძლება გადავიღოთ დამატებითი განათების გარეშე 10-15 წუთიანი ყოვნით. ამ შემთხვევაში სიმკვეთრეზე დაყენება უნდა ვაწარმოოთ ასანთის ან სანთლის სინათლეზე. ფოტოაპარატი შტატივზე კარგად უნდა იქნას დამაგრებული.

კადრის გაფუჭების თავიდან ასაცილებლად შემთხვევის ადგილის გადაღების დროს მიზანშეწონილია ყოველი წერტილიდან მოვახდინოთ რამდენიმე გადაღება სხვადასხვა ყოვნით.

**გ ვ ა მ ი ს ფ ო ტ ო გ რ ა ფ ი რ ე ბ ა შე მ თ ხ ვ ე ვ ი ს ა დ გ ი ლ ზ ე.** გვამი უნდა გადავიღოთ:

- ა) გარემოსთან ერთად;
- ბ) გარემოს გარეშე, იზოლირებულად;
- გ) მსხვილი მასშტაბით (გვამის ნაწილების გადაღება);
- დ) ამოსაცნობი ფოტოგრაფიის წესებით (თუ გვამის პიროვნება დაუდგენელია).

შენიღებული (დამალული) გვამი მიზანშეწონილია გადავიღოთ შენიღბვის საგნებით (ტოტებით, თივით და სხვა) და მათ გარეშე.

გარემოსთან ერთად გვამის გადაღება ჩვეულებრივად ხდება რამდენიმე მხრიდან.

ამ დროს ფოტოაპარატით გადაღება ხდება სავარაუდო ოთხკუთხედის

კუთხეებიდან. ფოტოაპარატიდან გვამამდე მანძილი უნდა იყოს ისეთი, რომ გვამის გამოსახულებამ დაიკავოს კადრის სიგრძის დაახლოებით 1/3 ნაწილი.

გვამის გარემოს გარეშე (იზოლირებულად) გადაღება რეკომენდებულია ვაწარმოოთ ორი მოპირდაპირე მხრიდან (გვერდითი გადაღება) ისე, რომ ობიექტივის ოპტიკური ღერძი იყოს გვამის ღერძის პერპენდიკულარული.

ამას გარდა გვამი სასურველია გადავიღოთ ზემოდან (ვერტიკალური გადაღება). ამისათვის საჭიროა ფოტოაპარატი დამაგრდეს სამფეხა შტატივზე ქვემოთ მიმართული ობიექტივით. თუ ხელთ გვაქვს ნორმალური გამოსახულებით კუთხიანი ობიექტივი უნდა მოხდეს ორი ან სამი კადრის გადაღება. ფართეკუთხიანი ობიექტივით გადაღება ერთი კადრით შეიძლება მოვახდინოთ. ამ შემთხვევაში ობიექტივი უნდა იყოს გვამის შუაზე.

გვამის პანორამულ ფოტოგადაღებას (ვერტიკალური და გვერდითი) აწარმოებენ რამდენიმე გვამიდან ერთი და იგივე მანძილით დაშორებული წერტილებიდან. მეტრული სკალის მიმთითებელს აყენებენ 1,25 დანაყოფზე. ხოლო სიმკვეთრეზე დასაყენებლად ფოტოაპარატს უახლოებენ გვამს იმდენად, რომ გამოსახულება აღარ ორდებოდეს. ჩვეულებრივ პანორამული ფოტოსურათი სდგება ორი ნაწილისაგან. პირველი ფოტოგადაღების დროს ობიექტივის ოპტიკური ღერძი გადის ძუძუებთან, ხოლო მეორე გადაღების დროს კი ფეხის მუხლებთან.

ჩამოკიდებული გვამი შეძლებისდაგვარად გადაიღება წინიდან და უკნიდან, ხოლო თუ ასეთი გადაღების დროს ყველა მნიშვნელოვანი დეტალები არ გამოჩნდება, იღება დამატებითი ფოტოსურათები, რომლებზედაც უნდა იყოს მითითებული ყულფის, ხელის მტევნების და სხვათა მდგომარეობა.

**დანაწევრებული გვამის აღმოჩენისას საჭიროა:**

ა) გვამის ნაწილები გადავიღოთ აღმოჩენის ადგილზე პირველად მდგომარეობაში;

ბ) ყოველი ნაწილი გადავიღოთ ცალ-ცალკე;

გ) სასამართლო ექიმ-ექსპერტის დახმარებით შევადროთ გვამის ნაწილები და ნაწილებისაგან შემდგარი გვამი გადავიღოთ.

გაყინული გვამი საჭიროა გადავიღოთ ორჯერ — გაღობამდე და ოთახის ტემპერატურაზე გაღობის შემდეგ.

გვამის ნაწილები, რომლებსაც აქვთ დამახასიათებელი თავისებურებანი (ჭრილობები, ნაჭდევები, სისხლის ნაყდენთები, გვამური ლაქები და ა. შ.). საჭიროა გადაღებული იქნან ცალკე მსხვილ მასშტაბში მილიმეტრიანი სახაზავით, ასევე უნდა იქნას გადაღებული ტანსაცმლის დაზიანებული ლაქები.

ამოუცნობი გვამის პიროვნების დასადგენად აუცილებელია ამოცნობითი ფოტოგადაღების გამოყენება შემდეგი წესების დაცვით:

ა) უკეთეს გვამის სახე ძალზე დამახინჯებულია, საჭიროა მისი აღდგენა (სახის აღდგენას აწარმოებს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი და როგორც წესი, მორგში);

ბ) გვამის სახე უნდა იქნას გადაღებული აღდგენამდე და აღდგენის შემდეგ;

გ) გვამი უნდა იქნას გადაღებული იმ ტანსაცმელში, რომელშიც იგი იყო აღმოჩენილი; ტანსაცმლის უქონლობის შემთხვევაში მიზანშეწონილია გვამს გადავაფაროთ რაიმე ქსოვილი (რადგან ეს ჩვეულებრივია იმ პირთათვის, რომელთაცამოსაცნობად წარედგინებათ გვამი); დაუშვებელია გვამზე სხვისი ტან-

საცმლის ჩაცმა, რადგან ამან შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს ის პირები, რომელთაც გვამი ამოსაცნობად წარედგინება;

დ) გვამი უნდა იქნას გადაღებული წინიდან, მარჯვენა პროფილში, მარცხენა პროფილში და სახის სამი მეოთხედის მობრუნებით;

ე) უკეთუ გვამის გაშეშება არ გაქრა, ფოტოგადაღებისას გვამს აყუდებენ კედელზე და ასე იჭერენ ან სვამენ და აბამენ სკამის ზურგზე, ხოლო თავს ხელით იჭერენ. უმეტეს შემთხვევაში გვამს ათავსებენ იატაკზე ან მაგიდაზე პირისახით ზემოთ.

ვ) ქუდს ფოტოგადაღების წინ ხდიან;

ზ) თმებს ყურებიდან აგდებენ;

თ) გვამის თავს აძლევენ ისეთ მდგომარეობას, რომლის დროსაც წარმოსახული ჰორიზონტალური ხაზი გადის თვალის გარე კუთხესა და ყურის ნიჟარის ზემო მესამედში.

**კვალები შემთხვევის ადგილზე, მათი ფოტოგრაფირება, დამუშავება და ფიქსირება.**

**I ფეხის კვალები;** ავტოგრაფირების მოხდენის ადგილზე გამომძიებელმა შეიძლება აღმოაჩინოს. აღამიანის ფეხის კვალები დატოვებული მანქანის მძღოლის ან სხვა პირის მიერ. ხშირ შემთხვევაში მანქანის მძღოლი შემთხვევის ადგილზე პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით არ რჩება, მაგრამ ქვეით მოსიარულეზე ან სადგომზე დაჯახების დროს მანქანიდან გადმოდის და სტოვებს ფეხის კვალს. ასეთ შემთხვევებში მძღოლის ვინაობის დასადგენად დიდი მნიშვნელობა აქვს ფეხის კვალებს. აქედან გამომდინარე გამომძიებელმა უნდა იცოდეს მათი ფოტოგრაფირება, სათანადოდ დამუშავება და ფიქსირება.

ფეხის კვალები შემდეგი სახისაა: მოცულობითი და ზედაპირული. როგორც ერთი ისე მეორე შეიძლება დატოვებულ იქნეს როგორც ფეხსაცმლით ისე შიშველი ფეხით. მოცულობითი კვალი რჩება ნიადაგზე, როგორცაა მიწა, თიხა, ქვიშიანი ადგილი, თოვლი და სხვა. ზედაპირული კვალი მაგარ ნიადაგზე, როგორცაა ფიცარი, ქვის იატაკი, ასფალტი და სხვა. მოცულობით კვალებს თავისი დამუშავების და ფიქსირების წესი აქვს, ზედაპირულს თავისი.

ფეხის კვალის აღმოჩენისას გამომძიებელი ვალდებულია ზუსტად მიუთითოს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში მისი სახეობა, ზედაპირის დახასიათება, სადაც ის იქნა აღმოჩენილი, ზუსტი ადგილმდებარეობა, კვლების მიმართულება და მათი მდგომარეობა გარემომცველ საგნებთან შედარებით (თუ რამდენიმე კვალია დატოვებული), კვალის ზუსტი ზომა (საერთო სიგრძე, სიგანე, ქუსლის სიგრძე, სიგანე, ლანჩის სიგრძე, სიგანე და სხვა).

ფეხის კვლების ფოტოგრაფირება უნდა ვაწარმოოთ მასშტაბით, რისთვისაც საჭიროა კვალის გვერდით მოვთავსოთ მილიმეტრიანი დანაყოფების მქონე სახაზავი. აპარატი უნდა დამაგრდეს ისე, რომ ობიექტივის ოპტიკური ღერძი მიმართული იყოს კვალის ცენტრზე.

კვალები თოვლში უნდა გადავიღოთ ყვითელი ან ნარინჯისფერი შუქფილტრით. კვალის პირველი სახით გადაღების შემდეგ მიზანშეწონილია მისი მეორედ გადაღება მასზე გრაფიტის მშრალი ფხვნილის წაყრით, რაც კვალის რელიეფს უფრო მკვეთრს გახდის.

ფეხის კვალები უნდა ამოვიღოთ საგანსა ან, თუ შესაძლებელია მის ნაწილ-

თან ერთად; თუ ეს შეუძლებელია უნდა დავამზადოთ მოცულობითი კვლების ტვიფარები.

თაბაშირის ტვიფარები. კვლების დასამზადებლად გამოიყენება მშრალი, წვრილად დაფხვნილი თაბაშირი. არსებული მურკლები უნდა დაიშალოს. თაბაშირი გაიცრას საცერსა ან მარლაში და თუ სველია, გავაშროთ. ტვიფარი დამზადებამდე უნდა შემოვმდეს თაბაშირის ვარგისიანობა, ამისათვის კი საჭიროა 1, 1/2 სუფრის კოვზი თაბაშირი გავხსნათ ერთ სუფრის კოვზ წყალში. თუ თაბაშირი ვარგისია, მასა დაახლოებით 15 გრადუსის შემდეგ შრება. თითის დაჭერისას წყალი არ გამოდის, ხოლო თაბაშირის მასა თითებით არ მოიზილება, მხოლოდ ტყდება.

**მაგარ ნიადაგზე კვალის ტვიფარის მისაღებად საჭიროა:**

ა) კვალი პინცეტით გაიწმინდოს გარეშე ნაწილაკებისაგან, მასზე წყლის არსებობისას, იგი ამოვწუროთ მილით, ქაღალდის ან მატერიის ნაჭრებით;

ბ) არც თუ ისე ღრმა კვალი შემოვფარგლოთ მუყაოს ან მინის პატარა ჯებირით;

გ) დამზადდეს კარკასის დეტალები სიგრძივი და განივი ჩხირების ან მავთულის ნაჭრების სახით (აღამიანის ფეხის კვალის ტვიფარისათვის დავამზადოთ ორი განივი და ორი სიგრძივი დეტალი); ერთ-ერთ განივ დეტალს გამოვაბათ კანაფი;

დ) კვალი შევავსოთ თაბაშირის დაყრის და დასხმის წესით.

დაყრის წესის დროს საჭიროა: თაბაშირი კვალში დაახლოებით ნახევრამდე ჩავყაროთ (მაგარ ნიადაგზე დავყაროთ ნელნელა კოვზით, სუსტ ნიადაგზე კი მარლისა ან საცერის მეშვეობით) დავდოთ კარკასის ჯერ განივი, ხოლო შემდეგ სიგრძივი დეტალები. (განივი დეტალები უკანაფოდ მოვათავსოთ ლანჩის, ხოლო კანაფიანი დეტალი — ქუსლის ანაბეჭდის შუაში); კვალი კოვზითვე გავავსოთ თაბაშირით; თაბაშირზე დადებულ მარლაზე ან თხელ ქსოვილზე წყალი ვასხათ იქამდე, სანამ იგი არ დაიწყებს დაგუბებას;


დასხმის წესის გამოყენებისას საჭიროა: დავამზადოთ თაბაშირის მასა; თუ თაბაშირი სამედიცინოა — 1 ნაწილ წყალზე ავიღოთ 1 ნაწილი თაბაშირი. თუ იგი ბათქაშისაა — 1 ნაწილ წყალზე ავიღოთ 1,25—1,5 ნაწილი თაბაშირი (აღამიანის ფეხის კვალის ტვიფარის დასამზადებლად საჭიროა 2,5—3 ჰქიამდე წყალი და 500—600 გრ. თაბაშირი);

კვალში ჩავასხათ თაბაშირის 1—1,5 სმ. სისქის მასა (ჩასხმა დავიწყოთ ქუსლის ან ცხვირის ანაბეჭდის მხრიდან, რის დროსაც პირველი ნაკადი მივმართოთ ნიადაგზე კვალის გვერდით, ხოლო შემდგომში მივყვეთ აქეთ-იქით მიმდინარე მამის ნაპირს), დავაწყოთ კარკასის დეტალები და ზემოდან დავასხათ თაბაშირის დანარჩენი მასა;

ე) ტვიფარის გამაგრების (15—20 წუთის) შემდეგ იგი ამოვიღოთ კვალიდან ყოველი მხრიდან შემოთხრის შემდეგ;

ვ) ამოღებულ ტვიფარიდან სუფთა წყლით ჩამოვრეცხოთ ნიადაგის მიკრული ნაწილაკები. ტვიფარის გარეცხვის დროს დაუშვებელია მისი გახეხვა ხელით ან ჯავრისით, რადგან შესაძლოა მოვსპობთ კვალის ინდივიდუალური თავისებურებანი.

უკეთეს კვალი ძალზე სველ ნიადაგშია, მიზანშეწონილია მის ამოსაღებად გამოვიყენოთ დაყრის წესი.



**ტვიფარების შეფუთვა:** ტვიფარის კარკასის დეტალზე გამოზმული კანაფის ნაჭერს უკეთდება ფანერის ან მუყაოს პატარა ფურცელი (საჭდე) ისე, რომ დარჩეს კანაფის თავისუფალი ბოლო. საჭდეზე უნდა გაუკეთდეს წარწერა (ტვიფარის სახეობა, კვალის აღმოჩენის ადგილი, საქმის დასახელება, თარიღი). წარწერა უნდა იქნას დამოწმებული გამომძიებლისა და თანაშემწეთა ხელმოწერებით. კანაფის თავისუფალი ნაწილი უნდა დაილუქოს. ტვიფარი უნდა მოვათავსოთ რბილ შესაფუთ მასალიან ყუთსა ან კოლოფში (ბამბა, ძენძი). უკეთუ საჭდე რაიმე მიზეზით არ იყო დამაგრებული ტვიფარზე, წარწერები და ხელმოწერები უნდა გაკეთდეს ყუთზე, ყუთი კი შეიკრას და დაილუქოს.

## II ხელის კვალები.

არის შემთხვევები, როდესაც ავტოგრაფის მოხდენის შემდეგ მძლოლი შემთხვევის ადგილზე სტოვებს ავტომანქანას, თვით კი მიიძალება. ასეთ შემთხვევებში გამომძიებელმა ავტომანქანაზე უნდა ეძებოს თითის კვალები. როგორც ავტომანქანის ნაწილებზე, მაგალითად საჭეზე, ასევე სხვა საგნებზე, რომლებიც ავტომანქანაში აღმოჩნდებიან. საგნები და ნაწილები, რომლებზედაც შეიძლება დარჩეს თითის კვალები ფრთხილად უნდა ვათვალიეროთ (მიზანშეწონილია რეზინის ხელთათმანებით), რათა თავიდან ავიცილოთ კვალების დაზიანება.

ნაკლებად ხილული ოფლცხმიანი კვალების (მაგალითად, მინაზე) აღმოსაჩენად საგანი უნდა ვაბრუნოთ და ვათვალიეროთ სხვადასხვა ხედვით და განათებით.

უჩინარი ოფლცხმიანი კვალები (მაგ. ქაღალდზე) შეიძლება გამოვავლინოთ ფხვნილებით შეღებვის შედეგად ან იოდის ორთქლით. ნაკლებად ხილული კვალების შეღებვა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ კვალის საგნის ამოღება შეუძლებელია. საგანი, რომელზედაც არის ან სავარაუდოა იყოს ოფლცხმიანი კვალი, არ შეიძლება სიცივიდან პირდაპირ თბილ სადგომში შევიტანოთ, რადგან ტენიანობისაგან შესაძლოა კვალის გაქრობა; ამიტომ კვალის საგანი პირველად უნდა შევიტანოთ გრილ სადგომში (ყათარში ტერასაზე, დერეფანში, რომელსაც არ ათბობენ და სხე).

**ხელის კვალების დათვალიერებისას ოქმში აღინიშნება შემდეგი მონაცემები:**

- ა) რა საგანზე იმყოფება კვალი (დასახელება, დანიშნულება);
  - ბ) საგნის მასალა და მდგომარეობა (როგორია ზედაპირი: მშრალი, ტენიანი, მტვრიანი და ა. შ.);
  - გ) კვალის სახეობა (მოცულობითი, ზედაპირული, ოფლცხმიანი, ნაკლებად ხილული, უჩინარი, შეღებილი);
  - დ) კვალის ადგილმდებარეობა (მანძილი ორ უძრავ ორიენტირამდე);
  - ე) შეღებილი კვალის ფერი;
  - ვ) აღბეჭდილი პაპილარული ქარგის ტიპი: რკალური, მარყუჟოვანი, ხვეული;
  - ზ) კვალის სიგრძე და სიგანე;
  - თ) კვალის ფიქსირების და შეფუთვის ხერხი (რა მასალაშია შეფუთული და რა ბეჭდით არის დალუქული).
- ხელის კვალის ამოღება. კვალი პირველ რიგში უნდა ვადავილოთ, შემდეგ კი ამოვიღოთ საგანთან ან მის ნაწილთან ერთად.

უკეთეს კვალის ამოღება საგანთან ერთად შეუძლებელია, იგი უნდა შეიღებოს ფხვნილით და გადატანილი იქნას კვალის გადამღებ ფირზე, ფოტოფირზე ან ფოტოქაღალდზე.

კვალი მტვერზე გადატანილ უნდა იქნას კვალის გადამღებ ფირზე, ფოტოფირზე ან ფოტოქაღალდზე მისი ფხვნილით წინასწარი შეღებვის გარეშე.

**ხელის კვალების ფოტოგრაფირება.** საერთო წესები:

ა) პირველად უნდა გადავიღოთ საგანი, რომელზედაც მოთავსებულია ხელის კვალი და ამ საგნის აღმოჩენის ადგილი;

ბ) ხელის კვალები უნდა გადავიღოთ მილიმეტრიანი მასშტაბით (ქაღალდის პატარა ზოლზე რამდენიმე მილიმეტრიანი დანაყოფებით),

გ) ფოტოკამერის უკანა მხარე დავაყენოთ კვალის პარალელურად;

დ) ობიექტივის დიაფრაგმა უნდა დაიხუროს 6,3-9-მდე;

ე) გამოვიყენოთ კონტრასტული ფოტომასალა.

**შენიშვნა:** სისხლიანი თითის კვალები შეიძლება გადაღებულ იქნას ამ წესიდან გადახრით, მაგრამ სურათების ხარისხი იქნება რამდენადმე უარესი.

**ოფლცხმიანი ნაკლებად ზილუფი კვალების გადაღება** ხდება აპარატით, რომელსაც მქრქალი მინა აქვს, ბნელ ოთახში, კვალების გვერდითი სინათლის ვიწრო ზოლით განათებისას გადაღება შესაძლოა მხოლოდ სპეციალური საცმის მეშვეობით. ამისათვის საჭიროა გამნათებელს ჩამოვაცვათ შავი ქაღალდის ზუფი. ანარეკლი სინათლით გადაღებისას კვალი უნდა გავანათოთ 45 გრადუსით.

უკეთეს კვალები განლაგებულია გამჭვირვალე მასალაზე, მაშინ უკანა მხარეს უნდა მივაფაროთ შავი ქსოვილი ან ქაღალდი, ან შევღებოთ შავი ტუშით (თუ ბოთლზეა-შიგ უნდა ჩავასხათ შავი ფერის ტუში).

უკეთეს ოფლცხმიანი კვალის გადაღების დროს ვერ მივიღეთ საკმაოდ კონტრასტული გამოსახულება, მაშინ კვალი უნდა დავმტვეროთ ფხვნილით და შემდეგ გადავიღოთ.

**ოფლცხმიანი კვალების შეღებვა ფხვნილებით.** კვალის შესაღებად ამორჩეული ფხვნილი მიზანშეწონილია გამოვცადოთ საცდელ კვალზე, რომელიც უნდა აღვებჭლოთ ისეთივე ზედაპირზე, როგორზეც გამოსაკვლევი კვალია მოთავსებული.

უკეთეს ფხვნილი ტენიანია და შეიცავს მურკლებს იგი უნდა დავფხვნათ და გავაშროთ.

უკეთეს ზედაპირი, რომელზეც კვალია მოთავსებული, ნესტიანია, იგი უნდა გავაშროთ ოთახის ტემპერატურაზე.

თუ კვალი პორიზონტალურ ზედაპირზეა განლაგებული, საჭიროა მშრალი ფუნჯით ავიღოთ ფხვნილი და ფუნჯის ტარზე თითის დარტყმით თანაბრად დავყაროთ კვალზე. ფხვნილის ზედმეტობა მოვაცილოთ საგნის მეორე მხარეზე დაკაუნებით ან კვალზე სუფთა ფუნჯის გასმით.

ქაღალდზე კვალის აღმოსაჩენად საჭიროა მასზე დავყაროთ მცირე რაოდენობით ფხვნილი, რამდენჯერმე გადავაადგილოთ სხვადასხვა მხარეს ქაღალდის მეორე მხრიდან თითის მირტყმით ან ქაღალდის სხვადასხვა მხარეს გადახრით, რის შემდეგ ზედმეტი ფხვნილი კოლოფში ჩავყაროთ ან გადავყაროთ.

ქაღალდზე კვალების გამოსავლინებლად მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ლუქის ფხვნილი (წვრილად დანაყილი ლუქი); ლუქის ფხვნილით შეღებილი კვალი უნდა გამაგრდეს, რისთვისაც მას ფრთხილად მიუახლოვოთ ანთებული ასანთი (სითბოს ზეგავლენით ლუქის ნაწილაკები მჭიდროდ ჯდება ქაღალდში).



ფხვნილებით შეღებილი ან მტვერზე არსებული ხელის კვალების გადტანა კვალის გადამღებ ფირზე ასე უნდა მოხდეს:

ა) მოვჭრათ ფირის ნაჭერი (თითის კვალისათვის ზომით  $4 \times 4$  სმ);

ბ) მოვაცილოთ დამცველი ფენა;

გ) ფირის წებოვანი მხარე დავადლოთ კვალს და გავგლინოთ რეზინის ლილვაკით;

დ) კვალს მოვაცილოთ ფირი, დავფაროთ დამცველი ფენით და ზემოდან გავგლინოთ რეზინის ლილვაკით მათ შორის ჰაერის ბუშტულების გაქრობამდე;

ე) კვალის ფირი დავყოთ მუყაოს ნაჭერზე, რომელიც მასზე 3—4 ჯერ მეტი უნდა იყოს და მივაკეროთ ერთმანეთს ისე, რომ კვალი არ დაზიანდეს.

ვ) ფირი დავლუქოთ.

**იოდის ორთქლით ოფლცხიმის კვალების შეღებვის ხერხები.** უკეთეს ხელთ არა გვაქვს კვალების იოდის ორთქლით შებოღვის სპეციალური მოწყობილობა, მაშინ უნდა გამოვიყენოთ ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი ხერხთაგანი:

ა) იოდის კრისტალები უნდა ჩაიყაროს ფაიფურის ან ლითონის ფინჯანში, რომელიც ცეცხლზე უნდა გვეჭიროს, თითის კვალის სავანი მოვათავსოთ იოდის ორთქლში, რომელიც ანაბეჭდს შეღებავს.

ბ) იოდის ორთქლში გავატაროთ სუფთა მინის ფირფიტა და მივადლოთ კვალის აღმოჩენის ადგილს.

კვალის სწრაფად გაუფერულების თავიდან ასაცილებლად რეკომენდებულია მისი გადაღება სახამებლიან ფირზე. ამისათვის დასვენებულ ფირს სახამებლიანი ფენით დაადებენ კვალს და დააწვებიან.

**სახამებლიანი ფირის უქონლობის შემთხვევაში** კვალის ქაღალდის ფურცელი თავსდება მინის ორ სუფთა ფირფიტას შორის და დაწებოვდება (წებოვანი ქაღალდით ან საიზოლაციო ლენტით). ამ მდგომარეობაში კვალი ინახება 2 კვირამდე.

**ხელის კვალის სავანების შეფუთვის წესი:** ა) სავანი შევფუთოთ ისე, რომ კვალი არ ეხებოდეს შემფუთველ მასალას;

ბ) სავანი დავამაგროთ ისე, რომ არ ინძრეოდეს;

გ) შესაფუთი მასალა საკმაოდ გამძლე უნდა იყოს, რათა გადატანის დროს კვალი არ დაზიანდეს;

დ) კვალის სავანი მიზანშეწონილია გავჭედოთ მუყაოს ან ფანერის ნაჭრებს შორის, რომლებიც ფართით ამ სავანს აღემატებიან, მაგრად შევკრათ კანაფით, გავახვიოთ ქაღალდში, ჩავდოთ ყუთში და დავლუქოთ;

ე) ყუთს გავუკეთოთ წარწერა სავანის დასახელებით, კვალის ამოღების ადგილის, დროისა და საქმის მითითებით;

ვ) წარმოება უნდა დამოწმდეს გამომძიებლის და თანაშემწეთა ხელმოწერებით;

**III. სატრანსპორტო საშუალებათა კვალები.** ავტომანქანის საბურავების კვალების დათვალიერებისას, როცა ასეთი რჩება შემთხვევის ადგილზე, გამომძიებელმა უნდა დაადგინოს და მიუთითოს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში:

ა) იმ ნიადაგისა და გზის სახე და მდგომარეობა, სადაც აღმოჩენილი იქნა კვალი (გზა-ასფალტირებული, ყამირგზა; ნიადაგი-თიხიანი, შავმიწა, ქვიშიანი, ნიადაგის მდგომარეობა — მშრალი, სველი, მტვრიანი და ა. შ.);

ბ) კვლების სახეობა (მოცულობითი, ზედაპირული);  
გ) კვლების განლაგების ადგილი (მოსახვევში, სწორხაზოვანი მოძრაობის მონაკვეთზე).

დ) კვლების რაოდენობა;  
ე) თითოეული კვალის სიგანე;

ვ) წინა და უკანა თვლების კვლების შეფარდება (მთლიანად იფარებიან თუ წინა თვლების კვლების ნაწილი შენარჩუნებული იქნა ზოლის სახით — მითითებულ იქნას, რა სიგანისაა იგი);

ზ) მოცულობითი კვლების მაქსიმალური სიგრძე გზის ზედაპირთან შეფარდებით;

თ) ლიანდის ზომა (ე. ი. მანძილი მარჯვენა და მარცხენა კვლების ცენტრებს შორის).

ი) პროტექტორის აგებულების ნახატი (შემდგარი კლაკნილი, სწორი, წყვეტილი ხაზებისაგან და ა. შ.).

ლ) თვალის ერთი ბრუნის კვალის სიგრძე;

ნ) მოძრაობის მიმართულების ნიშნები.

**ავტომანქანის საბურავების კვალების ფოტოგრაფირება.** გადაღებისათვის უნდა ამოვირჩიოთ კვალის ის ნაწილი, რომელზედაც აღბეჭდილია ზედაპირის აგებულების დეტალების ანაბეჭდების ყველაზე უფრო მკაფიო გამოსახულება. კვალი უნდა გადავიღოთ მილიმეტრიანი სახაზავით ან მეტრით.

ფოტოაპარატის და განათების დაყენების საერთო წესები იგივეა, რაც ფეხის კვალების გადაღების დროს.

**ავტომანქანების საბურავების კვალების ტვიფარების დამზადება.** ტვიფარი უნდა დამზადდეს კვალის იმ ნაწილისა, რომელშიც ყველაზე უფრო მკვეთრად არის მოცემული საბურავის ინდივიდუალური თავისებურებანი; იმისათვის, რათა თაბაშირის მასა არ გაიდღაბნოს კვალზე. საჭიროა კვალის რჩეული მონაკვეთი შემოვფარგლოთ მუყაოს ან ფანერის ნაჭრებით ან მინით.

ტვიფარების დამზადების საერთო წესი იგივეა, რაც ფეხის კვალის ტვიფარების დამზადების დროს.

შემთხვევის ადგილზე ხშირად რჩება ავტომანქანა, რომელმაც ავტოავარია მოახდინა, აგრეთვე მანქანა, რომელიც დაზიანდა ავარიის შედეგად. რაიმე სადგომზე ან მეორე მანქანაზე შეჯახებისას ავტომანქანაზე რჩება დაზიანებანი. ვამომძიებელმა უნდა იცოდეს ამ დაზიანების (კვალების) აღმოჩენის, დამუშავებისა და ფიქსირების წესი.

უპირველეს ყოვლისა, გამომძიებელმა უნდა მოახდინოს დაზიანებათა (კვალების) ფოტოგრაფირება მასშტაბის საშუალებით. შემდეგ უნდა მოახდინოს მათი ზუსტი აღწერა (ადგილმდებარეობის მითითებით) და ზუსტი გაზომვა. კვლების გაზომვის დროს უნდა მიეთითოს მათი სიგრძე, სიგანე, სიღრმე, განლაგება მიწასთან (ან სხვა ზედაპირთან) შეფარდებით.

**ოთარ მგელაძე,**

თბილისის სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის უფროსი ექსპერტი-კრიმინალისტი.



## აღმოჩენის სამართალი

პროფ. ს. ჯორჯენაძე

აღმოჩენის სამართალი ხელს უწყობს მეცნიერების როლის გაძლიერებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

აღმოჩენის სამართალი საბჭოთა სამოქალაქო სამართლის დამოუკიდებელი იურიდიული ინსტიტუტია. მისი ზემოქმედება სამყაროს მეცნიერული კვლევის წარმართვაზე განუზრვლად ღრმავდება და ფართოვდება. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში სულ სამი მუხლია აღმოჩენის იურიდიულ ინსტიტუტის შესახებ (529—531 მუხლები). ეს იმითაა გაძოვრებული, რომ აღმოჩენის ურთიერთობას მხოლოდ საკავშირო კანონმდებლობა აწესრიგებს. ამიტომაც აღმოჩენის სამართლის დახასიათებისათვის აუცილებელია საერთო-საკავშირო ნორმების შესწავლა.

აღმოჩენის სამართალი საბჭოთა სამოქალაქო სამართლის შედარებით ახალი ინსტიტუტია. მართალია, იურიდიულ ლიტერატურაში დიდი ხანია გამოთქმულია შეხედულებანი მეცნიერული აღმოჩენის განსხვავებული სამართლებრივი დაცვის შესახებ, მაგრამ მას არ უბოვნია საკანონმდებლო აღიარება 1947 წლამდე.

1947 წლის 14 მარტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა კომიტეტი, რომელსაც დაევალა როგორც გამოგონების, ისე აღმოჩენის დაცვა. გამოგონებისა და აღმოჩენის კომიტეტის შესახებ დებულებანი (დაძტვიცებულია 1956 წლის 23 თებერვალს) პირველად იქნა შემოღებული აღმოჩენის სახელმწიფო რეესტრი პრიორიტეტის დასადგენად, აღმოჩენის ავტორებისათვის დიპლომის გაცემის წესი და ა. შ.

აღმოჩენის მარეგულირებელ ძირითად ნორმატიულ აქტს ამჟამად წარმოადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1959 წელს დამტკიცებული დებულება და ინსტრუქცია აღმოჩენის, გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შესახებ.

აღმოჩენის, როგორც შემოქმედებითი შრომის პროდუქტის თავისებურება განაპირობებს მისი დაცვის სპეციფიკურობას, საავტორო და საგამომგონებლო სამართალთან შედარებით.

1. აღმოჩენის ცნება, მისი ნიშნები. აღმოჩენის ცნება ნორმატიულ აქტებში ნახშირია მეცნიერული აღმოჩენის აზრით. არ არსებობს საჭიროება განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ე. წ. მარტივი და მეცნიერული აღმოჩენა. ეს უკანასკნელი ესმით როგორც ათა მარტო არსებითი კანონზომიერების კონსტატაცია, არამედ მისი მეცნიერული დასაბუთება. მეცნიერული აღმოჩენისათვის მთავარია მიღწეული შედეგი კვლევისა და არა მისი გამოხატვის ფორმა. ფორმა შეიძლება ზეპირიც, მოხსენების, მეცნიერული შრომის სახით, სქემით, ფორმულით და ა. შ. მეცნიერული აღმოჩენის შინაარსი სრულიადაც არ იცვლება. მისი გამოხატვის სხვადასხვა ფორმის გამო.

აღმოჩენა, ანუ რაც იგივეა მეცნიერული აღმო-

საქართველო  
საბჭოთა კავშირი

ჩენა, ეს არის მატერიალური სამყაროს უცნობი ობიექტურად არსებული კახოხოშიებების, თვისებისა და მოვლენის დადგენა.

აღმოჩენა ეს ბუნების ობიექტური კანონზომიერების მიკვლევაა. არ შეიძლება ბუნების კანონების გამოგონება, შეიძლება მხოლოდ მეცნიერულად გამოამყარონ მათი არსებობა, გაიგონ და დაადასტურონ მოვლენა. მაგრამ მეცნიერული აღმოჩენა როდია ბუნებაში არსებული მოვლენებისა და ფაქტების აღნუსხვა, მათი უბრალო რეესტრი. მეცნიერულმა აღმოჩენამ უნდა აგვიხსნას კავშირი და ურთიერთხეობა მიკვლეული კანონზომიერებისა მოვლენათა მთელს ერთობლიობაში. სწორედ ამით განსხვავდება მეცნიერული აღმოჩენა ბუნების მოვლენებსა და კანონზომიერებაზე უბრალო დაკვირვებისაგან, ჩვეულებრივი მიხვედრისაგან.


მეცნიერების ძლევაშილი განვითარების ისტორია ეს აღმოჩენების ურღვევი ჯაჭვია. დიდ აღმოჩენებთან ერთად ხშირად მეცნიერების ახალი დარგებიც ჩამოყალიბებულა. ყოველი ახალი აღმოჩენა არა მარტო აღრინდელ აღმოჩენებს ემყარება, არამედ გულისხმობს ძველი ცოდნის საზღვრების გადალახვას, ძველი აღმოჩენის უარყოფასაც და ახლის დადასტურებას.

აღმოჩენის სიძნელე ყოველთვის აუცილებელი დაკვირვების ჩატარებაში კი არ მდგომარეობს, არამედ მეცნიერებაში ჩამოყალიბებული ტრადიციული იდეების მსხვრევაში. ეპოქალური აღმოჩენების ავტორები იმავე დროს რევოლუციური მეცნიერული აზრების გამტარებლებიც არიან. მეცნიერების ვახუზრელი პროგრესი როდი უგულვებელყოფს აღრინდელი აღმოჩენის როლს. ყოველი დიდი აღმოჩენა ნაწილია კაცობრიობის აზროვნების საერთო საგანძურისა. როგორც ჯონ ბერნალი წერს „მეცნიერება ეს გაცილებით მეტია, ვიდრე ცნობილი ფაქტების, კანონებისა და თეორიების ერთიანი კომპლექსი. რამდენსაც ამსხვრევს, ხშირად იმდენსაც ქმნის რა კრიტიკის მიმდინარეობაში — მეცნიერება მუდმივად აღმოაჩენს ახალ ფაქტებს, კანონებს და თეორიებს. მიუხედავად ამისა მეცნიერების ნაგებობა არ წყვეტს ზრდას. იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მუდმივად რემონტშია, მაგრამ იმავდროულად ყოველთვის გრძელდება მისი სარგებლობა“<sup>1</sup>.

მეცნიერული აღმოჩენებს წარმოადგენს არა მხოლოდ მატერიალური სამყაროს კანონზომიერებანი, არამედ ამ სამყაროს მოვლენები და თვისებანი, რომელნიც ახლებურ დადასტურებას წარმოადგენენ უკვე ცნობილი ობიექტური კანონისა, ანდა გვეხმარებიან ახალ კანონზომიერების დადგენაში. ამასთან როდი შეიძლება ერთმანეთს დაეუპირისპიროთ ობიექტური კახოხოშიებანი, ერთის მხრივ, და მოვლენა და თვისება მეორეს მხრივ. ცალკეული თვისებები და მოვლენები განხილულ უნდა იქნას, როგორც უფრო ზოგადი კანონზომიერების გამოვლინებანი. ბუნებაში აღრე უცნობი ქიმიური, ფიზიკური, ბიოლოგიური და სხვ. პროცესების მიგნება ხშირად გამხდარა შემდგომ ობიექტური სამყაროს კანონზომიერების აღმოჩენის პირობა. მეცნიერულ აღმოჩენას მიეკუთვნება აგრეთვე სამყაროს აღრე უცნობი საგნების (ელემენტების) მიგნება. ლაპარაკია არა რაიმე ნივთის მზამზარეულ პოვნაზე, არამედ შემოქმედებითი კვლევის შედეგად, მაგალითად ახალი ქიმიური ელემენტის აღმოჩენაზე.

მეცნიერების მძლავრი გარდამქმნელი ძალა ჩვენს დროში იმაშიც პო-

<sup>1</sup> Д. Бернал, Наука в истории общества, 1956 г. стр. 27.



უღობს თავის გამოხატულებას, რომ აღმოჩენის შედეგად შესაძლებელი ხდება ისეთი ქიმიური ელემენტების მიღება, რომლებიც ბუნებრივი სახით სამყაროში არ არსებობენ.

სამყაროს ახალი მოვლენისა და ახალი თვისების აღმოჩენის შედეგად უკვე შეცნობილი ობიექტური კანონზომიერება მთელი სისრულითა და მრავალმხრივობით წარმოგვიდგება. მაგალითად, ახალი ქიმიური ელემენტების აღმოჩენა, ამ ელემენტების ახალი თვისების დადგენა ავითარებს და აღრმავებს მენდელეევის პერიოდულ კანონს.

მატერიალური სამყარო შემეცნების ამოუწურავი ასპარეზია. მეცნიერული აღმოჩენის შესაძლებლობა განუხრელად იზრდება და ფართოვდება, ვინაიდან უსაზღვროა შემეცნებითი აზრის შეჭრა ბუნების საიდუმლოებაში, სადაც ადამიანის წინაშე იშლება სრულიად ახალი კანონები, საგნები და მოვლენები სამყაროში.

აღმოჩენის ცნებისათვის საკმარისი არაა ობიექტური კანონზომიერების მიგნება, ამგვარი მიგნება, დადგენა უნდა იყოს ახალი მსოფლიო მეცნიერებისათვის. აღმოჩენისათვის როდღი კმარა მეცნიერის ცოდნა, ერთდროულად, საჭიროა ამასთან ერთად მან ახალი კანონზომიერება თუ მოვლენა ან თვისება მიაკვლიოს. სიახლეც არის და სიახლეც. ამ სიახლეს არსებითი ხასიათი უნდა ჰქონდეს. ამას ადგენს არა თვითონ აღმოჩენის ავტორი, არამედ სათანადო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, სადაც აღმოჩენის გახაცხადია დასკვნისათვის გადაგზავნილი. ამ დასკვნაში უნდა დადასტურდეს აღმოჩენის არსებობის ან არ არსებობის ფაქტი.

აღმოჩენა მისი ავტორის შემოქმედებითი შრომის შედეგია. შემოქმედებითი შრომა აქ გამოხატულია ისეთი მეცნიერული ცნების ჩამოყალიბებით, რომელიც სამყაროს მანამდე უცნობ კანონზომიერებას, თვისებას ანდა მოვლენას ასახავს. ამასთან მნიშვნელობა არა აქვს იმ გზების განსხვავებას, რომელთა შედეგად აღმოჩენა იქნა მიღწეული. არც მეცნიერის ხარისხი ან ასაკი თამაშობს აქ გადამწყვეტ როლს. შესაძლებელია აღმოჩენა მეცნიერების მოსაზღვრე დარგში, ან მეცნიერების სხვადასხვა დარგების მიჯნებზე.

სამართლებრივი შედეგებისათვის ასევე სულერთია რა დრო მონადრომა პირმა მეცნიერულ აღმოჩენას. არ არსებობს საჭიროება ვილაპარაკოთ ე. წ. მოულოდნელ აღმოჩენაზე, აღმოჩენა-მიხვედრაზე, აღმოჩენა-გამოკვლევაზე, აღმოჩენა-დაკვირვებაზე და ა. შ. მთავარია სამყაროს ობიექტურ კანონზომიერების ახალი მომენტების დადგენა, დამოუკიდებლად იმისა რა ხერხებით ხდება ეს. ამასთან ე. წ. „შემთხვევითი“ აღმოჩენები სინამდვილეში მათი ავტორების ხანგრძლივი კვლევის, ფართო ერთდროისა და მიზანსწრაფვის შედეგია. შემთხვევითი აქ შეიძლება იყოს ის უშუალო საბაბი, რაც აღმოჩენას წინ უსწრებდა, მაგრამ ი. ნიუტონის მიერ მსოფლიო მიზიდულობის კანონის აღმოჩენა ყოველმხრივ კანონზომიერი იყო: მეცნიერების განვითარების არსებული დონე და ამ აღმოჩენის ავტორის გენიალური ნიჭი და ფართო ერთდროისა აუცილებელი პირობა გახდა სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ობიექტური კანონის დადგენისა.

აღმოჩენა სამყაროში არსებულ კანონზომიერებას შეიცნობს და ადგენს და ამით იგი მკვეთრად განსხვავდება მეცნიერულ ჰიპოთეზისაგან, რომელიც ერთ მოვლენაზე შეიძლება რამდენიმე ვარიანტით არსებობდეს და აქედან მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი შეიძლება იქცეს შემდგომ აღმოჩენად.

საქართველო  
საგარეო ურთიერთობების  
მინისტრის  
სამართალი

მართალია, აღმოჩენისათვის მთავარია მიღწეული შედეგი და არა მისი გამოხატვის ფორმა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ აღმოჩენა მხოლოდ მისი ავტორის წარმოდგენაში არსებობს, ისე რომ გარეშე პირთ არ უნდა შეეძლოთ ამ აღმოჩენის აღქმა. აღმოჩენა გაცილებით აღრე შეიძლება არსებობდეს, ვიდრე მისი მეცნიერული დასაბუთება, მაგრამ აღმოჩენის ცნების გამოხატვის ობიექტური ფორმა მაინც აუცილებელია. არ კმარა ის, რომ მეცნიერმა აღმოჩენა დამთავრებულად ჩათვალოს და თავისთვის წამოიძახა — „ვერიკა!...“

აღმოჩენამ უნდა ჰპოვოს გამოხატულება სხვებისათვის გასაგებ განსაზღვრული ფორმით. სხვა საკითხია რომ კანონი არ ზოლდავს აღმოჩენის ამ ფორმის ამორჩევაში, მაგრამ დასძენს, რომ განაცხადი აღმოჩენაზე უნდა შეიცავდეს მის აღწერას. ამგვარი აღწერა გულისხმობს აღმოჩენის წარდგენილ ფორმულას, ე. ი. მოკლედ, მკაფიოდ და ამომწურავად უნდა იყოს გამოსახული განმცხადებლის მიერ მოვლენილი ობიექტური კანონზომიერებათა, თვისებათა და მოვლენათა არსი, საჭიროების შემთხვევაში ნახაზები; აღწერა უნდა შეიცავდეს აგრეთვე წარმოდგენილ დებულებათა სისწორის თეორიულ ან ექსპერიმენტულ მტკიცებებს და ცნობებს იმის შესახებ, თუ სად და როდის იქნა ეს მტკიცებანი გამოქვეყნებული. აღმოჩენის ამ აღწერას სავარაუდოდ ხასიათი აქვს, ვინაიდან სათანადო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებიდან აღმოჩენის სიხალის ექსპერტიზის თაობაზე დადებითი პასუხის მიღების შემდეგ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გამოგონებისა და აღმოჩენის საქმეთა კომიტეტი ავტორთან შეთანხმებით ადგენს აღმოჩენის საბოლოო ფორმულას.

განსაზღვრული აზრით აღმოჩენის შესაძლებლობა მეცნიერების ყველა დარგში არსებობს. აღმოჩენა, ახალი დასკვნების მიღება მეცნიერული შრომის მიზანი და მისი სასურველი ფინალია. როგორც შენიშნავს აკადემიკოსი ი. ი. კრაჩკოვსკი „მეცნიერული კვლევის პროცესი ერთნაირად ძვირფასია იმისათვისაც, ვინც ლაბორატორიებში რეტორტასთან დგას და იმისათვისაც, ვინც მაგიდაზე მდებარე ხელნაწერს ჩასჩიჩინებს“.<sup>1</sup>

ყველა მეცნიერული აღმოჩენა სამყაროს ახალ ობიექტურ კანონზომიერების დადგენასთან არაა დაკავშირებული. აღმოჩენის ცივილისტური ცნება კი მხოლოდ ამ ობიექტურად არსებულ კავშირურთიერთობას გულისხმობს. ამიტომაც აღმოჩენის სამართალი არ გრცელდება ყველა შესაძლებელ მეცნიერულ აღმოჩენაზე, არამედ მხოლოდ მის ნაწილზე. 1959 წლის დებულებაში აღმოჩენათა, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა შესახებ პირდაპირ მითითებულია (მუხ. 2), რომ გეოგრაფიულ, არქეოლოგიურ და პალეონტოლოგიურ აღმოჩენაზე, სასარგებლო წიაღისეულთა აღმოჩენებზე და აღმოჩენებზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში დიპლომები არ გაიცემა. მათსადამე, ამ დარგებში მომხდარი აღმოჩენა არ არის დაცული აღმოჩენის სამართლით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ უგულვებელყოფილია ამ დარგებში მეცნიერული აღმოჩენის შესაძლებლობა. უნდა აღვნიშნოთ, რომ არქეოლოგის, ისევე როგორც სასარგებლო წიაღისეულის მპოვნელის უფლებები სამართალში დაცულია სხვადასხვა ნორმებით, მაგრამ არა აღმოჩენის სამართლით. აღმოჩენის სამართლის მოქმედების სფერო მატერიალური სამყაროს კანონზომიერებათა, თვისებათა და ახალ მოვლენათა დადგენითაა განსაზღვრული. იქ, სადაც ამგვარი მოვლენა გვაქვს მიგნებული აღმოჩენის სამართლის ნორმები

<sup>1</sup> Акад. И. Ю. Крачковский, Над Арабскими рукописями, 1948, стр. 10.



მოქმედებენ. მაგალითად, ახალი კანონზომიერების, თვისებისა და მოვლენის დადგენა გეოლოგიურ მეცნიერებაში აღმოჩენის ობიექტი შეიძლება გახდეს, მაგრამ ასეთ ობიექტად ვერ გახდება გეოლოგის ან სხვა პირის მიერ წიაღისეულის პოვნა.

მატერიალური სამყარო ეს ჩვენს გარშემო მყოფი ობიექტურად არსებული სამყაროა. მატერიალურ სამყაროს მართა ბუნება კი არ წარმოადგენს, არამედ საზოგადოებაც. ამიტომაც უნდა გვახსოვდეს, რომ ობიექტურ კანონზომიერების აღმოჩენაში დიდი მიღწევები აქვს ბიოლოგიურ მეცნიერებას. 'შემთხვევითი როლია ის გარემოება, რომ მეცნიერების ამ დარგში აღმოჩენებისათვის მრავალი დიპლომა გაცემული.

2. აღმოჩენის სამართლის სუბიექტები. აღმოჩენის ავტორს აქვს განსაზღვრული უფლებანი და მოვალეობანი. აღმოჩენის სუბიექტად შეიძლება იყოს მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწე და რიგითი მუშაკი, პირი, რომელიც პროფესიით არც კია მეცნიერი. მაშასადამე, მთავარია აღმოჩენის ნამდვილად არსებული ფაქტი. ავტორი ის პირია, რომელიც თეორიულად ანდა ექსპერიმენტალურად ასაბუთებს თავის აღმოჩენას.

აღმოჩენის ავტორობის დადგენის წესი გათვალისწინებულია 1959 წლის „დებულებაში“ და შემდეგ მის გასავითარებლად გამოსულ ხორმატულ აქტებში.

აღმოჩენის არსებობაზე (გამოქვეყნებულზეც და გამოუქვეყნებელზეც) განაცხადი უნდა შეიტანოს თვითონ ავტორმა. მას შეუძლია ეს შეინდოს რომელიმე ორგანიზაციას, ამგვარი განაცხადის შეტანის უფლება აქვს აღმოჩენის ავტორის მემკვიდრეებს. განაცხადი ერთ აღმოჩენას უნდა შეეხებოდეს. განაცხადი შეიტანება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გამოგონებისა და აღმოჩენების სახელმწიფო კომიტეტში.

სახელმწიფო-კომიტეტი აღმოჩენის ფაქტის დადასტურების შემდეგ ადგებს აღმოჩენაში ავტორის პრიორიტეტის საკითხს, ატარებს აღმოჩენას სახელმწიფო რეესტრში და ამის შესახებ პუბლიკაციას ათავსებს გამოგონებათა ბიულეტენში ან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სათანადო ყურნალში. გამოქვეყნების თარიღად ითვლება გამოგონებათა ბიულეტენის ან ყურნალის ამ ხომარის დაბეჭდვაზე ხელმოწერის თარიღი. ერთი წლის გასვლის შემდეგ ამ თარიღიდან თუ კი არ არის ამაზე პროტესტი ვინმეს მხრივ, აღმოჩენა ეძლევა დიპლომი. აღმოჩენის რეესტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში მისი გასაჩივრება განაცხადის ავტორს შეუძლია კომიტეტის თავმჯდომარესთან, ანდა მის მოადგილესთან. მათი გადაწყვეტილება საბოლოოა.

ჩვენს დროში უსწრაფესად იზრდება რიცხვი აღმოჩენებისა, რომლებსაც მეცნიერთა კოლექტივები აღწევენ. მეტიც, როგორც წესი, აღმოჩენებს ხშირად ყავს ორი ან მეტი ავტორი. ამ გზით წარმოიშობა თანავტორობა აღმოჩენაში. თუ აღმოჩენა ორი ან მეტი პირის მიერ არის დადგენილი თითოეულ მათგანს უფლება აქვს მიიღოს დიპლომი, რომელშიც აღინიშნება ყველა თანავტორის სახელი, მამის სახელი და გვარი.

მეტად მნიშვნელოვანია იმის დადგენა თუ ვინ უნდა ჩაითვალოს თანავტორად. არ ჩაითვლებიან თანავტორებდ ის პირები, რომლებმაც ტექნიკური დახმარება (ნიმუშების და ნახაზების დამზადება, გაანგარიშების შესრულება, ექსპერიმენტებზე დაკვირვება და ა. შ.) გაუწიეს აღმოჩენის. ავტორობის, ისე როგორც თანავტორობის საკითხი ერთ აღმოჩენაზე უნდა დადგინდეს. ამიტომაც

არ შეიძლება თანავეტორობა იქ ვნახოთ, სადაც ერთი ახალი აღმოჩენა მეორე აღრინდელი აღმოჩენის საფუძველზე კეთდება.

იმ ვითარებაში, როცა სამყაროს ობიექტური კანონების შემეცნების ისტორია აღმოჩენათა უწყვეტი ჯაჭვია, თითქმის შეუძლებელი იქნებოდა ისეთი ქიმიურად „წმინდა“ აღმოჩენის დადგენა, რომელიც განსაზღვრულად არ იქნებოდა გამოზღინარე აღრინდელი აღმოჩენებიდან.

თანავეტორები, როგორც წესი, ერთად იკვლევენ ბუნების ობიექტურ კანონზომიერებას, თვისებასა და მოვლენას. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა დადგენილი იქნება დროში დამთხვევა ფაქტიური პრიორიტეტისა ორი დამოუკიდებლად მომუშავე მეცნიერის მხრივ, შეიძლება დაისვას საკითხი თანავეტორობისა. მეცნიერების ისტორია იცნობს ისეთ ობიექტურ კანონებს, რომლებიც ორი აღმომჩენის სახელებითაა ცნობილი. არ ქმნის თანავეტორობას აღმოჩენის დადგენა ერთი პირის მიერ, ხოლო მეორეს მიერ მისი გახვრცობითი ახსნა და დასაბუთება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საქმე გვაქვს სავეტორო სამართლით დაცულ ურთიერთობასთან.

მეცნიერული კვლევა მიზდინარეობს განსაზღვრული პირის ხელმძღვანელობით, რომელიც შეიძლება მხოლოდ ინიციატორი იყოს პრობლემის დაყენებისა, მხოლოდ იღებს იძლეოდეს. თავისთავად შიშველი მეცნიერული ისტორიკია კვლევის ხელმძღვანელისა არ კმარა თანავეტორობისთავის. აქ ყველაფერს წყვეტს შემოქმედებითი ელემენტების შეტანა მიღწეულ აღმოჩენაში, რაც დავის დროს კომპეტენტურმა ექსპერტიზამ უნდა დაადასტუროს.

ჩვენს ქვეყანაში მატერიალური სამყაროს კანონზომიერებათა, მოვლენათა და თვისებათა აღმოჩენა ხდება მძლავრ სამეცნიერო ცენტრებში — ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლებლებში, საკვლევ ლაბორატორიებში და ა. შ. ბუნებრივია, ამ ვითარებაში იბადება კითხვა, შეიძლება თუ არა ცალკეული სამეცნიერო ცენტრი, როგორც იურიდიული პირი, გამოვაცხადოთ აღმოჩენის უფლების ავტორად.

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელი ან თანამშრომლები არიან ავტორები ყოველთვის აღმოჩენისა. საბჭოთა სამართალი თანამიზღვერულად იცავს მეცნიერ თანამშრომელთა ამ უფლებას. ამას ხელს როდი უშლის ის გარემოება, რომ აღმოჩენა მიღწეულ იქნა გეგმიურ თემაზე მუშაობის დროს და მასზე ინსტიტუტის სახსრები დაიხარჯა. ყველა შემთხვევაში დაცულია აღმომჩენის ავტორობა. ავტორს მხოლოდ ის ევალება, რომ მიუთითოს იმ სამეცნიერო დაწესებულებაზე, სადაც მან აღმოჩენა დაადგინა.

სამოქალაქო სამართლით უარყოფილია იურიდიული პირის ავტორობა აღმოჩენაზე, მაგრამ აქ ერთადერთი გამონაკლისია დაშვებული: იმ აღმოჩენაზე, რომელიც კოლექტიური შემოქმედების შედეგს წარმოადგენს და როცა შეუძლებელია მასზე ცალკეული პიროვნების ავტორობის დადგენა. დიპლომი გაიცემა იმ ორგანიზაციის სახელზე, სადაც ეს აღმოჩენა შესრულებული. აქ ლაპარაკია არა იმაზე, რომ ყველა შესაძლებელ შემთხვევაში ორგანიზაციები გამოვაცხადოთ ავტორებად აღმოჩენისა და წავართვათ ეს უფლება იმ პირებს, რომლებიც ფაქტიური ავტორები არიან. კანონის მიერ დაშვებული ეს გამონაკლისი გათვალისწინებულია სწორედ იმ შემთხვევისათვის, როცა აღმოჩენის კოლექტიურად შესრულების (აქ ცალკეული წევრის წილი სხვადასხვა შეიძლება იყოს) გამო შეუძლებელია კონკრეტული ავტორის დადგენა. მაშასადამე, ყველა შესაძლებელ შემთხვევაში უპირველესად აღმოჩენის კონკრეტული ავ-





ტორი უნდა ვიპოვნოთ. პრაქტიკულად იშვიათად შეიძლება დაისვას საკითხი იურიდიული პირის ავტორობის უფლებისა აღმოჩენაზე.

აღმოჩენის ავტორი შეიძლება იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქეც. მაგრამ მას ეს უფლება ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე ეძლევა.

3. აღმოჩენის ავტორის უფლების შინაარსი. აღმოჩენის საქართველოს სსრ მოქალაქე სამართლის კოდექსის 529-ე მუხლით უფლება აქვს მოითხოვოს აღიარება აღმოჩენის ავტორობისა და აღმოჩენაში თავისი პრიორიტეტისა, რაც დასტურდება დადგენილი წესის მიხედვით დიპლომის გაცემით. კოდექსის ამ მუხლში მითითებაა ავტორის უფლებაზე, მაგრამ ყველა აღმოჩენის კარგად უნდა ესმოდეს, რომ დიპლომის გაცემა უზრუნველყოფს არა მარტო პირის ავტორობას და პრიორიტეტს, არამედ სახელმწიფო პრიორიტეტსაც. დიპლომის გაცემით ოფიციალურად ეს პირი ცხადდება აღმოჩენად და პრიორიტეტიც აღმოჩენაში მას მიეკუთვნება, თუმცა ამ მოქმედების შესრულებამდეც იყო იგი ავტორი.

აღმოჩენის აქვს პირადი და ქონებრივი უფლებანი თავის აღმოჩენაზე.

მას დიპლომის მიღებამდე უფლება აქვს მიაკუთვნოს აღმოჩენას თავისი სახელი (ფსევდონიმი) ან სხვა სპეციალური სახელწოდება, რაც დიპლომში აღინიშნება. ეს მეტად საბატიო უფლებაა აღმოჩენისა.

ისტორიულად აღმოჩენის უფლების დაუცველობით აიხსნება ის გარემოება, რომ ბევრ აღმოჩენას არა აქვს სახელწოდება. თუ მაინც ავტორების სახელითაა ცნობილი დიდმნიშვნელოვანი აღმოჩენები, ეს აიხსნება ამ პირთა მეცნიერული დამსახურების დაფასებით და არა კანონმდებლობის შტრივ პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვით. სამყაროს მრავალ ობიექტურ კანონს მეცნიერებაში მიღებული ტრადიციით ავტორის სახელი ჰქვია: მაგალითად, არქიმედის კანონი, ნიუტონის კანონები, მენდელეევის პერიოდული სისტემა და ა. შ. ბუნების ობიექტურ მოვლენათა აღმოჩენა აღნიშნულია მათი ავტორების სახელებით: ტორიჩელის სიცარიელე, რენტგენის სხივები, კოხის ჩხირები და ა. შ. ანდა ავტორების მიერ შექმნილი სახელებით: პოლონიუმი, გალიუმი, გერმანიუმი და ა. შ. ფიზიკაში ხშირად ზომის ერთეული მისი ავტორებს გვარებით გვხვდება (ვოლტი, ამპერი, ვატი, ჰერცი და ა. შ.), ასევე ობიექტურ პროცესებისა და თვისების მიგნება მისი ავტორის სახელიდან შეიძლება მიმდინარეობდეს (გალვანიზაცია, პასტერიზაცია და ა. შ.). აღმოჩენის ავტორების პირადი არაქონებრივი ინტერესი გაცილებით უფრო სრულად იქნებოდა დაცული, რომ ეს ბუნებრივი სამართალში ყოფილიყო გათვალისწინებული.

აღმოჩენის უმნიშვნელოვანესი უფლებაა მეცნიერული პრიორიტეტის უფლება. ეს უფლება თავისთავად არაქონებრივი ხასიათისაა, მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ავტორის უფლებებს შორის. მეცნიერული აღმოჩენის მიღწევა როდია მხოლოდ მისი ავტორის პირადი კმაყოფილების წყარო. იმის დადგენა, რომ მეცნიერმა ისე გააკეთა, რაც მანამდე არავის არ გაუკეთებია, საზოგადოებრივადაც მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ავტორის პრიორიტეტის მიხედვით დადგინდება შემდგომ სახელმწიფოს პრიორიტეტი ამ აღმოჩენაში. ამას თან პრიორიტეტის (პირველობის) დადგენა აღმოჩენაში ხდება არა განაცხადის შეტანის მომენტიდან, არამედ იმ დროიდან, როცა აღმოჩენა ფაქტიურად შესრულდა. ამიტომაც შესაძლებელია აღმოჩენის პრიორიტეტის თარიღისა და მასზე დიპლომის გაცემაზე განაცხადის შეტანას შორის რამდენიმე წელიწადიც გავიდეს. აღმოჩენის დღიდან განაცხადის შეტანაზე არ არის ვადა განსაზღვრუ-

ლი, მიუხედავად ამისა, ავტორები არ უნდა აგვიახებდნენ განაცხადის შეტანას, ვინაიდან ამან შემდგომ შეიძლება პრიორიტეტის თარიღის დადგენაში სიძველეს წარმოშვას. „დებულებაში“ (მუხ. 27) პირდაპირაა აღნიშნული, რომ იმის გადასაწყვეტად, თუ რა თარიღიდან უნდა იქნეს ნაანგარიშები აღმოჩენის რეგისტრაციის (პრიორიტეტის — პირველობა თარიღის) დრო, სავარაუდოდ აღმოჩენის ავტორი ვალდებულია განაცხადთან ერთად წარადგინოს სახელმწიფო ორგანიზაციის მიერ შემოწმებული საბუთები, რომლებიც აღასტურებენ, თუ როდის იყო პირველად ჩამოყალიბებული აღმოსაჩენად წარდგენილი დებულება. იმ შემთხვევაში, როცა ამგვარი დოკუმენტები ვერ იქნება წარდგენილი, ავტორის პრიორიტეტი დადგინდება გამოგონებისა და აღმოჩენის კომიტეტი განაცხადის წარდგენის დღიდან. ყოველივე ეს აღასტურებს იმის საჭიროებას, რომ აღმოჩენმა არ უნდა დააყოვნოს განაცხადის შეტანა დიპლომის მიღებაზე, თუმცა აღმოჩენის სავალდებულო სახელმწიფო რეგისტრაცია ჩვენი კახოხმდებლობით არაა გათვალისწინებული.

დიპლომის გაცემა აღმოჩენაზე ავტორობის და პრიორიტეტის აღიარებაა, მაგრამ ეს როდი იძლევა საფუძველს ვილაპარაკოთ აღმომჩენის განსაკუთრებულ უფლებაზე, თავისებურ „სამეცნიერო საკუთრებაზე“. აღმოჩენა მას შემდეგ, რაც მისაწვდომი ხდება იგი სხვების აღქმისათვის, დაუყოვნებლივ იქცევა მეცნიერების საერთო საგანძურის ნაწილად. ამიტომ ავტორს არა აქვს უფლება მოითხოვოს აღმოჩენის „ხელშეუხებლობა“. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა პირს შეუძლია გამოიყენოს აღმოჩენა მეცნიერული ექსპერიმენტებისათვის, ახალი აღმოჩენის მიღწევისათვის, აღმოჩენის საფუძველზე გამოგონების შექმნისათვის. ამ გზით აღმოჩენის ავტორობისა და პრიორიტეტის დარღვევა კი არ ხდება. არამედ, პირიქით, ეს დადასტურებაა აღმომჩენის ძვირფასი ობიექტური კანონზომიერების ადექვატურად ასახვისა, აღმოჩენის ამგვარი გამოყენება მხოლოდ ეთანხმება მისი ავტორის ინტერესებს, მათ შორის ქონებრივ ინტერესებსაც.

მეცნიერული აღმოჩენისათვის დადგენილია ერთდროული წამახალისებელი ჯილდოს გაცემა. მას დიპლომთან ერთად იძლევა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გამოგონებისა და აღმოჩენის საქმეთა კომიტეტი. ერთდროულად წამახალისებელი ჯილდო განსაზღვრულია ხუთი ათას მანეთამდე. ეს თანხა ეძლევა ავტორს, ან ყველა თანაავტორს ერთად. თანაავტორები შემდგომ ურთიერთ შეთანხმებით მას ინაწილებენ. ამ ჯილდოს წამახალისებელი მნიშვნელობა აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ ავტორებს (თანაავტორებს) არა აქვთ უფლება მოითხოვონ ამ ჯილდოს აუცილებლად მიღება. ჯილდოს გაცემის საკითხს გამოგონებისა და აღმოჩენის კომიტეტი წყვეტს. ორგანიზაციის სახელზე დიპლომის გაცემისას ერთდროული ჯილდო ეძლევა ამ ორგანიზაციას იმ პირთა წასახალისებლად, რომელმაც ხელი შეუწყვეს აღმოჩენას. ერთდროული ჯილდოს გაცემას გამოგონებისა და აღმოჩენის კომიტეტი აწარმოებს იმის მიუხედავად გამოიყენება თუ არა აღმოჩენა რაიმე ფორმით სახლხო მეურნეობაში.

გარდა ამ ერთდროული წამახალისებელი ჯილდოსი, ჩვენს ქვეყანაში აღმოჩენის ავტორებისათვის გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის პრემიების გაცემის შესაძლებლობაც. როგორც ცნობილია, ყოველწლიურად ლენინურ პრემიის ლაურეატთა შორის ხშირია თვალსაჩინო მეცნიერული აღმოჩენის ავტორები.



აღმოჩენის ავტორებისათვის სხვა მთელი რიგი შეღავათებია გათვალისწინებული შრომის, საგადასახადო და საბინაო ურთიერთობებში. მათ შავალითად, აქვთ უპირატესი უფლება სხვა ყველა თანაბარ პირობებში დაიკავონ მეცნიერ მუშაკების თანამდებობანი სათანადო ორგანიზაციებში; აქვთ დამატებით საცხოვრებელ ფართობზე უფლება. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი აღმოჩენისათვის მის ავტორებს შეიძლება დაცვის გარეშე ძიეკუთვხოს მეცნიერების დოქტორის ხარისხი.

სპეციალური წესებია დადგენილი საილუმლო აღმოჩენებისათვის.

საბჭოთა კანონმდებლობა დიდმნიშვნელოვნად ოვლის ავტორობის (თანაავტორობის) დაცვას. ამიტომ ავტორობის მითვისება, თანაავტორობაზე იძულება, თანაავტორებად იმ პირთა ჩათვლა, რომელნიც აღმოჩენაზე ძუშაობაში მონაწილეობას არ ღებულობდნენ, ავტორის ნებადაურთველად აღმოჩენის წინადადების არსის განმარტება განაცხადის შეტანამდე შეიძლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მიზეზიც გახდეს (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლით).

დავას აღმოჩენის ავტორობის თაობაზე სასამართლო წყვეტს. ასევე სასამართლო წყვეტს დავას თანაავტორობის შესახებ. ამ დროს დავა შეიძლება ეხებოდეს იმას, რომ პირი რომელმაც განაცხადი შეიტანა, არ არის ერთადერთი ავტორი, ან როცა თანაავტორად დასახელებულ პირის მიმართ დაობენ, რომ მას პრობლემის შემოქმედებით გადაწყვეტაში ფაქტიური მონაწილეობა არ მიუღია. სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შესაბამისად გამოგონებისა და აღმოჩენის კომიტეტი აუქმებს აღრინდელ დიპლომს და ადგებს ახალ ავტორს ან თანაავტორებს.


სასამართლო განხილვას ექვემდებარება თანაავტორობა შორის დავა წამახალისებელი ფულადი ჯილდოს განაწილების შესახებ.

თუ აღმოჩენის ავტორმა მის სიცოცხლეში არ გამოიყენა უფლება დიპლომის მიღებისა ეს შეუძლია გააკეთოს მისმა ძეშკვიდრებმა. ძეშკვიდრებს შეიძლება მიეცეს წამახალისებელი ჯილდო ან სხვა ფულადი პრემიის თახხები.

4. აღმოჩენის სამართლის თანაფარდობა საავტორო და გამომგონებლობის სამართალთან. აღმოჩენის სამართალი გაცილებით ახალი ინსტიტუტია საბჭოთა სამოქალაქო სამართლისა, ვიდრე საავტორო და გამომგონებლობის სამართალი. ამას ის ფაქტი ადასტურებს, რომ პირველი ნომერი დიპლომი აღმოჩენაზე მხოლოდ 1961 წლის დასაწყისში გაიცა გამომგონებისა და აღმოჩენის კომიტეტის მიერ აღმოჩენ ნ. ი. კაზანოვზე, სახელწოდებით „კაბანოვის ეფექტი“. აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მიღებამდე, ე. ი. 1961 წლის დეკემბრამდე არც ერთ ნორმატიულ აქტში არ ყოფილა განხილული აღმოჩენის ურთიერთობა სამოქალაქო სამართლის დამოუკიდებელ ინსტიტუტად. ამჟამადც შეიძლება დაისვას საკითხი აღმოჩენის სამართლის დამოუკიდებლად არსებობის ძიხანძეწონილების შესახებ, მით უფრო როცა აღმოჩენისა და გამომგონებლობის სამართლის ნორმების უდიდესი უმრავლესობა ერთიან აქტებად არსებობენ დღესაც.

აღმოჩენის სამართალი უპირველესად უნდა განვასხვავოთ საავტორო სამართლისაგან.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 488 და 489 მუხ-



ლები ითვალისწინებენ საავტორო უფლების დაცვას მეცნიერულ ნაწარმოებზე. აქ საავტორო სამართალი იცავს მეცნიერულ ნაწარმოებს და მხოლოდ იმდენად აღმოჩენას, ზამდენადაც იგი მასშია გამოხატული. აღმოჩენის ამგვარი დაცვა როდია საკმარისი. ჯერ ერთი, როგორც უკვე აღვნიშნეთ აღმოჩენა შეიძლება გაცილებით ადრე იქნეს დადგენილი, ვიდრე მისი ლიტერატურულ-სამეცნიერო ნაწარმოების სახით გაფორმება მოხდებოდეს. ამიტომაც აღმოჩენისათვის არ არის სავალდებულო ის, რომ მან მეცნიერული ნაშრომის განვრცობითი ფორმა მიიღოს. ხშირად ეპოქალური აღმოჩენა ერთი ფორმულით შეიძლება გამოიხატოს. ამასთან მეცნიერული ნაწარმოებისათვის არ არის საჭირო, რომ მან ყოველთვის სამყაროს ახალი კანონზომიერება თვისება და მოვლენა დაადგინოს. მეცნიერული ნაშრომი უკვე ცნობილი აღმოჩენის, თეორიის, ჰიპოთეზის მიმოხილვას, პოპულარიზაციას შეიძლება გულისხმობდეს და მართოდენ ამით იყოს საავტორო უფლების ობიექტი. აღმომჩენმა შეიძლება მეცნიერულ-ლიტერატურულად დაამუშაოს თავისი ნაწარმოები. ამ დროს საწარმოების ავტორიც იქნება იგი და აღმოჩენის ავტორიც. ეს ნიშნავს, რომ ამ ურთიერთობას ზოგორც საავტორო, ისე აღმოჩენის სამართალი მოაწესრიგებენ.

მეცნიერულ ნაწარმოებებზე ავტორის უფლება ჰონორარის მიღებისა ხშირად განსაზღვრულია ნაბეჭდი თაბახიბის ოდენობით. შეუძლებელია ამ გზით მოვაწესრიგოთ აღმოჩენის ურთიერთობა.

მეცნიერული ნაწარმოების ავტორსაც მოეთხოვება ახალი სიჭყვის თქმა. ეს სხვადასხვა გზით შეიძლება გაკეთდეს. სიახლე მეცნიერული აზრის შემოქმედითობაში გამოიხატება. ასეთი შემოქმედების ელემენტები მეცნიერულ გამოკვლევაში სხვადასხვა გზითა და მოცულობით ხდება. იგი შეიძლება მდგომარეობდეს ახალი მეცნიერული თეორიის ან ჰიპოთეზის დადასტურებაში, კრიტიკულ მიმოხილვაში. ცნობილი ჭეშმარიტებების ახლებურად დათავისებასა და გადმოცემაში (მაგალითად სახელმძღვანელოები). აქ მეტად დიდმნიშვნელოვანია ფორმის ე. ი. აზრის მიმოხილვის სიახლე. რა თქმა უნდა, რამდენადაც მხატვრულია მეცნიერულ-ლიტერატურული ნაშრომი, იმდენად უფრო ფასეულია იგი საზოგადოებისათვის, მაგრამ მხატვრულ ელემენტის გარეშეც მეცნიერული გამოკვლევა საავტორო უფლების ობიექტია. მით უფრო არ არის ამგვარი ფორმა აუცილებელი მეცნიერული აღმოჩენისათვის.

აღმოჩენის სამართალს განსაკუთრებულად უმჭიდროესი კავშირი აქვს გამოგონებლობის სამართალთან. იშვიათი როდია ისეთი მდგომარეობა, როცა დიდი მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევა აღმოჩენისა და გამოგონების სიხთეზია, როცა მეცნიერული აღმოჩენა დაუყოვნებლივ იქცევა საინჟინრო პრაქტიკად. ეს სიახლოვე სამოქალაქო სამართლის ორი ინსტიტუტისა სრულიადაც არ ამორიცხავს მათი გამიჯნვის აუცილებლობას.

აღმოჩენა მეცნიერული ამოცანის გადაწყვეტაა, მაშინ როცა გამოგონება აუცილებლად გულისხმობს ტექნიკური, პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტასაც. გამოგონებისათვის აუცილებელია ის, რომ იგი დაინერგოს ე. ი. მოგვეს დადებითი ეფექტი. ეს ნიშნები განასხვავებენ ერთმანეთისაგან აღმოჩენას და გამოგონებას. სწორედ აქედან მომდინარეობს ის განსხვავებული სამართლებრივი შედეგები, რაც გამოგონების დაცვას ახლავს. ამიტომაც განსხვავებულია აღმოჩენაზე დიპლომისა და გამოგონებაზე საავტორო მოწმობის (პატენტის) გაცემის წესი. დიპლომი აღმოჩენის ეძლევა განსაზღვრული დროის (გაპროტესტების ვადის) გასვლის შემდეგ. დიპლომის ამგვარ გაცემას მიზნად აქვს აღმოჩენ-



ნის პრიორიტეტის დადგენა და გადახანებაც ამისათვისაა გათვალისწინებული. გამოგონების რეგისტრაციასთან ერთად აღმოჩენისა და გამოგონების სახელმწიფო კომიტეტი დაუყოვნებლივ იძლევა საავტორო მოწმობას (პატენტს). ეს აუცილებელია მისი პრაქტიკულად დანერგვისათვის. ამიტომ შეცდომა იქნებოდა მისი გაცემის გადახანება. გამოგონების გამოყენებას გარეშე პირებისათვის კანონით განსაზღვრული მოთხოვნილების დაცვა ახლავს. ეს არ არის გათვალისწინებული აღმოჩენისათვის. აღმოჩენის სიზუსტეს, ადექვატურობას ყველაზე მეტად ადასტურებს პრაქტიკა, გამოგონება. ჩვენს დროში გამოგონებების უმეტესობა მეცნიერულ აღმოჩენებს ეყრდნობა. ეპოქალურმა აღმოჩენებმა არა მარტო მეცნიერების ახალი დარგები შექმნეს, არამედ მრეწველობის სრულიად ახალი დარგებიც, მაგალითად, ქიმიური მრეწველობა, ელექტრომრეწველობა და სხვ. ყოველ გამოგონებელს აქვს უფლება გამოიყენოს სხვისი მეცნიერული აღმოჩენები ტექნიკური მიზნების გადასაწყვეტად, მაგრამ ამით აღმოჩენები როდის ხდებიან თანავეტორებად. ეს გარემოება სრულიადაც არ ამცირებს აღმოჩენათა როლს კაცობრიობის განუზრუნველ პროგრესში. დიდი გამოგონებლები ყოველთვის მაღლიერი არიან დიდი აღმოჩენებებისა. ცნობილია, რომ გერმანელმა ფიზიკოსმა ჰ. ჰერცმა 1887 წელს ექსპერიმენტულად დაამტკიცა, რომ არსებობენ ელექტრომაგნიტური ტალღები, 1896 წელს კი ა. ს. პოპოვმა პეტერბურგის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე 250 მეტრ მანძილზე პირველად მსოფლიოში მოახდინა ორი სიტყვის რადიოგრაფიით გადაცემა. ეს სიტყვა იყო მაღლიერი აღმოჩენის უკვდავყოფილი სახელი და გვარი „ჰენრიხ ჰერცი“.

აღმოჩენის სამართლის ობიექტი მკვეთრად განსხვავდება საავტორო და გამოგონებლობის სამართლის ობიექტისაგან. აღმოჩენის უფლების შიხარისი უაღრესად სპეციფიკურია, მნიშვნელოვანწილად თავისებურებად ხდება აგრეთვე აღმოჩენის ავტორის უფლებების დაცვა. ყველა ეს ფაქტორები სრულ საფუძველს გვაძლევენ იმისათვის, რომ აღმოჩენის სამართალი განვიხილოთ საბჭოთა სამოქალაქო სამართლის დამოუკიდებელ ინსტიტუტად. ნიშანდობლივია ამასთან ერთად აღვნიშნოთ ისიც, რომ საბჭოთა ქვეყანამ პირველად მსოფლიოში დაიწყო აღმოჩენის სპეციალური სამართლებრივი დაცვა.

# სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა გამოყენება პედაგოგის თანხმობის გარეშე

ლ. ისაბაძე

სახვითი საავტორო სამართალი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების საქმეში.

მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია რიგი შემთხვევებისა, როდესაც შესაძლებელია საზოგადოების ინტერესებისათვის სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა გამოყენება ავტორის თანხმობის გარეშე. საერთოდ კანონი ანსხვავებს ორ შემთხვევას: ნაწარმოების გამოყენებას ავტორის თანხმობის გარეშე საავტორო გასამრჯელოს გადაუხდელად და ნაწარმოების გამოყენებას ავტორის თანხმობის გარეშე საავტორო გასამრჯელოს გადახდით.

პირველი შემთხვევა გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსის 506-ე მუხლით. აქ ნათქვამია: „ავტორის თანხმობის გარეშე და საავტორო გასამრჯელოს გადაუხდელად, ოღონდ აუცილებლად გამოყენებული ნაწარმოების ავტორის გვარის და თვით ნაწარმოების მითითებით შეიძლება:

1. სხვისი გამოქვეყნებული ნაწარმოების გამოყენება ახალი, შემოქმედებითად დამოუკიდებელი, ნაწარმოების შესაქმნელად...“

აღსანიშნავია, რომ ხშირად ხელოვანი თავისი სულიერი განცდების თანაზიარ მომენტებს პოულობს სხვის შემოქმედებაში. ხალხური თქმულება დოქტორ იოჰან ფაუსტზე გამოიყენეს თავიანთი ნაწარმოებების შესაქმნელად ფრიდრიხ მიულერმა, კლინგერმა, გოეთემ. დიდი გოეთეს „ფაუსტის“ შინაარსზე შექმნეს უკვდავი ნაწარმოებები შარლ ფრანსუა ჰუნომ და რობერტ შუმანმა. ოთარ თაქთაქიშვილმა ვოკალური ნაწარმოებების მთელი ციკლი „მთაწმინდის მთვარე“ დაწერა გალაქტიონის იდეურსა და მხატვრულ ჩანაფიქრზე, მუსიკალურ სახეებში გახსნა ლირიკული გმირის განწყობილებები და ემოციები. სულხან-საბა ორბელიანის არაკის მიხედვით შექმნა თავისი შესანიშნავი ფერწერული ტილო — „ფლიდი ცოლი“ ჩვენი დროის დიდმა მხატვარმა ლადო გუდიაშვილმა. სწორედ ხელოვნების სხვადასხვა დარგთა ამ ურთიერთკავშირს, რითაც ხშირად საზრდოობს შემოქმედება და რომელმაც დიდი საგანძური შემატა მსოფლიო კულტურას, ითვალისწინებს და იცავს ჩვენი კანონი.

შემოაღნიშნული მუხლის ანალოგიური იყო საქართველოს სსრ საავტორო უფლების შესახებ დებულებების მე-10 მუხლის „ბ“ პუნქტი, სადაც ნათქვამი იყო, რომ „სავტორო უფლების დარღვევად არ ჩაითვლება სხვისი ნაწარმოების გამოყენება ახალი, მისგან არსებითად განსხვავებული ნაწარმოების შესაქმნელად...“ კოდექსით ახალი არაფერია ნათქვამი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სარედაქციო შესწორებას, რაც ხაზგასმულია ჩვენს მიერ. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ შემოქმედებით ნიშანთვისებას ახალი კოდექსით თავისი განსაზღვრება არ მიუღია. ასევე იყო ადრე მოქმედი კანონმდებლობითაც. მაგ-

რამ სამოქალაქო სამართლის მეცნიერება და სასამართლო პრაქტიკა ამას თანმიმდევრულად ატარებდნენ. შემოქმედებითი ელემენტი აუცილებელია ყოველი ნაწარმოების შექმნისას, თუმცა შემოქმედებითი ელემენტი შეიძლება სხვადასხვა იყოს. თუ შემოქმედებითი ნიშანთვისება არ არსებობს, თუ მოცემული ნაწარმოები შეიქმნა წმინდა ტექნიკური შრომის საფუძველზე, მაშინ ნაწარმოები, როგორც საავტორო სამართლის ობიექტი არ იარსებებს. დავის აღმოცენებისას, წარმოადგენს ეს ნაწარმოები შემოქმედებითსა თუ ტექნიკურ პროდუქტს, საკითხი გადაწყდება კომპეტენტური ექსპერტიზის მეშვეობით.<sup>1</sup>

ამ მხრივ საინტერესოა რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკიდან შემდეგი მაგალითი: მხატვარმა ფომინამ შექმნა თოჯინების მთელი რიგი ნიმუშები. ამ ნიმუშებით სამრეწველო კოოპერაციის ორგანოები აწარმოებდნენ ნაწარმის მასობრივ გამოშვებას. ფოტოგრაფმა მიკულინამ რამდენიმე თოჯინისა და სათამაშოების განლაგებით შექმნა ფოტოსურათები „ჩაის მოყვარული ქალი“ და „ჭორიკანა“. ესენი გამოთვლა საკავშირო ფოტომ კედლის ფოტოსურათების სახით. ფომინამ აღნიშნული თავისი საავტორო უფლების დარღვევად მიიჩნია. საავტორო უფლების დაცვის ბიურომ მხატვართა კომიტეტს მოსთხოვა გადაეხადა ფომინასთვის გასამრჯელო საავტორო უფლების გამოყენებისათვის. რსფსრ უმაღლესმა სასამართლომ სარჩელი უსაფუძვლოდ მიიჩნია და აღნიშნა, რომ მიკულინას ფოტოსურათი წარმოადგენს ისეთ ნაწარმოებს, რომელიც არსებითად განსხვავდება ფომინას თოჯინებისაგან. მიკულინას ფოტოსურათი შეიქმნა არა მარტო თოჯინების განლაგებითი ფოტოაპარატის წინ, არამედ აგრეთვე სხვადასხვა საგნების — მაგიდის, სათამაშო ჭურჭლის, კარადისა და ა. შ. განლაგებით. უმაღლესმა სასამართლომ განმარტა, რომ ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მხოლოდ „თავისუფლად გასაყიდი მასიური წარმოების საგნების“ გამოყენებას და არა რაიმე ნასესხობას.<sup>2</sup> აქ ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ამ ფოტოსურათების შექმნის დროს ავტორმა გამოიყენა გარკვეული კომბინაცია (სათამაშოების განლაგება). როგორც ბ. ანტიმონოვი და ე. ფლეიშიცი მართებულად აღნიშნავენ „შემოქმედებითი შრომა, რომელიც ერთვის სხვის ნაწარმოებს და მოსავს მას ახალ ობიექტურ ფორმაში, კერძოდ, რომელიც ხსნის ნაწარმოების აღქმისა და აღბეჭდვის ახალ შესაძლებლობებს, იძლევა საავტორო სამართლის ახალ ობიექტს“.<sup>3</sup>

დებულების მე-10 მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნული იყო, რომ „სავტორო უფლების დარღვევად არ ჩაითვლება გამოსახვა სამხატვრო ნაწარმოებისა საქანდაკო საშუალებით და წინაუკუმო—საქანდაკო ნაწარმოებისა სამხატვრო საშუალებით“. ახალ კოდექსში ეს საკითხი ამგვარად განსაზღვრული არ არის, მაგრამ 506-ე მუხლის პირველი პუნქტი, რასაკვირველია პირდაპირი ხაზით ვრცელდება მის მიმართ. აქედან გამომდინარე საავტორო უფლების აშკარა დარღვევასთან გვექნება საქმე, თუ ნაწარმოებს გამოსახავენ ხელოვნების იმავე სახის სხვაგვარი სახეობით. ასე მაგალითად, გამოქანდაკება ხელოვნების სხვადასხვა სახით შეიძლება: ბარელიეფი, ჰორელიეფი, ქანდაკება და სხვ. ასევე ფერწერაში: გრავიურა, სანგვინი, აკვარელი და სხვ. ამ დროს არ შეიძლება

1 В. И. Серебровский, Авторское право в новом гражданском кодексе РСФСР, журн. «Советское государство и право», 1965 г. № 1, стр. 11. В. Я. Ионас. Критерии и творчества в авторском праве и судебной практике.

2 «Советская юстиция», 1937 г. № 4, стр. 58.

3 Б. С. Антимов, Е. А. Флейшиц, Авторское право, Москва, 1957 г., стр. 85.

ვილაპარაკოთ „შემოქმედებითად დამოუკიდებელი ნაწარმოების შექმნაზე“, ეს არის სხვისი ნაწარმოების გამოსახვის საშუალება და დასაშვებია მხოლოდ ავტორის თანხმობით.

„2. მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ცალკეულ გამოცემულ ნაწარმოებთა და მათი ნაწყვეტების რეპროდუქცია მეცნიერულ და კრიტიკულ ნაშრომებში, სასწავლო და პოლიტიკურ საგანმანათლებლო გამოცემებში, იმ ფარგლებში, რაც დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით;“

კანონის ამ ნორმით ხაზგასმულია სამი პირობა:

ა) გამოყენებული ნაწარმოები აუცილებლად უნდა იყოს **გამოცემული**. გამოქვეყნებული სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა (მაგ. გამოფენაზე ექპონირებული) გამოყენებას ავტორის თანხმობის გარეშე კანონი არ ითვალისწინებს.


ბ) დაზუსტებულია იმ გამოცემათა სია, რომლებშიც დაიშვება ხელოვნების ნაწარმოებთა რეპროდუქცია. ესენია: მეცნიერული და კრიტიკული ნაშრომები (სამეცნიერო შრომები, წერილები, რეცენზიები, კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული სტატიები და ა. შ.). სასწავლო გამოცემები (სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები, ქრესტომათიები და ა. შ.) პოლიტიკურ-საგანმანათლებლო გამოცემები (აგიტლაკატები, ბარათები, ალბომი — გამოფენები აღნიშნულ თემებზე და ა. შ.). არ შეიძლება ამ ნორმის გაფართოებული ახსნა-განმატებით გამოყენება.

გ) კოდექსით არაფერი არ არის ნათქვამი ნაწარმოების რეპროდუქციის მოცულობაზე. აღნიშნულზე სასამართლო პრაქტიკა იყენებდა 1940 წლის 22 თებერვლის „ინსტრუქციას საავტორო თაბახებში ლიტერატურული ნაწარმოების მოცულობის გამოთვლის შესახებ“. ამ ინსტრუქციის თანახმად გრაფიკული შასალა გადაიტანება საავტორო თაბახებში 3000 კვ. სმ. ანგარიშით ერთ საავტორო თაბახზე. აქედან გამომდინარე გადასაბეჭდად დაშვებული სახვითი ხელოვნების ნაწარმოების მოცულობა წიგნში უნდა შეადგენდეს 750 კვ. სმ. მოცულობის გაზრდის შემთხვევაში მხატვარს უფლება ჰქონდა მიეღო ჰონორარი გადაბეჭდილ ნაწარმოებზე მთლიანად.

„3. ინფორმაცია პერიოდულ პრესაში, კინოში, რადიოთი და ტელევიზიით ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების გამოშვებულ ნაწარმოებთა შესახებ“ ე. ი. აქ იგულისხმება შეტყობინება, ცნობება ნაწარმოების შექმნის შესახებ, ან ამ ნაწარმოების გამოყენებაზე, სარგებლობაზე ნაწარმოების შინაარსის გადმოცემით. მაგალითად გამოგვადგება 1965 წლის 12 ივლისს გაზ. „თბილისში“ გამოქვეყნებული ინფორმაცია მოქანდაკის, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკებაზე „დავით გურამიშვილი“. ყურადსაღებია, რომ კანონი უშვებს მხოლოდ ინფორმაციას გამოშვებულ ნაწარმოებებზე და არა მათ რეპროდუქციას.

„4. ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა რეპროდუქცია ვაზეთებში, კინოში, რადიოთი და ტელევიზიით“ ე. ი. დაშვებულია ყოველგვარი გამოშვებული ნაწარმოების რეპროდუქცია, სულ ერთია იქნება იგი გამოცემული თუ გამოქვეყნებული სხვადასხვა საშუალებებით. წინათ არსებული დებულების მე-10 მუხლის „ზ“ პუნქტით საავტორო უფლების დარღვევად არ ჩაითვლებოდა „სახვითი ნაწარმოებისა, ნახატისა, ილუსტრაციისა, ფოტოგრაფიისა, ნახაზისა და სხ. რეპროდუქციის გადაბეჭდვა პე-





რიოდულ გამოცემებში“. დასაშვები იყო მხოლოდ გადაბეჭდვა და ისიც სხვა გაზეთებიდან და არა სხვაგვარი წყაროდან. საავტორო უფლების დარღვევად თვლებოდა გამოცემული ნაწარმოების რეპროდუქცია.

„5. სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ყოველგვარი რეპროდუქცია, რა წესითაც უნდა იყოს მექანიკურ-კონტაქტური ხერხით პირის გადაღების გამოკლებით, თუ ეს ნაწარმოები ისეთ ადგილასაა, სადაც თავისუფლად შეისვლება, გამოფენებისა და მუზეუმების გარდა;“

ამ ნორმით მნიშვნელოვანი ცვლილებანი შეიტანა ახალმა კოდექსმა დებულების მე-10 მუხლის „ლ“ პუნქტში, სადაც ნათქვამი იყო, რომ „საავტორო უფლების დარღვევად არ ჩაითვლება ქუჩაში და მოედანზე მოთავსებული მხატვრული ნაწარმოების გადაღება“... როგორც ვხედავთ ახალმა კანონმა გააფართოვა ნაწარმოებთა თავისუფლად სარგებლობის სფერო. ძველი კანონით მხატვრული ნაწარმოების გადაღება შეიძლებოდა მხოლოდ ქუჩასა და მოედანზე (რასაკვირველია, აქ იგულისხმებოდა კულტურისა და დასვენების პარკები, სტადიონი და სხ.) ე. ი. ღია ცის ქვეშ. „სახურავიან სადგომებში“ მოთავსებულ ნაწარმოებებზე ეს კანონი არ ვრცელდებოდა. ახალ კანონში აღნიშნული — „თავისუფალი დათვალიერებისათვის ღია ადგილებში“ არ უნდა ვიგულისხმოთ მხატვრის სახელოსნო, მისი ოთახი და სხვ. ამის მსგავსი სადგომები. საინტერესოა ამ მხრივ მოსკოვის ქალაქის სასამართლოს პრეზიდიუმის 1957 წლის დადგენილება:<sup>1</sup> მხატვრებმა შეიტანეს სარჩელი სასამართლოში მათ მიერ გაფორმებული ინტერიერის რეპროდუქციების ჰონორარის ანაზღაურებაზე. ეს რეპროდუქციები შეტანილ იქნა ალბომში „საბჭოთა უზბეკეთის ხალხური დეკორატიული ხელოვნება“. მოსკოვის ქალაქის სასამართლოს პრეზიდიუმმა 1957 წელს ეს სარჩელი დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ აღნიშნული მხატვრული ნაწარმოები მოთავსებული იყო შენობის შიგნით და არა შენობის ფასადზე ე. ი. „ქუჩაში და მოედანზე“. ბუნებრივია, ახალი კოდექსით ზემოთქმული კაზუსი საწინააღმდეგოდ გადაწყდებოდა.

„6. სხვისი გამოქვეყნებული ნაწარმოების რეპროდუქცია ან სხვა სახით გამოყენება პირადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად“. აქ კანონმდებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სხვისი გამოქვეყნებული ნაწარმოების რეპროდუქცია ან სხვა სახით გამოყენება (პირის გადაღება და ა. შ.) დაიშვება მხოლოდ პირადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მსგავს შემთხვევებს უმეტესად ვარჯიშის მიზანი აქვს. ამ დროს არ ირღვევა ავტორის არც პირადი, არც ქონებრივი უფლებები. როგორც პროფ. მ. გორდონი მართებულად წერს,<sup>2</sup> პირადი მოხმარებისათვის პირის გადაღებას იმ შემთხვევაში ექნება ადგილი, თუ მას არა აქვს მოგების მიზანი. არ არღვევს მხატვრის საავტორო უფლებას მხატვრული შემოქმედებითი წრის მონაწილე, რომელიც სხვისი ნაწარმოებიდან გადაღებულ პირს გადასცემს თავის საქარხნო კოლექტივს.

ამ მუხლის ანალოგიური იყო დებულების მე-10 მუხლის „ო“ პუნქტი: „სხვისი ნაწარმოებიდან ასლის გადაღება მარტოოდენ პირადი მოხმარებისათვის და იმ პირობით, რომ სამხატვრო ან ფოტოგრაფიული ნაწარმოების ასლზე მოთავსებული არ იქნეს დედანის ავტორის ხელმოწერილი ან მონოგრამა, ამასთა-

<sup>1</sup> ამ საქმის ანალოზი მოცემულია ე. ვაკმანისა და ი. გრინგოლცის წიგნში „Авторские права художников“, 1962 წ. გვ. 61.

<sup>2</sup> М. В. Гордон. Советское авторское право, 1955 г., стр. 106.

ნავე საქანდაკო ნაწარმოებიდან ასეთი ასლის გადაღება მექანიკურ-კონტაქტური საშუალებით არ შეიძლება“. მართალია, ახალი კანონით უფრო გაფართოებულია სხვისი გამოქვეყნებული ნაწარმოებით სარგებლობის სფერო პირადი მოხმარებისათვის, მაგრამ ძველი კანონით უფრო ზუსტად იყო განსაზღვრული ის პირობები, რაც საზიანო იყო ავტორის უფლებების შელახვისათვის. პირზე არ უნდა ყოფილიყო მოთავსებული ორიგინალის ავტორის ხელმოწერი, რათა არ მიეჩინათ ასლი ორიგინალად. იგივე მუხლი კრძალავდა საქანდაკო ნაწარმოებიდან ასეთი პირის გადაღებას მექანიკურ — კონტაქტური საშუალებით, რადგანაც ამ დროს შექმნილი პირი არსებითად არ განსხვავდება ორიგინალისაგან.

დებულებების მე-10 მუხლის „მ“ პუნქტით დაშვებული იყო ყოველგვარი ნაწარმოების მოთავსება საჯარო გამოფენაზე, თუ ამას ავტორი არ კრძალავდა. არც საფუძვლებში<sup>1</sup> და არც საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის ახალ კოდექსში ამაზე ნათქვამი არაფერი არ არის. როგორც ვხედავთ, კანონმდებელმა არ ჩაწერა ეს ნორმა და ეს სწორედ არის. მხატვრის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი ნაწარმოების მოთავსება გამოფენაზე. გამოფენა მხატვრის შემოქმედებითი მიღწევების ცოცხალ მოწმეს წარმოადგენს. იგი გზას უხსნის სახვითი ხელოვნების მუშაკებს ახალი შემოქმედებითი გამარჯვებებისაკენ. გამოფენაზე მრავალრიცხოვანი საზოგადოება ათვალიერებს მხატვართა ნამუშევრებს, აქ ხდება მათი მუშაობის შეფასება. სწორედ ამიტომ წარმოადგენს მხატვართა არსებით პირად უფლებას განსაჯოს რამდენად მიზანშეწონილია ნაწარმოების მოთავსება გამოფენაზე. რასაკვირველია, ამასთან გამოფენად უნდა ვიგულისხმოთ არა მარტო სპეციალური ღონისძიება, რომელიც ამგვარ სახელწოდებას ატარებს (მაგ. წითელი არმიის 15 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა საქართველოში 1933 წელს, საქართველოს მხატვართა საანგარიშო გამოფენა 1936 წელს, რესპუბლიკური სამხატრო გამოფენა 1961 წელს და ა. შ), არამედ ნაწარმოებთა საჯარო გამოფენად იგულისხმება აგრეთვე მისი ისეთ ადგილზე მოთავსება, სადაც ყოველ მსურველს შეეძლება მისი ნახვა. ჩვენი აზრით, არ არის პროფ. მ. ვ. გორდონი სწორი, როდესაც წერს, რომ მხატვრული ნაწარმოების მოთავსება გამოფენაზე ავტორთან შეთანხმების გარეშე არ წარმოადგენს მისი უფლების არსებით დარღვევას.<sup>2</sup> ბუნებრივია, ეს არ არის სწორი და ეწინააღმდეგება თვით კანონის მოთხოვნას. დანტერესებული პირი, რომელიც ათავსებს ნაწარმოებს გამოფენაზე გარკვეული უნდა იყოს იმაში ავტორი თანახმა თუ არა, რომ მისი ნაწარმოები მოთავსებული იქნეს გამოფენაზე. კანონის ძალით ავტორს და მხოლოდ ავტორს აქვს უფლება გადაწყვიტოს დავა იმის შესახებ, დამთავრებულია თუ არა მისი ნაწარმოები, შეიძლება თუ არა მისი გასინჯვა საზოგადოების მიერ; და თუნდაც სხვა კომპეტენტურმა ორგანომ ან ცალკეულმა ავტორიტეტულმა პირებმა დაამტკიცონ საწინააღმდეგო, საკითხს საბოლოოდ სწყვეტს სახვითი ხელოვნების ნაწარმოების შემქმნელი ავტორი.

ნაწარმოების გამოყენება ავტორის თანხმობის გარეშე საავტორო გასამრჯელოს გადახდით გათვალისწინებულია 507-ე მუხლით. ამ მუხლის მე-4 პუნქტში ჩაწერილია: „ავტორის თანხმობის გარეშე... საავტორო გასამრჯელოს გადახდით შეიძლება სახვითი ხელოვნების ნაწარმოების, აგრეთვე ფოტოგრაფიული ნა-

1 „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები“ მიღებულია სსრკ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე, 1961 წლის 6—8 დეკემბერს.

2 М. В. Гордон, Советское авторское право, 1955 г., стр. 108.

წარმოების გამოყენება სამრეწველო ნაკეთობებში, ამ შემთხვევებში ავტორის სახელის აღნიშვნა სავალდებულო არ არის“.

მსგავს ნორმას შეიცავდა დებულების მე-10 მუხის „პ“ პუნქტი. სამრეწველო საწარმოებებში მხატვართა შრომის ანაზღაურება არ არის სათანადოდ დაზუსტებული; აუცილებელია მთავრობის დადგენილება ამ საკითხების რეგულირებისათვის. ამასთან, პირველ რიგში უნდა დაწესდეს ზუსტი თანაფარდობა სახვითი ხელოვნების ნაწარმოების შექმნის გასამრჯელოსა და მისი სამრეწველო ნაწარმში გამოყენების გასამრჯელოს შორის; რომ შემოვიფარგლოთ მხოლოდ გასამრჯელოთი ნაწარმოების შექმნაზე, მაშინ მოხდება მხატვართა შრომის გათანაბრება, რადგანაც სხვადასხვა ჯარისხისა და სხვადასხვა ფასეულობის ნახატები ერთნაირად ანაზღაურდებიან. გასამრჯელო სამრეწველო ნაკეთობაში გამოყენებულ ნაწარმოებებზე დამატებით საზღაურად ჩაითვლება მალაზხარისხოვან ნახატებზე. მხატვრის საავტორო გასამრჯელო მისი ნაწარმოების აღბეჭდვისათვის მჭიდრო კავშირში და ურთიერთობაში უნდა იყოს ნაწარმოების შექმნის საზღაურთან. მხატვარმა უნდა მიიღოს ეს დამატებითი გასამრჯელო სამრეწველო ნაკეთობის მხოლოდ იმ ნაწილიდან, რომელიც გადაამეტებს წინასწარ დადგენილ ზღვარს.<sup>1</sup>

სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა თავისუფალი გამოყენების დროს მხედველობაშია მისაღები აგრეთვე კოდექსის 501-ე მუხლი, სადაც ნათქვამია: „ყოველი გამოცემული ნაწარმოები შეიძლება გადაითარგმნოს სხვა ენაზე ავტორის თანხმობის გარეშე, მაგრამ მისთვის შეტყობინების პირობით და იმ პირობით, რომ დაცული იყოს ნაწარმოების მთლიანობა და აზრი“... კანონი ხაზგასმით ლაპარაკობს ლიტერატურული ტექსტის თარგმანზე. შეუძლებელია სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა გადათარგმნა, ისევე როგორც მუსიკალური ნაწარმოებისა, იგი ყოველთვის ნათელი და გასაგებია. სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა მეშვეობითი ურთიერთკავშირში არიან არა მარტო თანამედროვენი, არამედ შორეული წინაპრებიც თავიანთ შთაშობავლებთან. იგი მისაწვდომია ყველა ხალხისათვის. ამიტომ აშკარა კუთრიზაღ გვეჩვენება სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1948 წლის 28 სექტემბრის დადგენილება<sup>2</sup> მხატვარ დავიდოვის საქმეზე ლატვიის სახელმწიფო გამომცემლობასთან, სადაც სასამართლო კოლეგიამ ცნო, რომ „თარგმანში იგულისხმება ნაწარმოების თავისუფალი გამოყენება სხვა ენაზე გადასათარგმნელად მასში არსებული ნახატებით, ილუსტრაციებით, ნახაზებით, ფოტოსურათებით და ა. შ. და არა მარტო ლიტერატურული ტექსტის გადათარგმნა, რადგანაც საწინააღმდეგო შემთხვევაში ნაწარმოები დაჰკარგავდა თავის მნიშვნელობას“. სასამართლო პრაქტიკაში კიდევ იყო ამის მსგავსი ორიოდ მაგალითი. აღნიშნული დადგენილება უსწორთა, ყოველგვარ ლოგიკურობას სცილდება. იგი აშკარა წინააღმდეგობაშია კანონთან. რასაკვირველია, ილუსტრაცია გარკვეულ კავშირშია ლიტერატურულ ტექსტთან, მისი მიზანია მწერლის მონათხრობის გაშლა და განვითარება მხედველობითი გარემოებით. ილუსტრაცია არის ტექსტის ღირსშესანიშნაობა. მხატვარი ილუსტრატორი არ არის მწერლის თანაავტორი.

<sup>1</sup> В. А. Кабатов, Советское авторское право на произведения изобразительного искусства, Автореферат, 1954 г., стр. 11.

<sup>2</sup> В. И. Серебровский, «Вопросы советского авторского права», 1956 г., стр. 49. А. И. Ваксберг, «Издательство и автор», стр. 204. Е. Вакман, И. Григольц, «Авторские права художников», 1962 г., стр. 54.

ამ დროს არ იქმნება კოლექტიური ნაწარმოები, არ არის ზიარი შრომა. უმეტესად ილუსტრაციები ნაწარმოებებზე იქმნება რამდენიმე ხნის შემდეგ, თუმცა შესაძლებელია წიგნის გამოსვლისთანავე შეიქმნას იგი, გაერთიანდეს ერთ წიგნში, მაგრამ ორივე ისინი ცალ-ცალკე ჩამოყალიბებულ, დამოუკიდებელ ნაწარმოებებს წარმოადგენენ (გაოცებას იწვევს რენატო გუტუზოს მიერ შექმნილი ილუსტრაციები დანტეს „ღვათებრივ კომედიასზე“. იტალიელები ამბობენ: გუტუზოს ილუსტრაციები ძეგლია, რომელიც მეოცე საუკუნემ დიდ ალიგიერის დაუდგაო). ილუსტრაციები შეიძლება გამოიცეს ლიტერატურული ტექსტისაგან დამოუკიდებლად (მაგალითად ელ. ახვლედიანის ილუსტრაციები ილ. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობზე“, აკსელ ლესკოშეკის ილუსტრაციები თ. დოსტოევსკის „მოზარდზე“, „ძმებ კარამაზოვებზე“). ამგვარად, ილუსტრაცია და ლიტერატურული ტექსტი საავტორო სამართლის ცალკეულ, სხვადასხვა, დამოკიდებულ ობიექტებს წარმოადგენენ და არ შეიძლება ილუსტრაციებზე გავავრცელოთ ლიტერატურული ნაწარმოების თავისუფლად თარგმნის ნორმა.

---

# მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების საკონცესო კოდექსების ზოგირით თავისებურებათა შესახებ

ბ. ყოლგაია,

ქ. სოხუმის პროკურორის თანაშემწე

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები ყველა ძირითად პრინციპულ დებულებას ერთნაირად არეგულირებენ და არსებითად ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. მიუხედავად ამისა ცალკეული საკითხების გადაწყვეტაში მათ მაინც გააჩნიათ გარკვეული თავისებურებანი.

წინამდებარე სტატიამი ეს თავისებურებანი ნაჩვენებია მხოლოდ ზოგიერთ საკითხზე<sup>1</sup>.

1. ბრალდებულის აღიარების შეფასება. ბრალდებულის ჩვენება წარმოადგენს დამამტკიცებელი საბუთის მიღების ერთ-ერთ წყაროს, რომლის საშუალებით მოკვლევის ორგანო, გამომძიებელი და სასამართლო ადგენენ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტიურ მონაცემებს.

ბრალდებულის ჩვენებებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია მის აღიარებას დანაშაულის ჩადენაში თავისი ბრალეულობის შესახებ. აღიარება ეს არის ბრალდებულის ისეთი ჩვენება, რომელშიც იგი აღსატურებს მისთვის წაყენებული ბრალდების სისწორეს და იტყობინება მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გარემოებათა შესახებ.

ბრალდებულის მიერ თავისი ბრალეულობის აღიარების მოტივები უაღრესად მრავალფეროვანია. ზოგჯერ ბრალდებული აღიარებს წარდგენილი ბრალდების სისწორეს, მაგრამ ამით სურს დაფაროს მის მიერ ჩადენილი უფრო ძვირფასი დანაშაული. შესაძლებელია ბრალდებულს არც ქონდეს ჩადენილი ესა თუ ის დანაშაულებრივი ქმედება, მაგრამ თვითონ დაიბრალოს, რათა ამით პასუხისმგებლობა ააცილნოს ნამდვილ დამნაშავეს. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ბრალდებული საბედისწერო გარემოებათა დამთხვევის შედეგად იძულებულია აღიაროს თავისი ბრალეულობა იმ დანაშაულის ჩადენაში, რომელიც საერთოდ არ მომხდარა, ან მას არ ჩაუდენია. რასაკვირველია, გამორიცხული არ არის, რომ ბრალდებულის აღიარება იყოს გულწრფელი, შეესაბამებოდეს სინამდვილეს. ასეთი გულწრფელი აღიარება შესაძლოა გამოწვეული იყო ბრალდებულის მისწრაფებით მოინანიოს თავისი ქმედება, შეიმსუბუქოს პასუხისმგებლობა და ა. შ.

რა მოტივითაც არ უნდა იყოს ნაკარნახევი ბრალდებულის მიერ თავის ბრალეულობის აღიარება, მას სხვა დამამტკიცებელ საბუთებთან შედარებით არავითარი უპირატესობა და რაღაც განსაკუთრებული ძალა არ გააჩნია. ბრალდებულის აღიარების, ისევე, როგორც ყველა დამამტკიცებელი საბუთის მტკი-

<sup>1</sup> სტატიის მოცულობა საშუალებას არ იძლევა განვიხილო იქნას მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების ყველა თავისებურება.

ცებულებითი ძალა განისაზღვრება იმით, თუ რამდენად სარწმუნოდ ადგენს იგი საძიებელ ფაქტებს, რა ურთიერთკავშირი არსებობს ბრალდებულის აღიარებით შეტყობინებულ გარემოებებსა და საქმეში არსებულ ფაქტიურ მონაცემებს შორის.

როგორც ცნობილია, ა. ი. ვიშინსკი ანვითარებდა შეხედულებას, რომ ზოგიერთ სახელმწიფო დანაშაულის საქმეებზე (მაგალითად, ანტისაბჭოთა ორგანიზაციების შექმნა, საბოტაჟი და სხვ.) ბრალდებულის აღიარებას უნდა მიენიჭოს ძირითადი, გადაწყვეტი დამამტკიცებელი საბუთის მნიშვნელობა. თუ რა მიზნებს ემსახურებოდა ა. ი. ვიშინსკის ეს აშკარად მცდარი და ახტიძეცხიერი შეხედულება ამჟამად ყველასათვის ცნობილია და ამ საკითხზე დაწვრილებით აღარ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ბრალდებულის აღიარებისათვის განსაკუთრებული და გადაწყვეტი დამამტკიცებელი საბუთის ძალის მინიჭება წარმოადგენდა შუა საუკუნეებში გაბატონებული „ფორმალური დამამტკიცებელი საბუთების თეორიის“ ამოსავალ დებულებას, რომელიც დიამეტრიულად ეწინააღმდეგება საბჭოთა მტკიცებულებითი სამართლის ძირითად პრინციპებს. საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობით აღიარებულია, რომ არავითარ დამამტკიცებელ საბუთს წინასწარ დადგენილი ძალა არა აქვს. სასამართლო, პროკურორი, გამომძიებელი, მომკვლევნი პირი ხელმძღვანელობენ რა კანონით და სოციალისტური მართლშეგნებით, დამამტკიცებელ საბუთებს აფასებენ თავიანთი შინაგანი რწმენით, რაც ემყარება საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას მათ ერთობლიობაში. (რსფსრ-ს სსსკ 71 მუხ. საქართველოს სსრ სსსკ 63 მუხ. და ა. შ.) ამ პრინციპული დებულებიდან კანონი არავითარ გამოჩაკლისს არ უშვებს. პირიქით, იმისათვის, რომ ზოგიერთი პრაქტიკული მუშაკი ძაინც არ „მოიხიბლოს“ ბრალდებულის აღიარებით და მას რაიმე უპირატესი მნიშვნელობა არ მიანიჭოს, მთელი რიგი მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსები სპეციალურად მიუთითებენ, რომ ბრალდებულის ყველა ჩვენება, მათ რიცხვში მისი აღიარებაც უნდა შემოწმდეს და შეფასდეს საერთო წესით, საქმეზე არსებულ სხვა დამამტკიცებელ საბუთებთან შეჯერებით და მათ ერთობლიობაში (უზბეკეთის სსრ სსსკ 57 მუხ., აზერბაიჯანის სსრ სსსკ 72 მუხ. და სხვ.) რსფსრ-ს სსსკ 77 მუხლი კი პირდაპირ ადგენს, რომ ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარება შეიძლება საფუძვლად დაედოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აღიარება დადასტურებულია საქმეში არსებული სხვა დამამტკიცებელი საბუთებით.

გვიქრობთ, რომ ბრალდებულის აღიარების საერთო წესით შეფასების შესახებ კანონში სპეციალურ მითითებებს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და ამიტომ ასეთი ნორმა გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.

2. დაზარალებულის დაკითხვა. რამდენადაც დაზარალებული წარმოადგენს საქმით დაინტერესებულ პიროვნებას, არ არის გამორიცხული, რომ მან მოგვეცეს არაობიექტური ჩვენებები. ამიტომ რსფსრ სსსკ 75-ე მუხლი, საქართველოს სსრ სსსკ 67-ე მუხლი და ყველა დანარჩენი რესპუბლიკების კოდექსების შესაბამისი მუხლები ითვალისწინებენ დაკითხვის წინ დაზარალებულის გაფრთხილებას, რომ იგი ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნება მიცემული.

ყველა მოკავშირე რესპუბლიკების სსსკ (რსფსრ სსსკ 75-ე მუხლი, ბელო-

რუსიის სსრ სსსკ 69-ე მუხლი, საქართველოს სსრ სსსკ 67 მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი მუხლები), გარდა უკრაინის სსრ სსსკ ითვალისწინებენ აგრეთვე დაზარალებულის პასუხისმგებლობას ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან თავის არიდების შემთხვევაში.

ეს პოზიცია, რომელიც არ შეესაბამება დაზარალებულის გამოყოფას დამოუკიდებელ პროცესულურ ფიგურად, გათვალისწინებულს საერთო-საკავშირო კანონით, ჩვენი აზრით მიზანშეუწონელია. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების 24-ე მუხლის II ნაწილში პირდაპირ არის მითითებული, რომ დაზარალებულს უფლება აქვს მისცეს ჩვენება საქმეზე. მაგრამ, თუ ჩვენების მიცემა დაზარალებულის უფლებაა, მაშინ ცხადია, არ შეიძლება მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შემთხვევაში.

ყველა საბჭოთა მოქალაქე, მათ შორის დაზარალებულიც, მორალურად ვალდებულია დაეხმაროს საგამომძიებლო ორგანოებს დანაშაულის მხილებაში. მაგრამ არასწორია, პირი, რომელიც ერთხელ უკვე დაზარალდა დანაშაულისათვის, დაისაჯოს ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის. ხშირად დაზარალებულის მონაწილეობა სისხლის სამართლის საქმეში დაკავშირებულია ჩადებილი მძიმე დანაშაულის მთელი რიგი დეტალების გონებაში აღდგენასთან, რაც იწვევს მის დამატებით ტრავმირებას.

იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს ეს არასასიამოვნო მოგონებები, დაზარალებულმა შესაძლოა უარი თქვას ან თავი აარიდოს ჩვენების მიცემას. აუცილებელია დაზარალებული დავარწმუნოთ მის ვალდებულებაში დაეხმაროს საგამომძიებლო ორგანოებს დანაშაულის გახსნასა და დანაშაულის მხილებაში.

სავსებით სწორ პოზიციაზე დგას უკრაინის სსრ სსსკ, რომლის 72 მუხლის III ნაწილი და 179 მუხლის II ნაწილი დაზარალებულს აფრთხილებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით მხოლოდ ცრუ ჩვენების მიცემაზე და არ ითვალისწინებს დაზარალებულის პასუხისმგებლობას ჩვენებაზე უარის თქმის ან თავის არიდების შემთხვევაში. ამაშია უკრაინის სსრ სსსკ პოზიციის თანამიმდევრობა — გამოიყოს დაზარალებული დამოუკიდებელ პროცესულურ ფიგურად, გადაწყვიტოს საკითხი საერთო — საკავშირო კანონმდებლობის შესაბამისად.

3. არასრულწლოვანი დასაშვებია იყოს მოწმედ საქმეზე, მაგრამ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი ფსიქიკის თავისებურებანი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ხშირად იგი იმახსოვრებს მხოლოდ იმას, რაც მას აინტერესებს. ბავშვებს მიღრვეილება აქვთ ფანტაზიისაკენ, ხშირად ექცევიან უფროსების გავლენის ქვეშ, ამიტომ არასრულწლოვან მოწმეთა დაკითხვა, საერთო წესებთან ერთად, ექვემდებარება ზოგიერთ სპეციალურ წესებს.

მაშინ, როდესაც ჩვეულებრივ მოწმეს აუცილებლად აფრთხილებენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაზე ცრუ ჩვენების მიცემისათვის, აგრეთვე ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან თავის არიდებისათვის, მოწმეს, რომელსაც 16 წლის ასაკამდე არ მიუღწევია, მხოლოდ განუპარტავენ მის შოვალეობას — თქვას სიმართლე (რსფსრ სსსკ 158 მუხლი, უკრაინის სსრ სსსკ 168 მუხლი, საქართველოს სსრ სსსკ 157 მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი მუხლები).

ყაზახეთის სსრ სსსკ 150-ე მუხლში სპეციალურად არ არის აღნიშნული იმის

შესახებ, რომ არასრულწლოვან მოწმეს, რომელსაც არ მიუღწევია 16 წლის ასაკამდე, წინასწარ არ აფრთხილებენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაზე ცრუ ჩვენების მიცემისათვის, ასევე ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან თავის არიდებისათვის, მაგრამ მითითებულია: არასრულწლოვან მოწმეებს 16 წლამდე, გამომძიებელი ან პირი, რომელიც აწარმოებს მოკვლევას, განუმარტავს რომ ისინი მოვალენი არიან მისცენ სწორი ჩვენებები.

უზბეკეთის სსრ სსსკ (137-ე მუხლი) და მოლდავეთის სსრ სსსკ (139-ე მუხლი) ამ საკითხში დაუშვეს არსებითი ხასიათის შეცდომები. ისინი არ ითვალისწინებენ გამონაკლისს არასრულწლოვანთათვის და მოწმეებს 16 წლის ასაკამდე საერთო წესის მიხედვით აფრთხილებენ, რომ არასწორი ჩვენებისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემიან. არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვის დროს აუცილებელია მონაწილეობდეს პირი, რომელიც თავისი პროფესიული ან სხვა გამოცდილებით კარგად იცნობს ბავშვთა ფსიქიკას.

ასეთ მცოდნე პირებად, ყველა რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებით, ითვლებიან პედაგოგები და არასრულწლოვან მოწმეთა მშობლები. უზბეკეთის სსრ სსსკ (137 მუხლი) ასეთ პირებად თვლის მხოლოდ მასწავლებელს. მშობლები მართლაც კარგად იცნობენ თავიანთი ბავშვების ფსიქიკას, მაგრამ ზოგჯერ მათმა დასწრებამ დაკითხვაზე შეიძლება ბავშვი შებოროკოს, დაარცხვინოს და უნებურად არასასურველი გავლენა იქონიოს ჩვენების შინაარსა და ხასიათზე.

არასრულწლოვან მოწმეთა დაკითხვისას მშობლების დასწრების მიზანშეუწონლობა, ყველა საქმეზე არა, მაგრამ განსაზღვრულ საქმეებზე, დადასტურებულ იქნა არასრულწლოვანი კ. მ. მუსაილოვის საქმის წინასწარი გამოძიების დროს. კ. მუსაილოვს ბრალი ედებოდა დანაშაულში, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სსსკ 115-ე მუხლით. ამ საქმეზე დაზარალებული იყო არასრულწლოვანი სალახაია, რომელმაც მამის თანდასწრებით დაკითხვისას არ თქვა მიზეზი, რისთვის მიაყენა მას მუსაილოვმა სხეულის დაზიანება. ხოლო როცა იგი დაკითხულ იქნა ცალკე, მამის გარეშე, გამოირკვა, რომ მას მუსაილოვმა დაზიანება მიაყენა ეჭვიანობის ნიადაგზე.


სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსებისაგან განსხვავებით უკრაინის სსრ სსს კოდექსის 168-ე მუხლის I ნაწილი და ყაზახეთის სსრ სსსკ 150-ე მუხლის I ნაწილი ითვალისწინებენ ექიმის მონაწილეობის შესაძლებლობას არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვისას, როცა ეს ნაკარნახევია მოწმის მდგომარეობით.

უკრაინის სსრ და ყაზახეთის სსრ სსსკ ეს თავისებურებანი სწორად უნდა იქნეს მიჩნეული.

რატომ არის აუცილებელი არასრულწლოვანთა დაკითხვისას ზემოთ ჩამოთვლილი პირების დასწრება? რაში მდგომარეობს მათი ამოცანა?

უკრაინის სსრ სსსკ 168-ე მუხლის II ნაწილში და ესტონეთის სსრ სსსკ 133-ე მუხლის II ნაწილში ლაპარაკია იმაზე, რომ არასრულწლოვან მოწმეთა დაკითხვისას დამსწრე პირებს უფლება აქვთ გამოთქვან თავიანთი შეხიშვებები, მაგრამ კონკრეტულად არ ჩამოთვლიან რა შენიშვნის მიცემა შეუძლიათ მათ. საქართველოს სსრ სსსკ 157-ე მუხლის II ნაწილი და ყირგიზეთის სსრ სსსკ 148-ე მუხლის II ნაწილი ითვალისწინებენ არასრულწლოვანთა დაკითხვის დროს დამსწრე პირების უფლებას დასაკითხ პირს მისცენ შეკითხვები.





უზბეკეთის სსრ სსსკ 137-ე მუხლი ითვალისწინებს რა პედაგოგის მონაწილეობის შესაძლებლობას არასრულწლოვანის დაკითხვისას, არ განსაზღვრავს მის როლს. ასევე იქცევა ყაზახეთის სსრ სსსკ (150-ე მუხლი).

რსფსრ სსსკ (159-ე მუხლი), ბელორუსიის სსრ სსსკ (159-ე მუხლი), აზერბაიჯანის სსრ სსსკ (175-ე მუხლი), ლიტვის სსრ სსსკ (179 მუხლი), მოლდავეთის სსრ სსსკ (139-ე მუხლი), ლატვიის სსრ სსსკ (160-ე მუხლი), ტაჯიკეთის სსრ სსსკ (159-ე მუხლი), სომხეთის სსრ სსსკ (150-ე მუხლი) და თურქმენეთის სსრ სსსკ (159-ე მუხლი) არასრულწლოვან მოწმეთა დაკითხვაზე დამსწრე პირების ამოცანად თვლიან იმას, რომ დაკითხვის ოქმში შეიტანონ წერილობითი შენიშვნები ჩანაწერების სისწორესა და მთლიანობაზე, ან მხოლოდ ხელმოწერით დაადასტურონ ეს ჩანაწერები.

გამოდის რომ აქ ლაპარაკია მცოდნე პირებზე. ამ მიზნისათვის კი შესაძლოა გამოწვეული იქნეს სულ სხვა პირიც და არა მარტო პედაგოგი და ექიმი. პედაგოგები, მშობლები, ექიმები უპირველეს ყოვლისა საჭიროა დაესწრონ არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვას, რათა დაამყარონ კონტაქტი დასაკითხ და დამკითხველ პირს შორის.

4. ჩვენებათა შემოწმება ადგილზე. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მიზანშეწონილია დამნაშავეს, ექვმიტანილის, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენების შემოწმება მოხდეს იქ, სადაც ადგილი ჰქონდა შემთხვევას. ლიტერატურაში აღწერილია ამ საგამომძიებლო მოქმედებათა ეფექტურობა<sup>1</sup>.

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების დიდმა უმრავლესობამ არ გაითვალისწინა ეს საკითხი. გამონაკლისს შეადგენს ლიტვის სსრ სსსკ (205-ე მუხლი), ლატვიის სსრ სსსკ (185-ე მუხლი), ტაჯიკეთის სსრ სსსკ (183-ე მუხლის IV პუნქტი) და თურქმენეთის სსრ სსსკ (173-ე მუხლი), რომლებიც გამომძიებელს ნებას რთავენ თუ აუცილებლად მიიჩნევენ შემთხვევის ადგილზე შეამოწმონ დამნაშავეს, ექვმიტანილის, დაზარალებულისა ან მოწმის ჩვენება. ჩვენებათა ასეთი შემოწმება ხდება თანამოწმის დასწრებით და ამაზე დგება სპეციალური ოქმი.

შემთხვევის ადგილზე ჩვენების შემოწმების დროს, ისევე როგორც საგამომძიებლო ექსპერიმენტის ჩატარებისას, არ უნდა იქნას დაშვებული ისეთი მოქმედება, რაც შეურაცხყოფს მონაწილე პირებს ან ემუქრება მათ ჯანმრთელობას. (ლიტვის სსრ სსსკ 205-ე მუხლი, ლატვიის სსრ სსსკ 185-ე მუხლი, ტაჯიკეთის სსრ სსსკ 183-ე მუხლი და თურქმენეთის სსრ სსსკ 173-ე მუხლი).

მიზანშეწონილია, რომ ის საგამომძიებლო მოქმედებები, რომელთა ეფექტურობას ვვიჩვენებთ საგამომძიებლო პრაქტიკა, განამტკიცოს მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებმა.

5. საზოგადოებრივი თავდებობის ინსტიტუტის გამოყენება. საზოგადოებრივი თავდებობის ინსტიტუტის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ პირი, რომელმაც პირველად ჩაიდინა დანაშაული და მისი ქმედობა დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს შეიძლება სისხლის სამართლის სასჯელის გამოყენების გარეშე გადაეცეს თავდებობის ქვეშ

<sup>1</sup> Н. И. Гуковская, Следственный эксперимент, М., 1958, стр. 10—11; А. Н. Басильев, С. С. Степичев, Воспроизведение показаний на месте при расследовании преступления, М., 1959, стр. 7—10.

მისი ხელახალი აღზრდისა და გამოსწორებისათვის იმ ორგანიზაციას, ან მშრომელთა კოლექტივს, რომელმაც აღძრა შუამდგომლობა. ეს ინსტიტუტი საბჭოთა სამართლის ჰუმანურობის ნათელი დადასტურებაა.

ყველა რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დამნაშავე პირის თავდებობის ქვეშ გადაცემის პირობად თვლიან: საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან მშრომელთა კოლექტივის შუამდგომლობას, დამნაშავეს გულწრფელ მონანიებას, მძიმე შედეგის არ არსებობას, წარსულში ამ პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩაუდენლობას.


რსფსრ სსსკ (მე-9 მუხლი), უკრაინის სსრ სსსკ (მე-10 მუხლი), აზერბაიჯანის სსრ სსსკ (მე-5 მუხლი), ყირგიზეთის სსრ სსსკ (მე-10 მუხლი), ლიტვის სსრ სსსკ (მე-9 მუხლი), ლატვიის სსრ სსსკ (მე-6 მუხლი), სომხეთის სსრ სსსკ (მე-5 მუხლის III და IV ნაწ.) და ესტონეთის სსრ სსსკ (მე-6 მუხლი) აღნიშნავენ, რომ დამნაშავე პირის თავდებობის ქვეშ გადაცემა შეიძლება მაშინ, როცა დანაშაული არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას, მაგრამ საკითხს არ აკონკრეტებენ. ზუსტად ასევე წყვეტენ ამ საკითხს იმ რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები, რომელთა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები არ იცნობენ საზოგადოებრივი თავდებობის ინსტიტუტს (იბ. ბელორუსიის სსრ სსკ 50-ე მუხლი, უზბეკეთის სსრ სსკ 49-ე მუხლი, ყაზახეთის სსრ სსკ 45-ე მუხლის II ნაწილი, მოლდავეთის სსრ სსკ 50-ე მუხლი, ტაჯიკეთის სსრ სსკ მე-5 მუხლი და თურქმენეთის სსრ სსკ მე-51 მუხლი). ასეთმა საერთო ფორმულირებამ შეიძლება გამოიწვიოს შეუთანხმებლობა საზოგადოებრივი თავდებობის ინსტიტუტის გამოყენების პრაქტიკაში. ეს კი ხელს შეუშლის სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას.

საჭიროა დადგინდეს თავდებობის ქვეშ გადაცემის უფრო ზუსტი ზღვარი, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ერთიანობისა და სიზუსტის დაცვა ამ ინსტიტუტის გამოყენებაში. ასეთ გზას ადგია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს საზოგადოებრივი თავდებობის გამოყენების პირობებს.

საქართველოს სსრ სსსკ მე-9 და სსკ 53-ე მუხლები მიუთითებენ, რომ თუ პირს ჩადენილი დანაშაულისათვის კანონის თანახმად შეიძლება შეეფარდოს, როგორც სასჯელის ერთ-ერთი სახე, თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს 3 წლისა, ამ შემთხვევაში იგი შეიძლება გადაეცეს თავდებობის ქვეშ გამოსასწორებლად და აღსაზრდელად საზოგადოებრივ ორგანიზაციას ან კოლექტივს, მათივე შუამდგომლობით.

რამდენადაც სასჯელის ზომა განისაზღვრება დანაშაულის ხასიათით და წარმოადგენს ამ დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათის მაჩვენებელს, ამდენად სწორად მოიქცა კანონმდებელი, როდესაც სასჯელის კრიტერიუმად განსაზღვრა პირის აღსაზრდელად გადაცემის შესაძლებლობა.

6. სისხლის სამართლის საქმის განახლება თავდებობაზე უარის თქმის შემთხვევაში. თუ პირი, რომელიც იმყოფება თავდებობის ქვეშ, ერთი წლის განმავლობაში არ გაამართლებს კოლექტივის ნდობას, არ გამოსწორდება, არ დაემორჩილება სოციალისტური თანაცხოვრების წესებს ან დატოვებს სამსახურს იმ მიზნით, რომ თავი აარიდოს კოლექტივის ზემოქმედებას, საზოგადოებრივ ორგანიზაციას ან კოლექტივს, რომელმაც იშუამდგომლა თავდებობაზე შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება თავდებობაზე უარის თქმის შესახებ და საქმე გადაზავნოს პრო-



კურატურაში ან სასამართლოში დამნაშავის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხის განსახილველად.

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები სხვადასხვანაირად წყვეტენ საკითხს იმ ორგანოთა შესახებ, რომელთა კომპეტენციაშიც შედის სისხლის სამართლის საქმის განახლება თავდებობაზე უარის თქმის შემთხვევაში. ასე მაგალითად, სომხეთის სსრ სსსკ 206-ე მუხლით თავდებობის ქვეშ მყოფი პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმის განახლების საკითხს წყვეტს პროკურორი. რსფსრ სსსკ (მე-9 მუხლი), საქართველოს სსრ სსსკ (მე-9 მუხლი), ლატვიის სსრ სსსკ (მე-10 მუხლი), ყირგიზეთის სსრ სსსკ (მე-10 მუხლი) მიხედვით თავდებობის ქვეშ მყოფი პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმის განახლება შესაძლებელია სასამართლოს გამწესრიგებელი სხდომის განჩინებით ან პროკურორის დადგენილებით.

თავისთავად ცხადია, რომ თუ სისხლის სამართლის საქმე თავდებობის ქვეშ გადაცემასთან დაკავშირებით შეწყდა წინასწარი გამოძიების სტადიაში, საკითხი სისხლის სამართლის საქმის განახლების შესახებ, როცა თავდებობაზე უარს ამბობს საზოგადოებრივი ორგანიზაცია ან კოლექტივი, უნდა გადაწყვიტოს პროკურორმა.

მაგრამ როგორ წყდება საკითხი მაშინ, როცა დამნაშავის თავდებქვეშ გადაცემის საქმე შეწყვეტილია სასამართლო ორგანოების მიერ?

რსფსრ სსსკ მე-9 მუხლი, საქართველოს სსრ სსსკ მე-9 მუხლი, ლატვიის სსრ სსსკ მე-10 მუხლი, ყირგიზეთის სსრ სსსკ მე-10 მუხლი, მიუთითებენ, რომ თუ საქმე შეწყვიტა სასამართლომ, მისი განახლება შესაძლებელია სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომის დადგენილებით.

ლიტვის სსრ სსსკ მე-9 მუხლი და აზერბაიჯანის სსრ სსსკ მე-9 მუხლი მიუთითებენ, რომ სასამართლოს შეუძლია გადაწყვიტოს საკითხი საქმის განახლების შესახებ, თუ საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ ან კოლექტივმა უარი თქვა თავდებობაზე, მაგრამ არ აკონკრეტებს, რომელმა სასამართლო ორგანომ უნდა გადაწყვიტოს ეს საკითხი.

ვფიქრობთ, სწორია საკითხი გადაწყდეს ზედამხედველობის წესით, როგორც ამას ითვალისწინებს უკრაინის სსრ სსსკ (მე-13 მუხლი), ან ესტონეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მსგავსად (მე-10 მუხლი), რომლის მიხედვით საკითხი სისხლის სამართლის საქმის განახლების შესახებ შედის იმ სასამართლოს კომპეტენციაში, რომელმაც შეწყვიტა საქმე. ამ საკითხის სხვანაირად გადაჭრა წარმოუდგენელია, წინააღმდეგ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლო გააუქმებდა საკასაციო ინსტანციის გადაწყვეტილებას, თუ ამ უკანასკნელმა თავის დროზე შეწყვიტა საქმე და დამნაშავე გადასცა თავდებობის ქვეშ.

7. აუცილებელი საკასაციო საფუძვლები. განაჩენის შეცვლის ან გაუქმების საფუძველს წარმოადგენს: მოკვლევის, წინასწარი ან სამსჯავრო გამოძიების ცალმხრივობა ან არასისრულე; განაჩენში მოცემული სასამართლოს დასკვნების შეუსაბამობა საქმის ფაქტიურ გარემოებებთან; სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა; სისხლის სამართლის კანონის არასწორი შეფარდება; სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის შეუსაბამობა დანაშაულის სიმძიმესა და მსჯავრდებულის პიროვნებასთან (რსფსრ სსსკ 402-ე მუხლი, საქართველოს სსრ სსსკ 352-ე მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი მუხლები). განა-

ჩენის გაუქმების ან შეცვლის ზემოჩამოთვლილ საფუძვლებიდან ჩვენთვის საინტერესოა სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა, რომელიც საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის თეორიაში უპირობოდ იწოდება. ისინი ყველა შემთხვევაში იწვევენ განაჩენის გაუქმებას. ამ დარღვევათა წრე სხვადასხვაა მოკავშირე რესპუბლიკების სსსკ-ში.

ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი თვლის, რომ პროცესუალური კანონის არსებით დარღვევებს ადგილი აქვს და განაჩენი ექვემდებარება გაუქმებას შემდეგ შემთხვევებში:

1. თუ საქმე არის შეწყვეტილი იმ საფუძვლებით, რომელსაც ითვალისწინებს კანონი;

2. თუ საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;

3. თუ საქმე განხილულია სამართალში მიცემულის დაუსწრებლად იმ შემთხვევაში, როდესაც მისი მონაწილეობა კანონით აუცილებელი იყო;

4. თუ საქმე განხილულია ადვოკატის მონაწილეობის გარეშე, როდესაც კანონით მისი მონაწილეობა სავალდებულოა;

5. თუ დარღვეულია სათათბირო ოთახის საიდუმლოება;

6. თუ განაჩენი ხელმოწერილი არ არის სასამართლოს რომელიმე წევრის მიერ (იხ. რსფსრ სსსკ 345-ე მუხლი, უკრაინის სსრ სსსკ 370-ე მუხლი, საქართველოს სსრ სსსკ 355-ე მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი მუხლები).


ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, გარდა უზბეკეთის (321-ე მუხლი), ყაზახეთის (330-ე მუხლი), ლატვიის (342-ე მუხლი) და აზერბაიჯანის (358-ე მუხლი), კოდექსებისა თვლიან, რომ სასამართლო სხდომის ოქმის უქონლობა წარმოადგენს აუცილებელ საკასაციო საფუძველს, ვინაიდან იგი არის ის ერთადერთი დოკუმენტი, რომელშიც ასახულია თუ რა მასალებით და როგორ იქნა გამოკვლეული საქმე სასამართლოს განხილვის დროს.

უკრაინის სსრ სსსკ 370-ე მუხლი არსებით საკასაციო საფუძველად თვლის არა მარტო სასამართლო სხდომის ოქმის უქონლობას, არამედ ოქმზე სასამართლო სხდომის თავმჯდომარის ან მდივნის ხელმოწერლობასაც.

რამდენადაც სასამართლო სხდომის ოქმის შინაარსზე პასუხისმგებელნი არიან თავმჯდომარე და სასამართლოს სხდომის მდივანი, რომლებიც თავისი ხელმოწერით ადასტურებენ ოქმის შინაარს, ამდენად საკასაციო საფუძველი შეიძლება არსებობდეს არა მარტო იმ დროს, როცა სასამართლო სხდომის ოქმი არ არსებობს, არამედ მაშინაც, როცა სასამართლო სხდომის ოქმზე არ არის თავმჯდომარის ან მდივნის ხელმოწერა.

ამდენად, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები, გარდა უკრაინის სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 370-ე მუხლისა, საჭიროებს ფართო ახსნა-განმარტებას.

რამდენადაც ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები ითვალისწინებენ ზოგიერთი კატეგორიის საქმეებზე ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობას (იხ. რსფსრ სსსკ 79-ე მუხლი, უკრაინის სსრ სსსკ 76-ე მუხლი, საქართველოს სსრ სსსკ 72-ე მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი მუხლები), ამდენად წარმოუდგენელია განაჩენის გამოტანა ასეთ საქმეებზე ექსპერტიზის ჩატარების გარეშე, მაგრამ თუ განაჩენი მაინც გამოტანილია, ის აუცილებლად უნდა გაუქმდეს.



საერთოს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისათვის, გარდა ყაზახეთის სსრ სსსკ (მუხლი 220) წარმოადგენს დებულება იმის შესახებ, რომ საქმის განხილვა სამსჯავრო სხდომაზე ვერ დაინიშნება სამ დღე-ღამეზე ადრე იმ დროიდან, როდესაც ეს საბუთები სამართალში მიცემულს ჩაბარდა (რსფსრ სსსკ 237-ე მუხლი, უკრაინის სსრ სსსკ 354-ე მუხლი, საქართველოს სსრ სსსკ 237-ე მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი მუხლები).

თუ საქმე განხილულია კანონის ამ კატეგორიული მოთხოვნის დარღვევით აახუნებია განაჩენის გაუქმების საფუძველი.

მაგრამ სამართლებრივი ნორმის ეს დარღვევა განაჩენის გაუქმების საფუძველად ცნობილია მხოლოდ ყირგიზეთის სსრ სსსკ 348-ე და ესტონეთის სსრ სსსკ 310-ე მუხლებით.

ესტონეთის სსრ სსსკ 310-ე მუხლის მე-9-ე პუნქტი გარდა ზემოთ აღნიშნულისა განაჩენის გაუქმების საფუძველად თვლის კერძო ბრალდების საქმის განხილვას არა უადრეს სამი დღისა იმ დროიდან, როცა ბრალდებულს ჩაბარდა დაზარალებულის საჩივრის ასლი და უწყება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი, რომლითაც ბრალდებულს მიცემულია სამართალში.

ბრალდებულის უფლება დაცვაზე ხორციელდება ყველა საქმეზე და პროცესის ყველა სტადიაზე, მაგრამ თითოეულ სტადიაზე გამოხატულია სხვადასხვაგვარად.

საჯარო და კერძო — საჯარო ბრალდების ყველა საქმეზე, ბრალდებულს გარდა იმისა, რომ უფლება აქვს იცოდეს წაყენებული ბრალდების არსი და იძლევა ჩვენებას, ამასთან ახორციელებს თავის უფლებას დაცვაზე; წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ მას უნდა წარედგინოს საქმის ყველა მასალა გასაცნობად, ამასთან ბრალდებულის მიერ საქმის მასალების გაცნობის დროს ზოგიერთ საქმეზე აუცილებელია დამცველის მონაწილეობა.

თუმცა კერძო ბრალდების საქმეები თავისი ხასიათის მიხედვით უმრავლეს შემთხვევაში რთულ საქმეებს არ წარმოადგენენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ შემთხვევაშიც ბრალდებულს არ შეიძლება მოესპოს ელემენტარული უფლებანი დაცვაზე. მას დროულად უნდა ეცნობოს წაყენებული ბრალდება. რათა მან შესძლოს დაიცვას თავი წაყენებული ბრალდებისაგან. ამ წესის დარღვევა უნდა ჩაითვალოს განაჩენის გაუქმების საფუძველად.

ესტონეთის სსრ სსსკ 310-ე მუხლი იცნობს განაჩენის გაუქმების კიდევ ერთ საფუძველს — განაჩენში მოტივების არ არსებობას. ამას სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსსკ არ ითვალისწინებენ.

თავისთავად ცხადია, რომ განაჩენში მოცემული სასამართლოს დასკვნები საქმის მხოლოდ იმ ფაქტიურ გარემოებებთან იქნება შესაბამისობაში, რომლებიც დადგინდება სასამართლო განხილვის დროს. განაჩენის გარდა არც ერთ სხვა სასამართლო დოკუმენტს არ შეუძლია დადასტუროს რომელი გარემოებები ცნო სასამართლომ დადასტურებულად.

თუ განაჩენი მოტივირებული არ არის ის არ შეიძლება დატოვებული იქნეს ძალაში.

ამგვარად, მოტივების არ არსებობა განაჩენში მიჩნეული უნდა იქნეს განაჩენის გაუქმების საფუძველად.

უკრაინის სსრ სსსკ (370-ე მუხლის მე-9 პუნქტი) განაჩენის გაუქმების სა-

ფუძვლად თვლის აგრეთვე სსსკ იმ მუხლების დარღვევას, რომლებიც ადგენენ: საქმის საჯარო განხილვას, ბრალდებულისათვის წინასწარ გამოძიების მასალების აუცილებელ წარდგენას, საქმის სასამართლო განხილვის უწყვეტობას, სასამართლო შემადგენლობის უცვლელობას მოცემულ საქმეზე, სამართალში მიცემულისათვის დაცვითი სიტყვის უფლების მინიჭებას, თუ დამცველი არ მონაწილეობს სასამართლო პროცესში და სამართალში მიცემულისათვის საბოლოო სიტყვის უფლების მინიჭებას. ბრალდებულისათვის წინასწარი გამოძიების მასალების წარუდგენლობა, ადვოკატის დაუსწრებლობის დროს ბრალდებულისათვის დაცვითი სიტყვის უფლების მოსპობა, აგრეთვე ბრალდებულისათვის საბოლოო სიტყვის მიუცემლობა, მიჩნეულ უნდა იქნას აუცილებელ საკასაციო საფუძვლად, რადგან ამ დარღვევებიდან თითოეული ხელს უშლის ბრალდებულს განახორციელოს დაცვის უფლება.

რაც შეეხება სსსკ იმ მუხლების დარღვევებს, რომლებიც ადგენენ საქმის საჯარო განხილვას, სასამართლო პროცესის უწყვეტობას და სასამართლოს შემადგენლობის უცვლელობას მოცემულ საქმეზე, ესენი (ეს დარღვევები) ითვლებიან საბჭოთა სისხლის სამართლის საპროცესო პრინციპების დარღვევად (სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-3 მუხლი, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების მე-12 მუხლი, რსფსრ სსსკ 18, 140—141 მუხლები, უკრაინის სსრ სსსკ 20, 257—258 მუხლები, საქართველოს სსრ სსსკ 16, 243—246 მუხლები და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსსკ შესაბამისი მუხლები). სწორედ ამიტომ ისინი წარმოადგენენ განაჩენის გაუქმების აუცილებელ საფუძველს.

\* \* \*

მტკიცებას არ საჭიროებს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მნიშვნელოვნად სრულია, ვიდრე ადრე მოქმედი.

ამასთან ნათელია ისიც, რომ კანონმდებლობის სრულყოფისათვის მუშაობა, კერძოდ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისათვის, არ შეიძლება დასრულდეს ერთდროული აქტით.

ამ ხაზით საჭიროა დაუდალავი და სისტემატური მუშაობა.

ზემოთ აღნიშნული მოკავშირე რესპუბლიკების სსსკ ზოგიერთი თავისებურება ადასტურებს ამგვარი მუშაობის აუცილებლობას.

## საბჭოთა გამოგონების საერთაშორისო სამართლებრივი რეჟიმი

1965 წლის 1-ივლისიდან ახალი ეტაპი დაიწყო საბჭოთა გამოგონების საერთაშორისო სამართლებრივ დაცვაში. ამ დღიდან საბჭოთა სახელმწიფო შეუერთდა სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის 1883 წლის კონვენციას.

ჩვენი ქვეყანა 69-ე სახელმწიფოა, რომელმაც ხელი მოაწერა ამ მრავალმხრივ საერთაშორისო შეთანხმებას. მანამდე საბჭოთა კავშირი მონაწილეობდა მარტოოდენ სამრეწველო საკუთრების დაცვის ორმხრივ შეთანხმებებში.

საბჭოთა სახელმწიფო პირველი სოციალისტური ქვეყანა როდია, რომელიც ხელს აწერს პარიზის 1883 წლის კონვენციას. ევროპის სოციალისტური ქვეყნები — ბულგარეთი, უნგრეთი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, იუგოსლავია ამ საერთაშორისო კავშირის წევრები არიან. ეს ქვეყნები მანამდე იყვნენ ამ კონვენციის მონაწილენი, ვიდრე სოციალისტური გახდებოდნენ. შემდგომ კი მათ დაადსტურეს ამ კავშირის წევრობა.

1956 წლიდან ამ კონვენციის მონაწილე გახდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ამ კავშირშია კუბაც.

რისთვისაა საჭირო გამოგონების საერთაშორისო სამართლებრივი დაცვა? ყოველ გამოგონებას მოცემული ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა იცავს. გამოგონებაზე გაცემული პატენტი ან საავტორო მოწმობა ქმნის პირთაშორის უფლებას, რომელიც ამ ქვეყნის ფარგლებში მოქმედებს. სახელმწიფოს ამ ინდივიდუალურ აქტებს არა აქვს ექსტერიტორიული მოქმედება. მიუხედავად ამისა საკმარისი როდია გამოგონებლის ინტერესების დაცვა მხოლოდ მის სამშობლოში. უფრო მეტიც. გამოგონების ცნების დადგენისათვის აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას მსოფლიო მასშტაბი, ე. ი. არსებითი სიახლე მსოფლიო ტექნიკაში. მსოფლიო ტექნიკის მიღწეულ დონეს კი ადასტურებს პატენტის გაცემის ფაქტი. საბჭოთა კავშირში არ შეიძლება გაიცეს პატენტი ანდა საავტორო მოწმობა ისეთ გამოგონებაზე, რომელიც უკვე დაპატენტებულია უცხოეთში. ეს წესი მაშინაც მოქმედებს, როცა გამოგონებაზე განაცხადის შემტანმა არ იცოდა, რომ მსგავს გამოგონებაზე უკვე არსებობს საზღვარგარეთ გაცემული პატენტი.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველმა გამოგონებელმა თავისი მუშაობა ჯერ საპატენტო ლიტერატურის გაცნობით უნდა დაიწყოს, რათა იცოდეს რაა ვაკეთებული მისი წინამორბედის მიერ ამ სფეროში. სხვანაირად გამოგონების განმეორებით გამოგონება სახსრებისა და შემოქმედებითი ენერჯის ფუჭი ფლანგვაა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1959 წლის 24 აპრილს დამტკიცებულ დებულებაში აღმოჩენის, გამოგონებისა და რაციონალიზატორული წი-

ნადადების შესახებ მითითებულია, რომ მიღებული განაცხადის არსებითი ნიშნის ექსპერტიზის ჩატარებას საფუძვლად უნდა დაედოს ადრე გაცემული საავტორო მოწმობა, საბჭოთა, საბჭოთამდელი და საზღვარგარეთული პატენტები, ადრე შეტანილი განაცხადი, სამამულო და უცხოური ლიტერატურა, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებათა გამოქვეყნებული ანგარიშები, კონკურსზე მიღებული ნაშრომები, დისერტაციები, აგრეთვე ცნობები გამოგონების გამოყენების შესახებ.

საპატენტო საკითხები საერთაშორისო ურთიერთობაში გულისხმობს აგრეთვე გამოგონების დაპატენტებას გამომგონებლის სამშობლოს გარეთ; დაპატენტებული გამოგონების სარგებლობის წესს.

საბჭოთა სახელმწიფო უფლებას რთავს უცხოელებს მათ გამოგონებაზე სსრ კავშირში და ასევე უზრუნველყოფს საბჭოთა გამოგონების დაცვას საზღვარგარეთ.


პირი, რომელიც თავის სამშობლოში ლეგულობს პატენტს (თავის მნიშვნელობით მას უთანაბრდება საავტორო მოწმობა) და საჭიროებს თავის გამოგონების დაცვას სხვა ქვეყანაში — უფლებამოსილია იშუამდგომლოს მეორე პატენტის მიღებაზე და არა პირველი პატენტის ცნობაზე. ამ თვალსაზრისით ერთ გამოგონებაზე შეიძლება რამდენიმე პატენტი გაიცეს. ყოველ მეორე ქვეყანაში პატენტის გაცემა ხდება ამ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით და სრულიად დამოუკიდებლად სხვა ქვეყანაში განაცხადის განხილვის პროცედურიდან. ეს წესი როდია უარყოფილი პარიზის 1883 წლის კონვენციით. ამ კონვენციას არ შემოუღია საერთაშორისო პატენტის ცნება, ე. ი. ისეთი პატენტია, რომელიც გაიცემოდა რა ერთ-ერთ ქვეყანაში, იმოქმედებდა კონვენციის მონაწილე სხვა დანარჩენი ქვეყნების ფარგლებში. მეტიც, კონვენციამ აღიარა ერთ გამოგონებაზე სხვადასხვა ქვეყანაში გაცემული პატენტის სრული დამოუკიდებლობა. მან მოუთხოვა, რომ იმ შემთხვევაშიც კი როცა ვაბათილდება ერთ ქვეყანაში გაცემული პატენტი, თავისთავად ეს არ არის საფუძველი პატენტის გაუქმებისა სხვა ქვეყანაში.

მაშასადამე, პარიზის კონვენცია გამოდის ქვეყნების სუვერენულ თანასწორობიდან, ეროვნული რეჟიმის აღიარებიდან. ვინაიდან კონვენცია არ ქმნის საერთაშორისო მატერიალურ სამართლებრივ ნორმებს, გამოგონების აღიარებისას და სარგებლობისას ყოველი ქვეყანა თავის საპატენტო სამართლით მოქმედებს. ამგვარად, კონვენციასთან შეერთება უცხოელთა გამოგონების დაპატენტების აუცილებლობას არ აუქმებს, მაგრამ მნიშვნელოვნად აადვილებს მას და ამით აძლიერებს გამოგონების საერთაშორისო დაცვას.

2. რა არის „სამრეწველო საკუთრება?“ „სამრეწველო საკუთრების“ ცნება, რასაც 1883 წლის პარიზის კონვენცია ხმარობს პირობითი და კრებითი ცნებაა. საკუთრება აქ როდია ნიშნავს მარტოოდენ მატერიალურ საგანზე აბსოლუტურ უფლებას. აქ უფლების ობიექტია აგრეთვე განსაზღვრული იდეა, შემოქმედებითი შრომის პროდუქტში გამოსახული. თვით ტერმინი „სამრეწველო საკუთრება“ ფრანგულ სამართლიდანაა დასესხებული. ეს ტერმინი დამკვიდრდა სახელშეკრულებო სამართლებრივ პრაქტიკაში. მას ადრეც აღიარებდა საბჭოთა სახელმწიფო ორმხრივ საერთაშორისო შეთანხმებებში. თუმცა გასაგებია, რომ ჩვენში არ არსებობს „სამრეწველო საკუთრების“ განსაკუთრებული სახე.

პარიზის კონვენციით სამრეწველო საკუთრება ვრცელდება არა მარტო





საკუთრივ მრეწველობასა და ვაჭრობაზე, არამედ აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და მიწის წიაღისეულის მოპოვებაზე, ყველა პროდუქტზე როგორც დამზადებულზე ისე ბუნებრივად აღმოცენებულზე, ისეთზე მაგალითად, როგორცაა: ღვინო, მარცვლეული, თამბაქოს ფოთოლი, ხილი, პირუტყვი, წიაღისეული, მინერალური წყლები, ლუდი, ყვავილები, ფქვილი. რა თქმა უნდა ამ ჩამოთვლას არა აქვს ამომწურავი ხასიათი და იგი საჭიროების დროს შეიძლება გაფართოვდეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ სამრეწველო საკუთრების ობიექტებს წარმოადგენენ უფლებანი შემოქმედებითი შრომის განსაზღვრულ პროდუქტზე და არა თვით საგნები, რომელთა ყიდვა-გაყიდვა დასაშვებია ისე, რომ ამით გამომგონებელი სრულიადაც არ კარგავს მასზე ავტორობის უფლებას.

პარიზის 1883 წლის კონვენციის პირველი მუხლით სამრეწველო საკუთრების დაცვის ობიექტებს წარმოადგენენ პატენტები გამოგონებაზე, საერთო სასარგებლო ნიმუშები, სამრეწველო ნახატი ანდა მოდელი, საფაბრიკო ან სასაქონლო ნიშანი, მომსახურების ნიშანი, საფირმო სახელწოდება, მითითება წარმოშობაზე, ანდა წარმოშობის ადგილის სახელწოდება.


საქმე მარტო გამოგონების დიდ შედეგებში როდია, არანაკლებ მნიშვნელოვანია მათი სამართლებრივი რეგისტრაცია ქვეყნის შიგნით და მის გარეთ.

თუ კი გამოგონება არ არის თავისდროულად დაპატენტებული საზღვარგარეთ, პრაქტიკულად, როგორც წესი, მათი რეალიზაცია შეუძლებელი ხდება. პატენტის (ანდა თუნდაც მის მიღებაზე განაცხადის) არ არსებობის დროს არ არის ლიცენზიები. ლიცენზიის ხელშეკრულება ეს არის საგარეო სავაჭრო გარიგების ერთ-ერთი სახე, რომელიც გულისხმობს განსაზღვრული ვადითა და განსაზღვრულ პირობებში მოცემული დაპატენტებული გამოგონების ანდა წარმოების საიდუმლოების სარგებლობის უფლების დათმობას.

სოციალისტური სისტემის ქვეყნებს შორის სამეცნიერო ტექნიკური გაცვლა უსასყიდლოდ ხდება. მხოლოდ კაპიტალისტურ საწარმოებებთან დებს საბჭოთა სახელმწიფო ლიცენზიის ხელშეკრულებებს. კაპიტალისტურ ფირმებისათვის კი გადაწყვეტია შეიძინოს მონოპოლიური უფლება შესაბამისი ნაწარმის წარმოებასა და გაყიდვაზე, ახალი ხერხების ანდა წარმოების ახალი პროცესის სარგებლობაზე.

ამასთან ამ ფირმებს უნდა ჰქონდეთ გარანტია, რომ შეძენილ უფლებაზე პრეტენზია არ ექნება მის კონკურენტს. ასეთ გარანტიას „სამრეწველო საკუთრებაზე“ იძლევა პატენტი. აქედან გამომდინარე გასაგებია რა დიდი მნიშვნელობისაა გამოგონების დროული რეგისტრაცია ქვეყნის შიგნით და შემდგომ მისი დაპატენტება იმ ქვეყანაში, სადაც ამისი მიზანშეწონილობა წარმოიშობა.

3. კონვენციური პრიორიტეტი. პარიზის 1883 წლის კონვენციის ცენტრალურ პუნქტს წარმოადგენს კონვენციური პრიორიტეტის ინსტიტუტი. პრიორიტეტი ეს არის პირველობა ტექნიკური და მეცნიერული ამოცანის გადაწყვეტაში. ამასთან პრიორიტეტის დადგენა მარტო გამომგონებლის ღირსების საქმე როდია. ეს სახელმწიფო პრიორიტეტის საკითხიცაა. პრესაში მრავალი ფაქტი გამოქვეყნებულა, როცა გამომგონებლის დაუდევრობისა და სათანადო სახელმწიფო ორგანოების მოუქნელი მუშაობის გამო ჩვენს ქვეყანას დაუკარგავს პრიორიტეტი მხოლოდ იმის გამო, რომ არ მოხდა გამოგონების სრული იურიდიული რეგისტრაცია. უნდა აღვნიშნოთ, რომ პარიზის კონვენციასთან შეერთებამდე გართულებული იყო საზღვარ-



გარეთ ჩვენი გამოგონების დაპატენტება. საქმე იმაშია, რომ განაცხადი საბჭოთა გამოგონებაზე უნდა გაფორმებულიყო ერთსა და იმავე დროს რამდენიმე ქვეყანაში, რაც მრავალ სიძნელესთან და ხარჯებთან იყო დაკავშირებული და ხშირად ძალას უკარგავდა ადრინდელ პრიორიტეტს, რადგანაც დგინდებოდა იმ ქვეყანაში განაცხადის მიღების თარიღის მიხედვით, სადაც გამოგონება იყო დაპატენტებული. პარიზის 1883 წლის კონვენციას კი ბევრი დადებითი მხარე აქვს სწორედ კონვენციური პრიორიტეტის დადგენის საქმეში, რაც სამრეწველო საკუთრების საერთაშორისო დაცვის ამოსავალი პუნქტია.

რამდენადაც ჩვენს დროში სხვადასხვა ქვეყნებში ხშირად პარალელურად მიმდინარეობს ტექნიკური ძიებანი, სრულიადაც არ არის გამორიცხული მეტნაკლებად ერთდროული გამოგონება. განაცხადის დაგვიანება ასეთ სიტუაციაში გამოგონებისათვის პრიორიტეტის დაკარგვის ტოლფასოვანია. ამიტომ ყოველი გამომგონებელი უნდა ცდილობდეს უპირველესად თავის ქვეყანაში დროულად მოახდინოს გამოგონების დაპატენტება (საავტორო მოწმობის მიღება). ამის შემდგომ მის საერთაშორისო დაცვას კი დიდად უწყობს ხელს 1883 წლის პარიზის კონვენცია.

დაპატენტება საზღვარგარეთ განსაზღვრულ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამიტომ ჯერ თავის ქვეყანაში შეუძლია გამომგონებელს მიმართოს განაცხადით. მთავარია ეს გაკეთდეს, ვინაიდან კონვენციური პრიორიტეტი სწორედ ამ მოქმედების ჩატარებას საკმარისად თვლის. პარიზის კონვენციის მეოთხე მუხლში აღნიშნულია, რომ ის ვინც სათანადო წესით გააკეთებს განაცხადს გამოგონებაზე სამრეწველო საკუთრების დაცვის კავშირში შემავალ ერთ-ერთ სახელმწიფოში, — სარგებლობს პრიორიტეტით სხვა სახელმწიფოებში—ე. ი. კავშირის წევრებში. ამით იგი იძენს ამ ქვეყნებში დაპატენტების უპირატეს უფლებას დროის განსაზღვრულ მონაკვეთში.

პრიორიტეტის საფუძვლად ითვლება განაცხადის ყოველგვარი შეტანა იმ წესის მიხედვით, რაც დადგენილია თვითეული ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

პარიზის კონვენციით გამოგონებაზე პატენტის გაცემის პრიორიტეტული ვადა თორმეტი თვე, რაც გამოიანგარიშება პირველადი განაცხადის მიღების დღიდან. ამ ვადის განმავლობაში ყოველგვარი ცნობა გამოგონების შესახებ, გამოგონების სარგებლობის თაობაზე, ანდა მესამე პირის განაცხადი იდენტური გამოგონების შესახებ არ შეიძლება წარმოადგენდეს დაბრკოლებას პატენტის გაცემისა პატენტის უცხოელი მფლობელისათვის, ვინაიდან ეს უკანასკნელი სარგებლობს პრიორიტეტით ამ ქვეყნების მრავალმხრივ სახელმწიფოებო კავშირში.

მაშასადამე, გადაწყვეტის მნიშვნელობისაა გამოგონების თაობაზე განაცხადის შეტანა აღმოჩენისა და გამოგონების საბჭოთა სახელმწიფო ორგანოებში. აუცილებელია, რომ ეს ორგანოები ისე, როგორც ავტორები დროულად და მთელი სისრულით ადგენდნენ მასალებს გამოგონების იურიდიული რეგისტრაციისათვის — საავტორო მოწმობისა და პატენტის გაცემისათვის ამასთან ერთად არ უნდა შეგვექმნას ცალმხრივი წარმოდგენა, რომ პარიზის კონვენციასთან საბჭოთა სახელმწიფოს შეერთების შემდეგ საბჭოთა გამოგონება ავტომატურად იქნება დაცული. ახლა შესაბამის საბჭოთა ორგანოებს და ავტორ-გამომგონებლებს ევალებათ სრულად გამოიყენონ 12 თვიანი პრიორიტეტული ვადა იმისათვის, რომ უფრო ზუსტად და მიზანშეწონილად



აირჩიონ კონვენციაში შემავალი ქვეყნები საზღვარგარეთულ დაპატენტებისათვის და ამით ხელი შეუწყონ საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო სავაჭრო კავშირის შემდგომ გაფართოებას.

4. დამატებული საბჭოთა საგამომგონებლო კანონმდებლობაში. პარიზის 1883 წლის კონვენცია სრულიად არ ავიწროებს და არ დევნის ეროვნულ კანონმდებლობას საპატენტო ურთიერთობის მოწესრიგებაში. მეტიც, ამ მრავალმხრივი ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ის, რომ მასში მონაწილე ქვეყნებს შეუძლიათ ურთიერთშორის დადონ შეთანხმებანი, რომელიც არ ეწინააღმდეგება კონვენციის პირობებს. ამ კონვენციასთან შეერთებით საბჭოთა კავშირს უარი არ უთქვამს და არ გადაუხვევია თავისი საგამომგონებლო სამართლის არცერთ პრინციპიდან. როგორც აღვნიშნეთ, პარიზის კონვენცია არსებითად არ ითვალისწინებს საერთაშორისო მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების შექმნას. ამ კონვენციის მიღების შემდეგ არ წარმოშობილა საჭიროება საბჭოთა საგამომგონებლო სამართლის შეცვლისა, მაგრამ ბუნებრივია საჭირო ვახდა დამატების შეტანა ამ კანონმდებლობაში.

ეს დამატებები შეტანილი იქნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 17 მარტის დადგენილებით დებულებაში აღმოჩენის, გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შესახებ.

დებულების 33-ე მუხლს დაემატა ორი აბზაცი. მასში აღნიშნულია, რომ საერთაშორისო შეთანხმების მონაწილე ქვეყნების უცხოელი მოქალაქეების და უცხოელი იურიდიული პირების მიმართ პრიორიტეტი დადგინდება გამოგონების პირველი სწორად გაფორმებული განაცხადის პრიორიტეტის თარიღის მიხედვით, თუკი განაცხადი შემოტანილი იქნება სსრ კავშირში ამ თარიღიდან 12 თვის ვასვლამდე.

აქვე მითითებულია იმის შესახებ, თუ რა მასალები უნდა წარმოადგინოს პირმა თავისი პრიორიტეტის დასადასტურებლად.

დებულების 39-ე მუხლს დაემატა მე-3 აბზაცი, რომელშიც აღნიშნულია, რომ თუ კი საავტორო მოწმობის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მსგავს გამოგონებაზე შემოვა განაცხადი უცხოელ მოქალაქისაგან ან უცხოელ იურიდიულ პირისაგან, რომელიც საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე, უფრო ადრინდელი პრიორიტეტით სარგებლობს, სსრ კავშირის გამოგონებისა და აღმოჩენის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი აუქმებს, ანდა ცვლის ადრე მიღებულ გადაწყვეტილებას საავტორო მოწმობის გაცემის შესახებ, რასაც აცნობებს იმ პირს, რომლის განაცხადის გამო ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

დებულებას დაემატა XI კარი, რომელსაც ეწოდება „განსაკუთრებული დებულებანი“. მასში ორი მუხლია. 78-ე მუხლში აღნიშნულია, რომ არ ითვლება იმ სახელმწიფოს უფლების დარღვევად, რომელიც გამომდინარეობს საავტორო მოწმობიდან, ანდა პატენტის მფლობელობის უფლებიდან, — გამოგონების გამოყენება სსრ კავშირის ტერიტორიაზე დროებით მყოფ სატრანსპორტო საშუალებებზე.

79-ე მუხლით დადგენილია, რომ იმ გამოგონებლების პრიორიტეტი, რომელიც გამოყენებულია საერთაშორისო გამოფენაზე მოთავსებულ ექსპონა-



ტებში და რომელიც სსრ კავშირის მიერ არის ორგანიზებული,—დადგინდება გამოფენაზე ექსპონატის მოთავსების თარიღიდან, თუკი განაცხადი შემოტანილია ამ თარიღიდან არა უგვიანეს 6 თვისა.

საბჭოთა გამოგონების დაპატენტება უცხოეთში და უცხოური გამოგონების დაპატენტება საბჭოთა კავშირში ეს სპეციფიკური ფორმაა მეცნიერების და ტექნიკის დარგში ქვეყნებს შორის თანამშრომლობისა.

საბჭოთა ქვეყანა ტექნიკური პროგრესის პირველ რიგში დგას. ამ კოლოსალური მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის ქვეყნის შეერთება პარიზის 1883 წ. კონვენციასთან სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ საერთაშორისო ტექნიკური თანამშრომლობის დიდმნიშვნელოვანი აქტია.

---

## მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახლება

საქართველოს სსრ სამოქალაქო სა-  
მართლის ახალი კოდექსის 329-ე მუხ-  
ლის შესაბამისად მოქალაქეთა ადმინი-  
სტრაციული წესით გამოსახლება შეიძ-  
ლება მხოლოდ კანონით საგანგებოდ  
გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამას-  
თან მოქალაქეთა ადმინისტრაციული  
წესით გამოსახლება შეიძლება როგორც  
სხვა საცხოვრებელი ფართობის მიცე-  
მით, ისე საცხოვრებელი ფართობის  
მიუცემლად.

**I. მოქალაქეთა გამოსახლება სხვა  
საცხოვრებელი ფართობის მიცემით.**  
საქართველოს სსრ სამოქალაქო სამარ-  
თლის კოდექსის 330-ე მუხლის შესაბა-  
მისად მოქალაქეთა ადმინისტრაციული  
გამოსახლება სხვა საცხოვრებელი ფა-  
რთობის მიცემით შეიძლება იმ სახლი-  
დან, რომელსაც ჩამოქცევა ემუქრე-  
ბა. საცხოვრებელი სახლის ჩამოქცევის  
მუქარის ფაქტი დადგენილ უნდა იქნას  
მშრომელთა დეპუტატების ადგილობ-  
რივ საბჭოს აღმასრულებელი კომიტე-  
ტის გადაწყვეტილებით.

იმ შემთხვევაში, როდესაც საცხოვ-  
რებელი სახლი ჩამოქცევის საშიშრო-  
ების გამო აღებულ უნდა იქნას, საცხო-  
ვრებელი ფართობის ქირავნობის ხელ-  
შეკრულება მოიწლება და დამქირა-  
ველს აღმასრულებელი კომიტეტის გა-  
დაწყვეტილებით მიეცემა სხვა საცხოვ-  
რებელი ფართობი იმავე დასახლებული  
პუნქტის ფარგლებში კაპიტალური ტი-  
პის სახლში, არა ნაკლებ იმ ფართობისა,  
რაც მას ფაქტიურად უკავია. თუ დამ-  
ქირავებელს აქვს ცალკე, დამოუკიდე-  
ბელი ბინა ან ერთზე მეტი ოთახი, მას  
შესაბამისად უნდა მიეცეს ცალკე ბინა

ან იმავე ფართობის ოთახები. მაგრამ  
თუ დამქირავებელს აქვს კანონით დად-  
გენილი ზღვრულ ნორმაზე მეტი საცხო-  
ვრებელი ფართობი, მაშინ მას მიეცემა  
სხვა საცხოვრებელი ფართობი დაწესე-  
ბული ნორმების (12 კვ. მეტრი) მიხედ-  
ვით, დამატებითი ფართობის გათვალის-  
წინებით. ასეთი პირისათვის მისაცემი  
საცხოვრებელი ფართობის ნორმის გან-  
საზღვრისას მხედველობაში უნდა იქ-  
ნეს მიღებული ოჯახის ის წევრები,  
რომლებსაც კანონით ენარჩუნებათ  
საცხოვრებელ ფართობზე უფლება  
(ოჯახის წევრები, რომლებიც წასული  
არიან სამკურნალოდ, ვადიან სამხედ-  
რო სამსახურში, სასწავლებლებში, სა-  
მსახურებრივ მივლინებაში ან შორეუ-  
ლი ჩრდილოეთის რაიონებში სამუშა-  
ოდ). ამასთან ერთად, გათვალისწინე-  
ბულ უნდა იქნეს, აგრეთვე ის გარემო-  
ება, რომ სხვადასხვა სქესის მოქალა-  
ქეებს (გარდა მეუღლეებისა), რომლებ-  
საც ასაღებ სახლში დაკავებული აქვთ  
ორი ან მეტი ოთახი, არ შეიძლება  
მიეცეს იმავე ფართობის ერთი ოთახი.

აღნიშნული პირობისათვის სხვა სა-  
ცხოვრებელი ფართობის მიცემის ვალ-  
დებულება დაეკისრება ასაღები სახ-  
ლის მფლობელს. ხოლო იმ შემთხვევა-  
ში, როდესაც ასაღები სახლი ეკუთვნის  
მოქალაქეებს პირადი საკუთრების  
უფლებით, მაშინ გამოსახლებულ პი-  
რებს შესაბამისი საცხოვრებელი ფარ-  
თობი უნდა მიეცეს მშრომელთა დეპუ-  
ტატების ადგილობრივი საბჭოს აღმა-  
სრულებელი კომიტეტის მიერ.

იმ სახლებიდან, რომლებსაც ჩამოქ-  
ცევა ემუქრება, მოქალაქეთა გამოსა-

ხლება წარმოებს ადმინისტრაციული წესით პროკურორის სანქციით. გამოსახლების ასეთი წესის არსებობა მთლიანად უზრუნველყოფს მოქალაქეთა სიცოცხლის უზრუნველყოფას.

**II. მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახლება სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად:**

1. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 291-ე მუხლის შესაბამისად საცხოვრებელი ფართობის მიცემა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სახლებში წარმოებს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით. ხოლო სახელმწიფო, კოლპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციათა სახლებში — ადმინისტრაციისა და პროფესიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით, რომელსაც მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ამტკიცებს.

საცხოვრებელი ფართობის მიცემის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი აძლევს მოქალაქეს ორდერს საცხოვრებელი ფართობის დაკავებისათვის.

სასამსახურო საცხოვრებელი ფართობი, მიუხედავად სახლის უწყებრივი კუთვნილებისა, მოქალაქეებს მიეცემა მხოლოდ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სპეციალური ორდერის საფუძველზე. მოქალაქეთა პირადი საკუთრების სახლებში საცხოვრებელი ფართობის მიღება შეიძლება სახლის მესაკუთრის ნებართვით.

საცხოვრებელი ფართობის მიღების ზემოხსენებული მოქმედი წესი უზრუნველყოფს მოქალაქეთა შორის სა-

ცხოვრებელი ფართობის გეგმაზომიერ განაწილებას. ამ წესის დარღვევით საცხოვრებელი ფართობის დაკავება განხილულ უნდა იქნას როგორც თვითნებობა.

საცხოვრებელი ფართობის თვითნებურად დაკავების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 331-ე მუხლით გათვალისწინებულია, რომ ის პირი, რომელმაც თვითნებურად დაიკავა საცხოვრებელი ან არასაცხოვრებელი ფართობი, გამოსახლებული უნდა იქნეს ადმინისტრაციული წესით პროკურორის სანქციით, სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად.

ამასთან ხაზი უნდა გაეკეთოს იმ გარემოებას, რომ ასეთი საფუძველით მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახლება შეიძლება მიუხედავად საცხოვრებელი ფართობის უწყებრივი კუთვნილებისა.

პროკურორი ვალდებულია შეამოწმოს დაინტერესებულ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა მოთხოვნის სისწორე, იმ პირთა ადმინისტრაციული წესით გასახლების შესახებ, რომლებმაც საცხოვრებელი ფართობი დაიკავეს თვითნებურად, რის შემდეგ გადაწყვიტოს საკითხი გამოსახლების სანქციის გაცემის შესახებ. დაინტერესებულ პირს საერთო საფუძველზე შეუძლია პროკურორის დადგენილება ადმინისტრაციული წესით გამოსახლების შესახებ გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან.

იმ პირთა მიმართ, რომლებმაც საცხოვრებელი ფართობი დაიკავეს თვითნებურად, სათანადო ნებარვის გარეშე, მოქმედი კანონმდებლობა რაიმე შედეგათებს არ ითვალისწინებს. საცხოვრებელი ფართობის თვითნებურად დაკავების შემთხვევაში გამოსახლება უნდა მოხდეს ადმინისტრაციული წესით, სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, მიუხედავად გამოსახლებ-

ლი პირის ოჯახური მდგომარეობის, საქმიანობისა და დამსახურებისა.

ამასთან, ადმინისტრაციული წესით გამოსახლების საკითხის გადაწყვეტისას მაქსიმალურად უნდა იქნეს დაცული მოქალაქეთა საბინაო უფლებები. ადმინისტრაციული წესით არ შეიძლება იმ პირის გამოსახლება, რომელიც საცხოვრებელ ფართობში ცხოვრობს ძირითადი დამკირავებლის ნებართვით. ასეთი პირის გამოსახლება შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით, სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად.

მოქალაქესა და საბინაო ორგანოებს შორის აღრძულ დავას საცხოვრებელი ფართობის დაკავების სისწორის შესახებ გადაწყვეტს სასამართლო. საცხოვრებელი ფართობის მიღების წესის დარღვევით გაცემული ორდერი სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი და მოქალაქე გამოსახლდეს სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად. მაგრამ, თუ აღნიშნული მოქალაქე სადაო ბინაში ჩასახლებაზე ცხოვრობდა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოს ან საუწყებო სახლებში, მას უნდა მიეცეს თავისი ყოფილი ბინა ან სხვა საცხოვრებელი ფართობი.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 331-ე მუხლით დადგენილი წესი არ უნდა იქნეს გამოყენებული სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ. თუ ამ ორგანიზაციებმა თვითნებურად დაიკავეს საცხოვრებელი ან არასაცხოვრებელი ფართობი, საკითხი აღნიშნული ფართობიდან მათი გასახლების შესახებ გადაწყდება სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ.

2. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის შესაბამისად სამსახურბრივი საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის უფლება, რომელიც მუშაკს მიეცა შრომის ხელ-

შეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, მოისპობა შრომის ხელშეკრულების მოშლასთან ერთად.

ორგანიზაციასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში მუშაკი და მასთან ერთად მცხოვრები პირები გამოსახლებულ უნდა იქნენ ადმინისტრაციული წესით პროკურორის სანქციით სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია მუშაკი წინასწარ, ერთი თვით ადრე გაფრთხილებულ იქნას გამოსახლების შესახებ.

აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული წესი არ გამოიყენება ომის ინვალიდების, პირველი და მეორე ჯგუფის შრომის ინვალიდების, მოხუცებულობის გამო პენსიონერების, პერსონალური პენსიონერების, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამსახურში მყოფ პირთა ოჯახის წევრების, აგრეთვე იმ სამხედრო მოსამსახურეთა და პარტიზანთა ოჯახის წევრების მიმართ, რომლებიც დაიღუპნენ ან უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ სსრ კავშირის დაცვის დროს ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულების დროს. აგრეთვე იმ პირის მიმართ, რომელიც თუმცა გათავისუფლებული იქნა იმ თანამდებობიდან, რომელთანაც დაკავშირებით მას მიეცა სამსახურბრივი საცხოვრებელი ფართობი, მაგრამ შრომითი ურთიერთობა არ შეუწყვეტია ამ ფართობის მიმცემ ორგანიზაციასთან.

შემოჩამოთვლილ პირთა სამსახურბრივი საცხოვრებელი ფართობიდან გამოსახლება შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა საცხოვრებელი ფართობის მიცემით.

3. საერთო საცხოვრებელში მოქალაქეებს ფართობი ეძლევათ დროებით სარგებლობისათვის სათანადო შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად ან სასწავლებლებში სწავლასთან დაკავშირებით.

საერთო საცხოვრებლებიდან მოქალაქეთა გამოსახლების საკითხის გადაწყვეტისას, გათვალისწინებულ უნდა იქნას ამ საცხოვრებლებში ჩასახლების წესი და პირობები.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის შესაბამისად მოქალაქეები, რომლებმაც სახელმწიფო კოოპერაციულ ან საზოგადოებრივ ორგანიზაციების საერთო საცხოვრებლებში ფართობი მიიღეს შრომითი ურთიერთობის ან სწავლასთან დაკავშირებით, გამოსახლებულ უნდა იქნას ადმინისტრაციული წესით სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ან სასწავლებლიდან გასვლის შემთხვევაში.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 333-ე მუხლში ჩამოყალიბებულია საერთო საცხოვრებლებიდან მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახლების საფუძვლები. ამ მუხლის თანახმად საერთო საცხოვრებლიდან ადმინისტრაციული წესით გამოსახლება სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად შეიძლება:

ა) სეზონური და დროებითი მუშაებისა, იმ სეზონური და დროებითი სამუშაოს დამთავრებისას, რომელთანაც დაკავშირებით მათ ფართობი მიეცათ;

ბ) მოქალაქეების, რომლებმაც საცხოვრებელი ფართობი მიიღეს შრომითი ურთიერთობის საფუძველზე, სოლო შემდგომ შესწყვიტეს შრომითი ურთიერთობა პირადი სურვილით დათხოვნასთან დაკავშირებით, შრომის დისციპლინის დარღვევის ან დანაშაულის ჩადენის გამო.

თუ მუშაკი დათხოვნილია სამუშაოდან სხვა საფუძვლით, (შტატების შემცირების უფარვისობის და სხვ.) საერთო საცხოვრებლიდან მისი გამოსახლება შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა საცხოვრებელი ფართობის მიცემით.

გ) მოქალაქეებისა იმ სასწავლებლი-

დან წასვლის შემთხვევაში, რომელმაც მათ მისცა საერთო საცხოვრებელში ფართობი.

შემოადინიშნული „ბ“ და „გ“ პუნქტებით გათვალისწინებული წესი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ომის ინვალიდების, პირველი და მეორე ჯგუფის შრომის ინვალიდების, მოხუცებულობის გამო პენსიონერების, პერსონალური პენსიონერების, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამსახურში მყოფ პირთა ოჯახების, აგრეთვე იმ სამხედრო მოსამსახურეთა და პარტიზანთა ოჯახების მიმართ, რომლებიც დაიღუპენ ან უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ სსრ კავშირის დაცვის დროს ან სამხედრო სამსახურის სხვა მოავლეობათა შესრულების დროს.

აღნიშნულ პირთა გამოსახლება შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა საცხოვრებელი ფართობის მიცემით.

4. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 334-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების შესაბამისად სასტუმროდან შეიძლება მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახლება, პროკურორის სანქციით, სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად. კერძოდ, ადმინისტრაციული წესით შეიძლება გასახლებული იქნეს ის პირი, რომელიც სასტუმროში ცხოვრობს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ დაწესებულ ვადაზე მეტი ხანგრძლივობით, ან არ იხდის ქირას მისთვის მიცემული ფართობის სარგებლობისათვის, ანდა არღვევს სასტუმროსათვის დადგენილ შინაგანაწესს.

მოქალაქეთა გამოსახლების აღნიშნული წესი სავსებით და მთლიანად შეესაბამება სასტუმროს მიზნობრივ დანიშნულებას.

ს. ჯაფარიძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი



## 1864 წლის სასამართლო რეფორმა

ზ. შანია

რუსეთში კაპიტალისტურ საწარმოო ურთიერთობათა განვითარება XIX საუკუნის პირველ ნახევარში მნიშვნელოვანი მიღწევებით აღინიშნა. შესამჩნევად გადიდდა სამრეწველო საწარმოთა რიცხვი, გაიზარდა თავისუფლად დაქირავებული შრომის გამოყენება. ყოველწლიურად ფართოვდებოდა ახალ მანქანათა დანერგვა წარმოებაში. იზრდებოდნენ ქალაქები, რომლებიც თანდათან ტიპური ბურჟუაზიული ქალაქის სახეს იღებდნენ. სოფლად მიმდინარეობდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის სწრაფი ზრდა. მემამულეთა ყოველგვარი ცდა სოფლის მეურნეობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის განწირული იყო ჩასაშლელად. ფეოდალიზმის წიაღში აღმოცენებული და განვითარებული კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობანი სასტიკ წინააღმდეგობაში ჩავარდნენ ძველ, ჩამორჩენილ ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობებთან.

50-ანი წლების ბოლოს ამ წინააღმდეგობამ იმდენად მძაფრი ხასიათი მიიღო, რომ მისი გადაწყვეტის გარეშე სრულიად შეუძლებელი გახდა ქვეყნის საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარება.

ფეოდალური ფორმაციის ღრმა კრიზისის საკმაოდ დამაჯერებლად მოწმობდა გლეხთა აჯანყებები, რომლებმაც განსაკუთრებით ფართო გაქანება ჰპოვეს ყირიმის ომის წლებში.

თვით ყირიმის ომმა, რომელიც მეფის რუსეთის სრული დამარცხებით დამ-

თავრდა, დიდი დარტყმა მიაყენა ფეოდალურ-მემამულურ სისტემას. ომმა „ცხადყო ბატონყმური რუსეთის სიღამპლე და უძლურება“<sup>1</sup>. ომში დამარცხებამ დაადასტურა ბატონყმური წყობის მოსპობისა და მსხვილი მრეწველობის შექმნის აუცილებლობა, „თუნდაც წმინდა სამხედრო მოსაზრებებიდან გამომდინარე“<sup>2</sup>.

ყირიმის ომში წარუმატებლობამ გააძლიერა ანტიბატონყმური განწყობილება მოწინავე რუსული ინტელიგენციის ფენებში. გლეხთა გათავისუფლების განსაკუთრებით მხურვალე დამცველად გამოდიოდნენ რევოლუციონერ-დემოკრატები. დაბეჩავებულ გლეხთა გათავისუფლების ყველაზე რადიკალური პროექტები წამოაყენა გერცენის „კოლოკოლმა“ და აგრეთვე „სოვრემენნიკმა“, რომლის იდეური ხელმძღვანელი ნ. გ. ჩერნიშევსკი იყო. აზრი ბატონყმური წყობილების მოსპობის აუცილებლობაზე რუსეთის საზოგადოების ფართო ფენებს მოედო.

შემოაღნიშნულმა გარემოებებმა, XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს, ხელი შეუწყო შექმნილიყო ქვეყანაში ისეთი მდგომარეობა, რაც სრულიად შეუძლებელს ხდის „გაბატონებული კლასებისათვის — შეინარჩუნონ უცვლელი სახით თავიანთი ბატონობა“<sup>3</sup>. „როგორც კრიზისის მთელი ვითარება, ისე თვითონ „ზედაფენები“ იწვევენ დამოუკიდებელ ისტორიულ გამოსვლას“<sup>4</sup> სახალხო მასებისა.

1859-1861 წლებში რუსეთში შეიქმნა

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 17, გვ. 127.

<sup>2</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. XVI, ч. II, стр. 30.

<sup>3</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 248.

<sup>4</sup> იქვე.

მძაფრი რევოლუციური სიტუაცია, რომელიც რევოლუციაში გადაზრდილი იმუქრებოდა.

საქმის ამგვარი მობრუნებით დაშინებული მთავრობამ დაიქარა საბოლოოდ დამდგარიყო ბურჟუაზიული გარდაქმნის გზაზე. იგი კარგად ამჩნევდა, რომ ბატონყმური წყობის იმგვარად დატოვება, როგორც ის არსებობდა საუკუნის შუაწლებამდე, შეუძლებელი იყო. საჭირო იყო ისეთი ღონისძიებების გატარება, რომელიც აიცილებდა სოციალურ რევოლუციას და შექმნიდა რამდენადმე ხელსაყრელ პირობებს ახალ, კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობათა განვითარებისათვის.

1861 წლის 19 თებერვალს ალექსანდრე II დაამტკიცა კანონპროექტი მემამულისეულ გლეხებზე — „19 თებერვლის დებულება“ და მანიფესტი გლეხთა „გათავისუფლების“ თაობაზე.

მაგრამ ეს „გათავისუფლება“, ლენინის გამოთქმით, წარმოადგენდა „გლეხების ყოვლად უსინდისო გაძარცვას“<sup>1</sup>. საბოლოოდ განადგურებულმა გლეხობამ არ დააყოვნა გამოპასუხებოდა „მეფე-განმათავისუფლებლის“ „მოწყალებას“. მანიფესტის გამოქვეყნებისთანავე იწყება გლეხთა მოძრაობის ახალი აღმავლობა. გლეხთა მღელვარებამ 1660 სტრეფელსა და დაბაში იჩინა თავი<sup>2</sup>.

მეფის მთავრობას არ შეეძლო შეზღუდულიყო ბატონყმური წყობის შეცვლით. ქვეყნის შემდგომი ეკონომიური განვითარება აუცილებლად მოითხოვდა ცხოვრებაში ისეთი ბურჟუაზიული რეფორმების გატარებას, რომლებიც შეაგუებდნენ დაუძლეურებულ ფეოდალურ ზენდამენს ახალ, მზარდ კაპიტალისტურ ბაზისს. საჭირო იყო ძველი პოლიტიკური, სამართლებრივი და სხვა დაწესებულებების გარდაქმნა ახალ, ბატონყმური წყობის დაცემის შემდეგ დადგე-

ნილ წარმოებით ურთიერთობათა მონოგენების შესაბამისად, სახალხო განათლების სისტემის გაუმჯობესება, არმიის რეორგანიზაცია დროის მოთხოვნის შესაბამისად და სხვ.

ეს ცვლილებანი სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებისათვის იყო აუცილებელი და მთავრობაც 60-იანი წლების დასაწყისიდან იწყებს ბურჟუაზიული რეფორმების განხორციელებას. ძირითად ძალას მაინც, რომელმაც თვითმპყრობელობა რეფორმატორობის გზაზე დააყენა, რომელმაც აიძულა იგი დათმობაზე წასულიყო, წარმოადგენდა, ისევე როგორც საგლეხო რეფორმის გატარების დროსაც, 1859-1861 წლების შეუწელებელი რევოლუციური სიტუაცია, გლეხთა გამოსვლების მძლავრი გაქანება, რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა პოლონეთსა და ფინეთში, რევოლუციონერთა წრეების დაუღალავი საქმიანობა, სტუდენტთა გამოსვლები; ყველაფერმა ამან აიძულა თვითმპყრობელური მთავრობა დაეჩქარებინა ქვეყანაში ბურჟუაზიული რეფორმების გატარება.

1863-1874 წლებში რუსეთში გატარდა შემდეგი რეფორმები: საეროობა (1864), სასამართლო (1864), ქალაქის (1870), საფინანსო (1860-1870), ცენზურის (1865), სახალხო განათლების (1864-1874), სამხედრო (1874) და სხვა.

„ზემოდან“ გატარებული ეს „დიადი რეფორმები“, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოდგნენ ორჭოფული, დაუსრულებელი, უვნებელი თვითმპყრობელობისა და ექსპლოატატორული კლასებისათვის. ისინი მოწოდებულნი იყვნენ რუსეთის თვითმპყრობელურ — პოლიციური წყობა შეეგუებინათ კაპიტალისტური განვითარების მოთხოვნებთან და დაეცვათ, ამავე დროს, აზნაურ-მემამულური სახელმწიფოს კლასო-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხ. ტ. 17, გვ. 126.

<sup>2</sup> С. Пионтковский, Очерки по истории России XIX и XX вв., 1930 стр. 122—125.

ბრივი არსი. თავის მხრივ ამ გარემოებას ბურჟუაზიულ რეფორმებში შექმნდა ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი მახინჯი მხარეები, ზღუდავდა ახალ წარმოებით ურთიერთობათა ზრდის შესაძლებლობას, და ეს კი, ბუნებრივია, ხელს უშლიდა ქვეყნად კაპიტალიზმის განვითარებას. ეს უკანასკნელი ცუდ გავლენას ახდენდა მშრომელ მასების მდგომარეობაზე და პირველ რიგში — გლეხობაზე, რომელიც „გაცილებით უფრო მეტად იჩაგრებოდა კაპიტალიზმის არასაკმარისი განვითარებით, ვიდრე კაპიტალიზმით“<sup>1</sup>.

გასული საუკუნის 60-70 წლებში რუსეთში გატარებული ბურჟუაზიული რეფორმებიდან შედარებით უფრო თანმიმდევრული იყო 1864 წლის სასამართლო რეფორმა.

ბატონყმური წყობის შეცვლის შემდეგ, ფეოდალურ პრინციპებზე შექმნილ ეკატერინესდროინდელ ძველ წოდებრივ სასამართლოს აღარ შეეძლო შემდგომში გაეგრძელებინა თავისი არსებობა. საზოგადოებრივი ფენები მოითხოვდნენ გარდაქმნებს სასამართლო წყობილებისა და სამართალწარმოების სფეროში, რათა ისინი შეეგუებინათ ახალ მოთხოვნებთან, რომელიც წამოსწია ქვეყანაში ბურჟუაზიულ ურთიერთობების განვითარებამ. თავის მხრივ მთავრობაც ვრძნობდა ძველი სასამართლოს შეუსაბამობას ცხოვრების ახალ პირობებთან. რეფორმამდელი სასამართლო არასდროს არ წარმოადგენდა სისტემატური საკანონმდებლო მუშაობის ობიექტს. ამიტომ კანონები, რომლებიც 1864 წლამდე, ე. ი. სასამართლო რეფორმის გატარებამდე არსებობდნენ, თავისთავად სხვადასხვა სახის დადგენილებათა კრებულს წარმოადგენდნენ. ამის გამო სასამართლოს ორგანიზაცია,

მისი მრავალრიცხოვანი ინსტანციებით („თერთმეტი სატანჯველი“, როგორც მას თანამედროვენი უწოდებდნენ), მეტად რთული და არეულ-დარეული იყო. წინასწარი გამოძიება პოლიციის ხელში იყო. „ნამდვილი სასამართლო არ არსებობდა, იყო მხოლოდ ყოვლისშემძლე, ყოვლადშემძლე პოლიცია... განსასჯელის ანგარიშგასწორება იწყებოდა და მთავრდებოდა პოლიციაში“; — იგონებდა შემდგომში გამოჩენილი რუსი იურისტი ვ. დ. სპასოვიჩი<sup>2</sup>.

სამართალწარმოებაში არ იყო საქვეყნობა და საჯაროობა. საქმეებს იხილავდნენ კანცელარიებში მეტად საიდუმლოდ, ამასთან განსასჯელი არ იღებდა არავითარ მონაწილეობას საქმის მსვლელობაში. სასამართლოებში გაბატონებული იყო ბიუროკრატია და საქმეთა გაჭიანურება. ზოგჯერ საქმეები 10-15 წელი იდო პირველ ინსტანციაში. სასამართლო ფაქტიურად მცირეამულიანი აზნაურების ხელში იყო, რომლებიც უტოვინარობითა და უზნეობით გამოირჩეოდნენ. ყველგან მექრთამეობა და გამოძალგა იყო გავრცელებული.

დასასრულ, რეფორმამდელი სასამართლო მთლიანად დამოკიდებული იყო ადმინისტრაციულ ხელისუფლებასთან, რომელიც კარნახობდა მას მთავრობისათვის სასარგებლო გადაწყვეტილებებს. სასამართლო უწყებათა საქმეებში ხშირად ერეოდა III განყოფილება — სასამართლოს მიერ დარღვეულ უფლებათა „აღდგენის“ მიზნით.

სასამართლო რეფორმის გატარებისათვის სამუადისი 1861 წელს დაიწყო, ხოლო 1864 წლის 20 ნოემბერს სასამართლო წესდებათა ახალმა პროექტმა მიიღო „უმაღლესი დამტკიცება“.

ახალ კანონდებულებათა შესაბამისად, ძველი წოდებრივი სასამართლოები

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 17, გვ. 121.

<sup>2</sup> И. В. Гессен, Судебная реформа, СПб, 1905, стр. 16.

შეიცვალა ახალი, არაწოდებრივი სასამართლოთი, რომელსაც უნდა განეწილა საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელთა საქმე, მათი წარმოშობის მიუხედავად

რამდენიმე მაზრა შეადგენდა ე. წ. სასამართლო ოლქს. თითოეულ ოლქში არსებობდა საოლქო სასამართლო, რომელიც შედგებოდა თავმჯდომარისა და სასამართლოს წევრებისაგან. რამდენიმე სასამართლო ოლქი შედიოდა სასამართლო პალატის ოლქის შემადგენლობაში. სასამართლო პალატა იყოფოდა დეპარტამენტებად, რომელთა სათავეში თავმჯდომარეები იდგნენ. დეპარტამენტის ერთ-ერთი თავმჯდომარე ინიშნებოდა სასამართლო პალატის ყველა დეპარტამენტთა საერთო კრების თავმჯდომარედ.

საოლქო სასამართლოები იხილავდნენ ყველა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეს. გამონაკლისს შეადგენდნენ პოლიტიკური საქმეები, ე. წ. „სახელმწიფო დანაშაულობანი“) და თანამდებობრივი დანაშაულობანი. ამ კატეგორიის საქმეებს იხილავდა სასამართლო პალატა წოდებრივი წარმომადგენლების მონაწილეობით და სისხლის სამართლის საქმეთა უმაღლესი სასამართლო, რომელიც ყალიბდებოდა ყოველთვის განსაკუთრებული უმაღლესი ბრძანებით სახელმწიფოს საბჭოს თავმჯდომარის თავმჯდომარეობით. მერვედან მეხუთე კლასამდე მოხელეები სისხლის სამართლის დანაშაულისათვის გადაეცემოდნენ სასამართლო პალატას, ხოლო მეხუთე კლასის ზევით მქონე თანამდებობის პირთა დანაშაულებრივი ქმედობანი იხილებოდა სენატის საკასაციო დეპარტამენტში სასამართლოს მონაწილეობით. სისხლის სამართლის საქმეთა უმაღლეს სასამართლოს ექვემდებ

ბარებოდა სახელმწიფო საბჭოს წევრთა მინისტრებისა და მთავარმმართველთა დანაშაულებრივი საქმეები.

„სახელმწიფო დანაშაულთა“ საქმეების გამოყოფას სხვა საქმეებიდან მთავრობა იმიტომ სწინადა, რომ მსგავსი დანაშაულები „ყოველთვის და საზოგადოების ყველა წევრებში არ აღძრავს ისეთ ზიზღს, როგორც სხვა დანაშაულები აღძრავენ ხოლმე, მითუმეტეს, თუ საზოგადოებრივი კეთილდღეობის მოჩვენებითი სურვილი ყალბი გარეგნობით იმალება. ამიტომ ნაფიცთა მიერ საკითხის გადაწყვეტა დანაშაულობაზე თუ არადანაშაულობაზე ნიშნავს სახელმწიფოს, საზოგადოებისა და ხელისუფლების დატოვებას ყოველგვარი დაცვის გარეშე“<sup>1</sup>.

საოლქო სასამართლოებში ისეთი დანაშაულის საქმეები, რომელიც ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით ან უფლებათა შეზღუდვით, იხილებოდა თორმეტ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, რომლებიც წილისყრით ინიშნებოდნენ და რომლებიც „თავიანთი შინაგანი რწმენით“ წყვეტდნენ საკითხს ბრალდებულის ბრალეულობაზე ან მის არაბრალეულობაზე. საქმე წყდებოდა ხმების უმრავლესობით. თუ ხმები თანაბარი იყო, მნიშვნელობა ენიჭებოდა თავმჯდომარის აზრს. მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის გადაწყვეტის შემდეგ სასამართლოს შემადგენლობას გამოჰქონდა განაჩენი.

საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ნაფიცთა მონაწილეობით მიიღებოდა, საბოლოო იყო. იგივე შემთხვევაში, როდესაც სასამართლოში მონაწილეობას არ იღებდნენ ნაფიცი მსაჯულები, გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლებოდა სასამართლო პალატაში. სასამართლო პალატა მოვალე

<sup>1</sup> И. В. Гессен, Судебная реформа, стр. 68.

იყო ისე გადაეწყვიტა საქმე, რომ ახალ წარმოებისათვის არ დაებრუნებინა საოლქო სასამართლოში.

საკასაციო ინსტანციას, სადაც შეიძლება გაესაჩივრებინათ ნაფიც მსაჯულთა საოლქო სასამართლოს და სასამართლო პალატის გადაწყვეტილება, წარმოადგენდა სენატი, რომელსაც შეეძლო გაეუქმებინა გადაწყვეტილება და ამის შემდეგ საქმე დაექვემდებარებინა მეორედ განსახილველად ამავე ან სხვა სასამართლოსათვის. სენატის შემადგენლობაში იყო ორი საკასაციო დეპარტამენტი: ერთი—სისხლის სამართლის საქმეებისათვის, მეორე — სამოქალაქო სამართლის საქმეებისათვის.

ნაფიცი მსაჯულები ადგილობრივი მცხოვრებნი უნდა ყოლიფილიყვნენ, რომელთაც გააჩნდათ განსაზღვრული ქონებრივი და თანამდებობრივი ცენზი და რომლებიც აკმაყოფილებდნენ აგრეთვე ბინადრობის ცენზს.

ახალი კანონით დაწესდა სამართალწარმოების საქვეყნობა და სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობა. სასამართლო სსდომები მიმდინარეობდა ღიად, ზოგიერთ გამოჩინების შემთხვევების გარდა. თუმცა დახურულ სსდომებზეც სასამართლო დარბაზში რჩებოდნენ ნათესავები და ნაცნობები, თითოეულ მხრიდან სამ-სამი კაცი. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ერთმანეთს მოელაპარაკებოდნენ და სასამართლო მიიღებდა მათ თხოვნას მხედველობაში, საქმე შეიძლება განხილულიყო დახურულ კარებში. დასაშვები იყო სასამართლოს, სსდომის შედგეგმვის პრესაში გამოქვეყნება.

სასამართლო წესდებების შემოღებამდე წინასწარი გამოძიება, როგორც ზემოთ აღინიშნა, მთლიანად პოლიციის ხელში იყო თავმოყრილი. ახალ სასამართლოს სამართალწარმოების ამ მნიშვნელოვან ნაწილში უნდა ჩაბმულიყვნენ სასამართლო უწყებათა სპეციალუ-

რი მოხელეები — გამოძიებლები, რომლებსაც იურიდიული განათლება უნდა ჰქონოდათ. სასამართლო გამოძიებელი ვალდებული იყო დაუყოვნებლივ დაეკითხა მოწვეული ბრალდებული, ხოლო გამოძიებაში აყვანილი — მისი მოყვანიდან არა უგვიანეს ერთი დღელამისა. დაკითხვის ოქმი, ხელმოწერამდე, გამოძიებელს ხმამაღლა უნდა წაეკითხა ბრალდებულისთვის. უკანასკნელს შეეძლო თვითონაც გაცნობოდა თავის ჩვენებებს. მხარეთა შეჯიბრებაში განსასჯელი სარგებლობდა იგივე უფლებებით, როგორც პროკურორი. მას შეეძლო მიზეზის აუხსნელად აცილება მიეცა ნაფიც მსაჯულებისათვის, ზოგ შემთხვევაში კი — მოსამართლისათვისაც. თუ ნაფიცი მსაჯულები გამართლებდნენ განსასჯელს, სასამართლოს თავმჯდომარე მოვალე იყო დაუყოვნებლივ გამოეცხადებინა იგი სასამართლოსაგან თავისუფლად და გაეთავისუფლებინა პატიმრობიდან.

20 ნოემბრის წესდებებით შეიქმნა ნაფიც რწმუნებულთა-ადვოკატთა ინსტიტუტი. ნაფიც რწმუნებულთა შემადგენლობაში შეეძლოთ შესვლა უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირებს, რომლებსაც სასამართლო ორგანოებში მუშაობის ხუთი წლის სტაჟი ჰქონდათ. ადვოკატები იცავდნენ განსასჯელებს მათთან შეთანხმებით, ან სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნით. განსასჯელს შეეძლო შეეცვალა მის მიერ არჩეული დამცველი ან ეთხოვა სასამართლოს თავმჯდომარისათვის სასამართლოს მიერ დანიშნული დამცველის შეცვლა. ნაფიც რწმუნებულთა მიერ დადგენილი წესებისა და ფორმების დარღვევისათვის, თუ მან რაიმე ზიანი მიაყენა მოდავეს, ამ უკანასკნელს შეეძლო სასამართლოს მეშვეობით გადაეხდევინებინა რწმუნებულისაგან მიყენებული ზარალი.

უმნიშვნელო სამართლის დარღვევისა და წვრილმანი სარჩელების საქმეთა გა-

ნხილვისათვის არსებობდნენ სამომრიგებლო სასამართლოები, გამარტივებული სამართალწარმოების წესით. ეს აიხსნებოდა იმით, რომ „მცირემნიშვნელოვან საქმეების დროს იმდენად არ უნდა მიეჭყეს ყურადღება შეცდომებს, რადგანაც საჭიროა ზრუნვა დაჩაგრულის სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის — დროულად დაკმაყოფილდეს იგი და ამასთან, უპირატესობით, ადგილზევე“<sup>1</sup>.

მომრიგებელი მოსამართლეები ირჩეოდნენ მაზრის სასოფლო კრებებზე, ხოლო პეტერბურგში, მოსკოვსა და ოდესაში — ქალაქის სათათბიროში. მომრიგებელ მოსამართლედ არჩევისათვის აუცილებელი იყო თანამდებობრივი ან ქონებრივი ცენზი. მომრიგებელ მოსამართლის მიმართ სააპელაციო ინსტანციად ითვლებოდა მომრიგებელ მოსამართლეთა სამაზრო ყრილობა. ყრილობას ჰყავდა თავმჯდომარე, რომელსაც მომრიგებელი მოსამართლეები ირჩევდნენ სამი წლით. სამომრიგებლო ყრილობაზე საქმეთა განხილვის დროს მონაწილეობა უნდა მიეღოთ სამ მომრიგებელ მოსამართლეს მაინც. სამომრიგებლო ყრილობის გადაწყვეტილება ითვლებოდა საბოლოოდ და ექვემდებარებოდა აღსრულებას.

ახალი კანონი ადგენდა სასამართლოს დამოუკიდებლობას ადმინისტრაციული ხელისუფლებისაგან. ადმინისტრაციას არ ჰქონდა უფლება გაენთავისუფლებინა ანდა დროებით გადაეყენებინა სასამართლოს წევრები. ეს შეიძლებოდა მხოლოდ მათი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებებაში მიცემით, ხოლო გადაყენება — მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის სასამართლოს განაჩენით. 1864 წლიდან დაარსებული საოლქო და სამომრიგებლო სასამართლოებთან ერთად სოფლებში შემორჩა „1861 წლის 19 თებერვლის დებულებით“ დაარსე-

ბული წოდებრივი გლეხთა სათემო სასამართლო, რომელიც ასამართლებდა გლეხებს წვრილმანი სისხლისსამართლებრივი და სამოქალაქო დანაშაულისათვის. სასულიერო და სამხედრო მსახურთა მიერ ჩადენილ დანაშაულებს იხილავდნენ სპეციალური სასულიერო და სამხედრო სასამართლოები.

სხვადასხვა დოკუმენტთა დამოწმებისათვის შეიქმნა ნოტარიუსის თანამდებობა. „არასწორი თანამდებობრივი ქმედობის შემთხვევაში გადახდევინების უზრუნველსაყოფად“ ნოტარიუსის ადგილის მსურველი ვალდებული იყო წარედგინა საოლქო სასამართლოში გირაოს განსაზღვრული ოდენობა. იმ ადგილებში, სადაც ნოტარიუსი არ იყო, მისი ფუნქციები ეკისრებოდა მომრიგებელ მოსამართლეს.

1864 წლის სასამართლო რეფორმას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისათვის. რეფორმამ ახალი, სრულიადწოდებრივი სასამართლო დააარსა, რომელიც დროის მოთხოვნებს აკმაყოფილებდა, სასამართლო, რომელიც ძირფესვიანად განსხვავდებოდა ძველი წოდებრივი სასამართლოსაგან, მისი ბიუროკრატიზმით და საქმეთა დაუმთავრებელი გაჭიანურებით. ახალი სასამართლო, მიუხედავად იმისა, რომ მასში ჯერ კიდევ იყო ფეოდალურ-ბატონყმური ვადმონაშთები (სათემო გლეხური, უწყებრივი და თანამდებობითი სასამართლოები) წარმოადგენდა ტიპურ ბურჟუაზიულ დაწესებულებას. იგი მოწოდებული იყო ქვეყნად წარმოშობილი ახალი კლასის — ბურჟუაზიის სასიკეთოდ და ამიტომ უნდა ყოფილიყო მისი ინტერესების სადარაჯოზე, უნდა ყოფილიყო, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, ბრმა, მოქნილი იარაღი „ექსპლოატირე-

<sup>1</sup> И. В. Гессен, Ук. соч., стр. 73.

ბულთა უღმობელი დათრგუნვისა, მდი-  
 დართა ინტერესებს დაცვისა“<sup>1</sup>.

საქართველოში, როგორც მეფის რუ-  
 სეთის კოლონიაში, სასამართლოს სფე-  
 როში რეფორმის გატარება მთავრობამ  
 დაიწყო მხოლოდ 1868 წლიდან. ამავე  
 დროს, სასამართლო რეფორმა ჩვენში  
 გატარდა მნიშვნელოვანი შეზღუდვებით.  
 ასე მაგალითად, საქართველოში არ ყო-  
 ფილა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო,

სასამართლოს ორგანოები არ იყვნენ  
 დამოუკიდებელნი ადმინისტრაციისაგან,  
 არ იყო გამოყენებული მოსამართლეთა  
 არჩევითობის პრინციპი, გამომჩიებლის  
 მოვალეობას არსულელებდნენ მომრიგებე-  
 ლი მოსამართლეები და სხვ. ეს გარემო-  
 ებანი ფაქტიურად ზღუდავდნენ საქა-  
 რთველოში სასამართლო რეფორმის იმ  
 დადებით მხარეს, რომელიც გააჩნდა  
 1864 წლის რეფორმას რუსეთში.

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 26, გვ. 542.



# ვაზის ზიკილი

ნ ა რ კ ვ ე ვ ი

## 1.

მხარზე თოხგადადებული ღიღინით მოდიოდა. ბილიკზე ბალახი სველი იყო. დილის ცვარი ფეხის ყოველი შეხებისას ვერცხლის წვეთებდა იბნეოდა.

ღრუბლებს ამოფარებულ მზეს სხივები დაემალა. ზერებს ქვემოთ, ძველ წითელ ხილზე, ხმაურით გადარბოდა მატარებელი. ლობეებში მჯდარ ნარჩიტებსა და ბოლოქაქაქარებს წინა ღამის სიციხისაგან სული მოეტქვათ.

ვენახის კარი ნახევრად ღიად იყო დარჩენილი. დანახვისთანავე არ ესიამოვნა. წინა დღეს კოლმეურნეობის ზვრებიდან მომავალმა კარი თვითონ გაამაგრა. გულმა რატომღაც უგრძნო, რომ სასიკეთო საქმე არ მოელოდა.

ვენახში შესვლისთანავე ღიღინი პირზე გაეყინა. ერთ წამს მოეჩვენა, რომ მუხლები ეკეცებოდა. დაყრდნობის მიაგებ თოხი ხელიდან გაუვარდა.

ვენახი გაეკავათ. მაჯის სიმსხო ვაზები ძირში იყო გადაჭრილი. ლარივით დაჭიმულ მავთულეებზე გაკრული ვაზის კენწეროებს ერთ ღამეში სიყვითლე შეჰპარვოდათ.

აცახცახებულმა ბერიკაცმა ჩაიჩოქა. გადაჭრილი ღერო სველი იყო. ვაზი ტიროდა.

...გაკაფულ ვენახში გახევებულოვით იდგა. ქუდიდან ჩამოშლილ თმას ქარი უწეწავდა. მოხუცს არ უნდოდა, მაგრამ ცრემლები თავისით მოყოწვდნენ. ვაზთან ერთად ისიც ტიროდა.

\* \* \*

ნახტურიშვილების ვენახის გაკაფვის ამბავი ზარივით გაისმა სოფელში. ამ მძიმე და უეცარმა დანაშაულმა ყველა შეაქოთქოთა.

დილის ათი საათისათვის სოფელში რაიონის პროკურატურას გამოძიებელი სიმონ ღუღუშაური და მილიციის ტანმალალი ლეიტენანტი ამოვიდნენ. სოფლის საბჭოს თავმჯდომარესა და რამდენიმე კოლმეურნესთან ერთად ყველამ ნახტურიშვილების ვენახისაკენ გასწია.

მართლაცდა გულს მოუკლავდა ადამიანს ამ გაკაფული ვაზის დანახვა. ვენახი ეტყობოდა ჩინებულად იყო მოვლილი. ყურძენში აქა-იქ თვალი უკვე შეპარულიყო. ახლა კი ვენახს სიკვდილი მოსდგომოდა.

— შეილის ჯარიდან ჩამოსვლას ველოდი, წლებიანდელი ღვინით ვუპირებდი ქორწილის გადახდას, — მწარედ ჩაილაპარაკა თედო ნახტურიშვილმა და ძირს დაგდებულ გაჭყლეტილ მტევანს დასწვდა, — ამის გამკეთებელი ადამიანი კი არა ნადირი ყოფილა, ხადირი...

— აი, რა კარგად ჩანს ფეხის კვალი, — მიუბრუნდა უცებ გამოძიებელი მილიციის ლეიტენანტს. გარშემო ღრობით ჯოხები ჩაუსვით, რომ ფეხით არ შეეხნენ. თაბაშირი მანქანაშია, კვალი უნდა ამოვიღოთ.

— ჰაპიროსს თუ ეწვეით ძია თედო, — მიუბრუნდა გამოძიებელი ნახტურიშვილს.

მოხუცმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია, შემდეგ საბჭოს თავმჯდომარეს გადახედა და წყნარად წარმოსთქვა:

— ომიდან დაბრუნებისთანავე პირში აღარ ჩამიდგია. ქერჩში ორ ადგილას დამჭრეს. ტყვიამ ერთი ფილტვი დამიზიანა. ამის შემდეგ თამბაქოს ექიმების რჩევით აღარ ვეკარები.

— სინტერესოა, ჩაილაპარაკა გამოძიებელმა, როცა ვაზებში გადავადებული ასანთის ახლად ნახმარი ღერი შეამჩნია.

— თქვენი ბიჭი რამდენი ხანია არ ყოფილა სახლში?

— ბიჭი ჯარშია და წლუულს შემოდგომაზე ველოდებით. დასახვედრად ვემზადებოდი ბერიკაცი...


ფეხის კვალი ამოიღეს. მილიციის ახალგაზრდა ლეიტენანტმა ნაპოვნი ასანთის ღერი ფრთხილად შეინახა. საქმისათვის რამდენიმე ვაზის გადაჭრილი ძირებიც წამოიღეს.

## 2.

გავიდა რამდენიმე დღე. ნახტურიშვილების ვენახის გაკაფვის ამბავი სოფელში არ ცხრებოდა. ყველას აინტერესებდა რით დამთავრდებოდა ეს ამბავი.

— საქმე ოპერატიულობასა და დიდ ყურადღებას მოითხოვს, — უთხრა რაიონის პროკურორმა სიმონ ღუღუშაურს, როცა გამოძიების მასალები გადათვალიერა. — ნახტურიშვილების ოჯახის უსიამოვნების ამბავი შიშველებთან სოფელში ბევრმა იცის. როგორც გამოირკვა აქა-იქ უკვე ლაპარაკობენ მათ შესაძლო მონაწილე...





ლებზე ამ დანაშაულის ჩადენაში. ამიტომ გულდასმით შეამოწმეთ ყოველი ფაქტი. თუ ბოროტმოქმედი სხვაა, მან შეიძლება ეს მდგომარეობა გამოიყენოს და შეეცადოს საკუთარი კვალის დაფარვას.

სიმონმა პაპიროსს მოუყიდა.

— ჩვენ უკვე გვაქვს საქმისათვის ზოგიერთი საინტერესო მასალა ამხანაგო გიორგი, — წარმოსთქვა მან. — ვფიქრობ რომ ამ საქმეში ვინმე თანასოფელი იქნება ჩარეული. რაც შეეხება შიოშვილებს, მათ შესახებ ცნობები უნდა დავაზუსტოთ. არაა გამორიცხული, რომ ამ საქმეში ოჯახის თავკაცი სოლომონ შიოშვილიც იყოს ჩართული.

სიმონი გაჩუმდა. ფანჯარასთან მდგარი პროკურორიც დუმდა.

— ცარიელ ვარაუდებზე დაყრდნობა გამოძიებისათვის უსარგებლოა, — წარმოსთქვა პროკურორმა, — ყოველი კონკრეტული ფაქტი დიდი სიზუსტით უნდა შემოწმდეს. დაიხმარეთ მილიციის ორგანოს მუშაკებიც. დამნაშავე რაც შეიძლება მალე უნდა მოიძებნოს.

\* \* \*

ძია თედო თხუთმეტ წელზე მეტი იყო, რაც კოლმეურნეობაში ბრიადირად მუშაობდა. სიმართლის პირში მთქმელი კაცი იყო ნახტური-შვილი. შვილიც კარგი ვაჟკაცი ეზრდებოდა. ზურაბ ნახტურიშვილს სოფელში ყველა იცნობდა როგორც პატიოსან, სპორტის დიდ მოტრფიალედ ჭაბუკს, რომელსაც ჭიდაობაში ტოლს ვერავინ უღებდა. სოფელშივე ჰყავდა ზურაბს სათაყვანებელი მარინე, რომელიც მის ჯარიდან დაბრუნებას მოუთმენლად ელოდა.

ნახტურიშვილებისა და შიოშვილების ოჯახების ძველი მტრობის ამბავს სოფელში მოხუცები ჰყვებოდნენ. ეს მტრობა, რომელიც მათ წინაპრებს მიწის გაყოფაზე მოსვლოდათ, უჩუმრად დღემდე გრძელდებოდა. ერთმა პატარა შგმთხვევამ კიდევ უფრო ნათელი გახადა ყველაფერი.

ერთ შაბათ საღამოს ბებერი კაკლის ძირში გამართულ საჭიდაო მოედანზე ზურაბ ნახტურიშვილი და გიგა შიოშვილი ერთმანეთის პირისპირ დადგნენ. მიუხედავად მოხუცების ბუნდუნისა ისინი სკოლის მტრბიდან მეგობრობდნენ. ასე იყო დღემდე. ახლა კი...

არასოდეს არ უგრძენია ზურაბ ნახტურიშვილს ამდენი ძალა მარჯვენაში. ბიჭების ყიჟინს მარინეს ხმაც უერთდებოდა. გამარჯვების წყურვილი უსაზღვრო იყო და ზურაბამაც გაიმარჯვა.

და როცა გახარებულმა წაქცეულ გიგას ხელი გაუწოდა იგრძნო, რომ მის წინ უკვე მეგობარი აღარ იდგა. თვალეზამღვრეულ გიგას კრინ-

ტი არ დაუძრავს. ზურაბის გამოწვილ ხელს ზიზლით ზურგი შეაქცია და მოღვნიდან გავიდა.

მას შემდეგ ბიჭები ერთმანეთს აღარც ესალმებოდნენ. ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა მეგობრის ქორწილში გიგამ ზურაბზე გასართყემლად გაიწია, მიხვდნენ, რომ მათ შორის ხილი უკვე ჩამტყდარიყო.

### 3.

საქმე თანდათან რთულდებოდა. გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ შიოშვილები ამ საქმეში არ ერივნენ. შიოშვილის მეუღლე მაკარინე იმ დამეს ავად გამხდარიყო და სოლომონი რაიონში გაქცეულიყო ექიმის გადმოსაყვანად — მთელი დამე ექიმთან ერთად ცოლის სასთუმალზე გაათენაო, — ამბობდნენ დამსწრეები.

გამორიკვა, რომ იმ დამეს არც გიგა შიოშვილი ყოფილიყო სახლში. იგი უმაღლეს სასწავლებელში გამოცდების ჩასაბარებლად ემზადებოდა და თბილისში იყო.

მაგრამ სოფელში ხმები შიოშვილების მონაწილეობის შესახებ ნახტურიშვილების ეენახის გაკაფვის საქმეში არ ცხრებოდა. ეტყობოდა ჭორს ვიღაცა საგულდაგულოდ ავრცელებდა. გამომძიებელი ამაში განსაკუთრებით დააწმუნდა მას შემდეგ, როცა შიოშვილების ოჯახს კუთხოვანი ასოებით დაწერილი ბარათით „შორეულმა ნათესავებმა“ ნახტურიანთ ოჯახისათვის სამაგიეროს გადახდა მოუწონეს.

პროკურორის ვარაუდი გამართლდა. დამნაშავემ ეტყობა კარგად იცოდა ამ ორი ოჯახის უთანხმოების ამბავი და მდგომარეობას მოხერხებულად იყენებდა.

სოფელში იმხანად მეორე დანაშაულიც მოხდა. ერთერთ კოლმეურნეს მარნიდან ღვინო ამოუღეს. ერთის შეხედვით დანაშაული მძიმე არ იყო, მაგრამ შემისხვევის ადგილის დათვისლიერებისას სიმონ ლუღეშაუარმა ერთ ფაქტს მიაქცია ყურადღება. დამნაშავეს ეტყობოდა ქვევრიდან ღვინო ძველი საგვარეულო ხელადით ამოღებოდა, რომელიც ნებით თუ უნებლიედ თან გაეყოლებინა.

ორივე დანაშაულის ჩადენაში ეჭვი ნუგზარ შალვაშვილზე მიიტანეს.

და როცა სიმონი შალვაშვილის პიროვნებას იკვლევდა, მიხვდა, რომ ამ ეჭვისათვის იყო საკმარისი საფუძველი.

### 4.

...პატიმრობიდან დაბრუნებულმა ნუგზარმა სოფლის პარიკმახერად დაიწყო მუშაობა. ერთის შეხედვით უწყინარ ცნობებს ეწეოდა შალვაშვილი. გაყრილი ცოლშვილი ისევ შეირიგა და

როგორც ხშირად იტყოდა ხოლმე „თავის ნა-  
ჭუჭუში ჩაიკეტა“. მაგრამ ეს ფარდა იყო. ძველი  
ხელობის გადაჩვევა ძნელი აღმოჩნდა. მისთან  
ხშირად იკრიბებოდნენ სოფლის ისეთი ახალგა-  
ზრდები, რომლებიც მაინცდამაინც კარგი სახე-  
ლით არ სარგებლობდნენ. ღვინის სისტემატურ  
სმასა და ღრეობასთან ერთად ამ კამპანიას არც  
ახარტული თამაშობები ავიწყდებოდა.

ნუგზარის უმცროსი ძმა შოთა შალვაშვილი  
კოლმეურნეობის ცხვარში იყო და სახლში წე-  
ლიწადში ვრთხელ ძლივს ჩამოდიოდა. სოფელ-  
ში მას დადებითად ახასიათებდნენ: — ეგ ბიჭი  
მაგ ოჯახის შვილს სრულებით არ ჰგავსო, —  
უთხრებს გამოძიებელს.

სიმონმა გადაწყვიტა შეემოწმებინა ყველა-  
ფერი.

როგორც გამოირკვა შოთა შალვაშვილი ნა-  
ხუტრიშვილების ვენახის გაკაფვისას სოფელში  
ყოფილიყო. იგი წინა დღეს კოლმეურნეობის იმ  
მანქანას გამოკოლოდა, რომელსაც რაიონში  
ჩასაბარებლად კოლექტივის ყველი წამოედო. ამ  
ავტომანქანის მძღოლის დაკითხვამ სიმონი ჩა-  
ფიქრა. შოთა შალვაშვილისა და მძღოლს უკან  
დაბრუნებისას რაიონის უნივერსიტეტში შეეველოთ  
და ოჯახისათვის სხვადასხვა ნივთებს შორის ორი  
პატარა ტარიანი ნაჯახიც ეყიდათ.

## 5.

დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. პროკურორ-  
თან თათბირის შემდეგ სიმონმა შალვაშვილების  
ოჯახის ჩხრეკის ორდერი შეავსო და იმავე დღეს  
სოფელში ჩამოვიდა.

გამომძიებლის გეგმა ერთის შეხედვით მარტი-  
ვი იყო. მას განზრახული ჰქონდა გასაჩხრეკად  
იმ დროს მოსულიყო, როცა ნუგზარ შალვაშვი-  
ლი სახლში არ იქნებოდა. ამისთან ჩხრეკისას  
მოჩვენებითი ყურადღება უნდა გადატანილი  
ყოფილიყო მოპარული ღვინისა და დოქის მო-  
ძებნაზე. შოთა შალვაშვილის მიერ ნაყიდი ნაჯა-  
ხის შესახებ პირველხანად არაფერი არ უნდა  
ყოფილიყო ნათქვამი, რათა ნუგზარს ეჭვი არ  
აეღო და დასმულ კითხვებს წინასწარ მომზადე-  
ბული არ შეხვედროდა.

შალვაშვილების ოჯახში ნუგზარის მშობლები  
და მეუღლე იყვნენ. შოთა ამ ერთი კვირის წინ  
ისევ ცხვარში წასულიყო. ნუგზარი კი საპარი-  
კმხეროში მუშაობდა.

როცა ეზოში გამომძიებელი, მილიციელი და  
რამოდენიმე მეზობელი კოლმეურნე შეემოვიდ-  
ნენ მასპინძლებს არ ესაიამოვნათ.

სიმონი შალვაშვილებს მიესალმა.

— სახლის გასაჩხრეკად გეახელით, — მიმარ-  
თა სიმონმა ოჯახის უფროსს და ეზო მოათვა-

ლიერა. ნუგზარს ღვინის მოპარვას აბრალებენ  
და უნდა შეემოწმოთ. იქნებ გვითხრათ სად  
არის ახლა იგი?

— ჩემი შვილი მუშაობს, — ჩაბურტყუნა  
თავისთვის მოხუცმა შალვაშვილმა და გამოძ-  
ძიებელს უქმაყოფილო სახე მოარიადა.

ჩხრეკის ჩატარებისას საქმისათვის საინტერე-  
სო ვერაფერი ნახეს. ღვინო ეტყობოდა შალვა-  
შვილებსაც ბევრი ჰქონდათ. მარანში სიმონმა  
თავზე მიწით დატკეპნილი ოთხი მოზრდილი  
ქვევრი დაითვალა.

— ღვინოს ქვევრიდან რითი იდებთ ხოლმე  
ბერკაცო! — მიუბრუნდა სიმონი.

— რითი და ამ პატარა ხელადით, — მოხუცის  
მაგიერ მიუგო დედაკაცმა, — ხანდახან ჯამსაც  
გზმარობთ ხოლმე.

სიმონმა დოქი შეათვალერა. ეს იმ დაკარგულ  
დოქს არ ჰგავდა, სხვა ფერის იყო და უფრო ვი-  
წროყელიანი.

— წყალზეც ამას ხმარობთ? — შეეკითხა სი-  
მონი უცებ ნუგზარის მეუღლეს, ახალგაზრდა  
ლამაზ ქალს, რომელსაც ლოყის თავებზე ადელ-  
ვებისაგნ სიწითლე მოსდებოდა.

— წყლისათვის სხვა ჭურჭელი გვაქვს. ეგ პა-  
ტარა დოქი ჩემი გოგონას სახელზეა ნაყიდი და  
ის ხმარობს ხოლმე.

— ახლა სადაა ბავშვი?

— სკოლაში.

სიმონმა მარნის კუთხეში ბოძზე მიყუდებული  
ნაჯახი შენიშნა. ფრთხილად აიღო, დახედა და  
ისევ თავის ადგილას მიაყუდა.

გამარჯობათ უფროსო! — მოესმა უცებ სი-  
მონს მამაკაცის ბოხი ხმა. გამომძიებელი მოტ-  
რიალდა. ეს ნუგზარი იყო. მას ეტყობა გაეგო  
ბინის გაჩხრეკა და სახლისკენ გამოქცეულიყო.

— აი, თქვენი სახლის ჩხრეკის ორდერი, —  
მიუბრუნდა სიმონი. — ღვინის მოპარვას გაბრა-  
ლებენ და ამიტომ გეწვიეთ. ვიფიქრეთ იქნებ  
სულ ალაღმართალი კაცია და ჩხრეკის ამბით  
ჯერ პირადად ნუ შევაკრთობთ მეტიკი.

ნუგზარმა ცალყბად გაიცინა.

— ღვინის მოპარვა რა ჩემი საქმეა უფროსო,  
მე ახლა სამსახური მაქვს და პატიოსანი კაცი  
გავხდი. თქვენ რაღაც გეშლებათ...

— ამას გამოვარკვევთ! — წყნარად წარმო-  
სთქვა სიმონმა და ნუგზარის შემოხედა. თქვენი  
ძმა მგონი მეცხვარეა არა?

— დიახ!

— როდის იყო უკანასკნელად სახლში?

— ამ ერთი კვირის წინ წავიდა. კოლმეურნე-  
ობის საქმეზე იყო ჩამოსული.

— სახლში რაიმე ნაყიდი ნივთი ხომ არ მო-  
უტანია.

— დიახ, ქალებს ჩამოუტანა რაღაცეები.

სიმონმა ოთახში გაიარ-გამოიარა, შემდეგ ნუგზარის წინ გაჩერდა და სწრაფად ჰკითხა:

— ის მოკლეთარიანი ნაჯახიც ქალების საჩუქარი იყო?

უცეარმა კითხვამ ნუგზარს ფერი შეუცვალა, მაგრამ მისი აღეგლება მალე დაცხრა.

— არავითარი მოკლეთარიანი ნაჯახი, ერთი ცულის ვარდა სახლში არა გვაქვს, — ცივად წარმოსთქვა მან და გამოძიებელს სახე აარიდა.

— ძია ნიკო, მოუბრუნდა უცებ სიმონი გვერდზე მდგარ მოხუც კოლმეურნეს, ერთ საქმეზე უნდა შეგაწუხოთ. ჩადით სკოლაში და კლასის დამრიგებელს თხოვეთ შალვაშვილთან ერთად ამოვიდეს. ჩემს მაგიერ ბოდბის მოხდა არ დაგვიწყდეთ. უთხარით, რომ ახლავე ველოდებით.

ელენე შალვაშვილი თხუთმეტი წლის ტანდალი გოგონა იყო, დედასავით თვალღიშვარა და ეშხიანი. უცნობების დანახვაზე გოგონამ უნებურად ყელსახვევი შეისწორა და მასწავლებელს გადახედა.

— გვაპატიეთ ქალბატონო ნინო, რომ შეგაწუხებთ, — მიუბრუნდა სიმონი მასწავლებელს, საქმისათვის მიზანშეწონილია, რომ ბავშვი აქ თქვენის თანდასწრებით დაიკითხოს. ამიტომ დაგობარეთ...

როცა გოგონას ბიძამისის მიერ ამ ორი კვირის წინ ნაყიდ ნივთებზე შეეკითხნენ, მან პირველ რიგში რატომღაც ის მოკლეთარიანი ნაჯახი გაიხსენა. წინააღმდეგობას აზრი აღარ ქონდა და შალვაშვილებმა გადამაღული ნაჯახი მოიტანეს.

ბავშვის ჩვენებით სახტად დარჩენილი ნუგზარი გამოძიებელს ამდგრადი უყურებდა.

— რა შუაშია ეს ნაჯახი, — ვაბოროტებით წარმოთქვა მან, — ამით მე მგონი ქვევრებს არ ტეხავენ.

აქამდე სიმონი ღვინის მოპარვაზე ყურადღების გადატანით ცდილობდა არაფერი ეთქვა ნახუცრიშვილების ვენახის გაკაფვაზე. იცოდა გამოძიებელმა ვისთანაც ქონდა საქმე და არ უნდოდა უმაღლვე გაეგებინა ჩხრეკის ნამდვილი მიზეზი. ახლა კი დრო იყო შეტევაზე გადასულიყო.

— აი რა, შალვაშვილო, — წარმოსთქვა გამოძიებელმა, — ჩვენ მართალია ღვინის ქურდს ვეძებთ, მაგრამ თქვენთან სხვა დანაშაულის კვალსაც გვინდა მივაკვილოთ.

— რა სხვა დანაშაული? — ვაიკვირვა ნუგზარმა.

— თქვენ პირველ რიგში ბრაღი გვღებთ ნახუცრიშვილების ვენახის გაკაფვაში. დღეიდანვე პატიმრობაში უნდა ავიყვანოთ. თქვენ ასეთ საქმეებში ნაწრთობი კაცი ხართ და მე მგონი კარგად იცით წინააღმდეგობის უსაფუძვლობა. ამიტომ

ნაჯახს მე წამოვიღებ. თქვენ კი მილიციელს წამოყვებით.

## 6.

გამომძიებლის ეჭვები გამართლდა. შემოწმებით გამოირკვა, რომ მოკლეთარიანი ნაჯახი ამ ორი კვირის წინ მართლაც ამირან შალვაშვილს ეყიდა. დაკითხვისას ამირანი ჩვენებას ურევდა. წინასწარ პატიმრობაში უმცროსი შალვაშვილიც აიყვანეს.

\* \* \*

სიმონმა შალვაშვილების სახლში აღმოჩენილი ნაჯახი და ვაზის რამდენიმე გადაჭრილი ღერო პროკურატურამ თბილისში კრიმინალისტიკურ ლაბორატორიაში საქსპორტოდ გამოიღვა.

რამდენიმე დღის შემდეგ პასუხი მიიღეს. კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით გაკაფული ვაზი სავარაუდო იყო, რომ ამ ნაჯახით იყო გაჩხილი. ექსპერტიზის დასკვნას საილუსტრაციოდ სპეციალურად თანდართული ვაზის ჭრილების გადიდებული ფოტოებიც ახლდა.

\* \* \*

გამომძიებელმა რამდენჯერმე დაჰკითხა ნუგზარ შალვაშვილი. დანაშაულის ჩადენას იგი კატეგორიულად უარყოფდა. ასევე უარყოფდა ნახუცრიშვილების ვენახის გაკაფვაში მონაწილეობას უმცროსი შალვაშვილიც. არც შალვაშვილების ოჯახის წევრების დაკითხვამ უშველა საქმეს. მათი განცხადებით ორივე ძმები იმ დამეს სახლიდან არსად გასულიყვნენ.

შეგროვილი მტკიცებულებანი ჯერ კიდევ საკმარისი არ იყო ბრალდებულთა სამართალში მისაცემად. ვერ მოხერხდა ვენახში აღმოჩენილი ფეხის კვალის შესატყვისი ფეხსაცმლის მოძებნაც, რაც კიდევ უფრო ართულებდა საქმეს.

## 7.

კაბინეტში სიწწარე იყო. მავიდაზე დახრილი გამოძიებელი რაღაცას წერდა.

კარი ფრთხილად გაიღო.

— შეიძლება?

გამომძიებელმა თავი ასწია. კარებში წელზე შალვაკრული შუახნის ქალი იდგა.

— მობრძანდით, — წამოდგა გამოძიებელი და შემოსულს სკამი შესთავაზა.

ქალი უხმაუროდ დაჯდა, შემდეგ ოთახს თვალი სწრაფად მოავლო და კითხვისათვის მოემზადა.

— რით შემიძლია გემსახუროთ? — მიმართა სიმონმა.

— მე ნახუცრიშვილების ვენახის შესახებ მინ-



და გესაუბროთ. გულმა ვეღარ გამიძლო და გეახელით. ვაგივე ამ საქმეში შიომწვილების ბიჭუნც ეკვიანობენო და გადავწყვიტე მოვსულიყავი. აქამდე ხმა არ ამოილია, მაგრამ ამ საქმეში კი მე მგონი სხვაა ჩარეული. ის ბიჭი ალაღმართა-ლია.

— ჩვენ ეს ვიცით, — მიუგო სიმონმა და წამოდგა, თქვენ იმ სხვაზე გაქვთ რაიმე ფაქტი?

ქალმა ნერწყვი გადაყლაბა.

— მიჭირს თქმა, მაგრამ ამ საქმეში მგონი შალვაშვილები უნდა იყვნენ ჩარეულნი.

— საიდან იცით? — იკითხა უცებ გამომძიებელმა და ქალს ყურადღებით შეხედა.

— ჩვენი სახლი ნახტურიშვილების ვენახის გზაზეა, — აჩქარებით დაიწყო ქალმა. — იმ დამეს, როცა ვენახი გაკაფეს მე ცუდად ვიყავი და დილაზე ვგხიზლობდი... შუაღამე გადასული იყო, როცა ძაღლის ყეფაზე ფანჯრიდან ვაიხედდე. გზაზე ძმები შალვაშვილები იდგნენ. უმცროსი რაღაცას ეხვეწებოდა, უფროსი ეტყობა მთვრალი იყო. სიტყვები ვერ გავარჩიე. ცნობით კი ვიცანი. შემდეგ კი ორივე ვენახებისკენ წავიდნენ. დილით კი...

— ხელში ხომ არაფერი შევიჩნევიათ? — შეაწყვეტინა უცებ გამომძიებელმა.

— არაფერი დამინახავს.

— მაღობელი ვარ დედი, — წამოდგა ფეხზე სიმონი, — მოხუცებისაგან გამიგონია ვენახის გაკაფვა შვილის სიკედილივით მწარეაო. ეს მძიმე დანაშაულია და თქვენი დახმარება ასეთ საქმეში მოვალეობაზე მტია. ერთს კი გთხოვთ. სოფელში ამის შესახებ ჯერჯერობით ნურაფერს იტყვიოთ. საქმისათვის ასე სჯობია.

ქალმა თავი უსიტყვოდ დაუქნია.

## 8.

შალვაშვილების წინააღმდეგ მიმართული დამამტკიცებელი საბუთები თანდათან სერიოზული ხდებოდა. გამომძიებელი გრძნობდა, რომ სწორ გზაზე იდგა და სიმონიც დამეგებს ათენებდა.

მაღე დანაშაულის მიზეზსაც მიაგნეს. როგორც თედო ნახტურიშვილისა და რამდენიმე მოწმის ჩვენებით გამოირკვა ნუგზარ შალვაშვილი თავის ძველ დაპატიმრებას თედოს აბრალებდა. კოლმეთურნობის მინდვრიდან ხორბლის მობარვისას თედომ დამაბეზლო, — ეთქვა რამდენჯერმე. წლებს ეტყობოდა შურისძიების გრძნობა მასზე ვერ ჩაეკლა. — არ შევარჩენ ციხის წლებს, გადავუხდი სამაგიეროსო, — წამოსცდებოდა სიმთვრალეში.

შეგროვილი მასალების საფუძველზე სიმონ ღუღუშაშვიტმა ბრალდებულის ხელახალი დაკითხვა გადასწყვიტა.

## 9.

კაბინეტში ნუგზარ შალვაშვილი შემოიყვანეს. ბრალდებულმა ნაცნობ ოთახს თვალი გადაავლო და მაგიდის წინ ჩამოჯდა.

სიმონმა თავი ასწია და ნუგზარს უსიტყვოდ დააცქერდა.

— თქვენ თავსაც იწვავებთ და მეც ტყუილად მაწვალებთ ამხანაგო უფროსო, — ნაძალადევი დიმილით დაიწყო ნუგზარმა. მე ერთი პატიოსანი კაცი ვარ, ოჯახი ძლივს მოვაწყვე, თქვენ კი გინდათ ისეც ციხეში დამასვენოთ.

— პატიოსნები, შალვაშვილო, ციხეში არ ხვდებიან, — წარმოსთქვა სიმონმა. — არა პატიოსნებზე კი რა მოგახსენოთ, ისინი ჯერჯერობით გარეთაც დადიან. ჩვენ ვებრძვით მათ და ვცდილობთ ისინი სწორ გზაზე დაეაყენოთ.

— ძნელი საქმეა გამომძიებელი, ძნელი, — თავი გააქნია ნუგზარ შალვაშვილმა.

გამომძიებელი ბრალდებულს ყურადღებით უყურებდა. ბევრი დამნაშავე და ვზააცდენილი შეხვედროდა მას თავისი საგამომძიებლო მუშაობის მანძილზე, მაგრამ ეს უკანასკნელი ყველაზე მოხერხებული და ეშმაკი სჩანდა.

— ვენახის გაკაფვა გლეხკაცისათვის მარჯვენის მოჭრას უდრის, — წარმოსთქვა სიმონმა და პაპიროსს მოუკიდა, — წარმოდგენაც კი ძნელია იმ ტკივილისა, რაც თქვენ ნახტურიშვილების ოჯახს მიაყენეთ. ისტორიას ალბათ სწავლობდით და გეხსომებათ, რომ უწინ საქართველოს მტრები იქცეოდნენ ასე, ახლა კი...

— ვაზი მე არ გამიკაფავს.

— დიას, დიას, თქვენ არც ღვინო მოგიპარავთ, — გაიმართა სკამზე სიმონი. თქვენის აზრით აქ რაღაც გაუგებრობაა. მაგრამ ფაქტები თქვენს საწინააღმდეგოდ ლაპარაკობენ. ამ ფაქტებს კი ჩვენ არ შეიძლება სერიოზული ყურადღება არ მივაქციოთ.

უცებ კარი გაიღო და კაბინეტში ქერა მილიციელმა ზურაბის ძმა, ამირან შალვაშვილი შემოიყვანა. ძმებმა ერთმანეთს შეხედეს და გაოცდნენ. სანამ ისინი დილაპარაკებდნენ ან ერთმანეთს რაიმეს ანიშნებდნენ მილიციელმა ბოდიში მოიხსნა და ამირან შალვაშვილი სასწრაფოდ ოთახიდან გაიყვანა:

ეს გამომძიებლის ხერხი იყო. ძმებმა არ იცოდნენ, რომ ორივე დაკავებული იყვნენ. ასეთ უეცარ შეხვედრას კი შეეძლო ისინი აელაპარაკებინა. და ზურაბიც სკამიდან წამოდგა.

— თქვენ მგონი რაღაცის თქმა გასურთ, — მიუბრუნდა შალვაშვილს გამომძიებელი, — დაბრძანდით და ისე ვისაუბროთ.

— დიდი ხანია რაც ჩემი ძმა დააკავეთ? — ურუდ იკითხა ნუგზარმა.

— წარმოიდგინეთ რომ არა. მაგრამ მისი და-

კაგების შემდეგ საქმისათვის ბევრ საინტერესო მასალას მივაკვლიეთ. დაწყებული თქვენთვის კარგად ნაცნობი ამ პატარა ნაჯახიდან, ვათავებულნი მოწმე გრძელიშვილის ჩვენებამდე, რომელმაც იმ ღამეს ორივე ძმა ნახუცრიშვილების ვენახისაკენ მომავალი დაგინახათ.

ნუგზარი ღუმდა. სიჩუმეს მხოლოდ გვერდით ოთახიდან შემომავალი საბეჭდი მანქანის კაკუნი არღვევდა.

ჩატარებულმა კრიმინალისტიკურმა ექსპერტმა ჩვენი ვარაუდი დადასტურა, — განავრძობდა სიმონი. გავიგეთ ისიც, რომ თქვენს პირველ დაპტიმრებას თედო ნახუცრიშვილს აბრალდბდით. ყველაფერი ეს ისეთი ფაქტებია, რასაც უსათუოდ ანგარიში უნდა გავუწიოთ.

— შეიძლება ერთი პაპიროსი? — შეაწყვეტინა უცებ ნუგზარმა.

სიმონმა პაპიროსის კოლოფი გაუწოდა, შემდეგ მაგიდის უჯრიდან ქალღმრთელს გახვეული ასანთის ღერი ამოიღო და ნუგზარს მიუბრუნდა.

— აი ეს ასანთის ღერიც ნახუცრიშვილების ვენახში ვნახეთ. ძნელია ამ ერთი ასანთის ღერზე დაყრდნობით რაიმე დიდი დასკვნის გაკეთება, მაგრამ ჩემის აზრით ისიც თქვენს წინაღმდეგ ლაპარაკობს. თქვენი ძმაც ეწვევა თამბაქოს?

— ძმას თავი გაანებეთ! — წამოიყვირა უცებ ნუგზარმა, ძმა არაფერ შუაშია. ეს პატიოსანი ბიჭია და მაგ საქმეში ნუ გარევეთ. ვაზი მე გავკაფე და მე ვაგებ პასუხს.

გამომძიებელი სახტად დარჩა.

სმაურზე ქერა მილიციელმა ოთახში თავი შემოპყო, მაგრამ სიმონს რომ შეხედა კარი ისევ უხმაურად მიიხურა.

— კი მაგრამ თქვენ ხომ ეროდ განახსენებდით ვენახებისკენ მიმავალნი? — გაიმართა სკამზე გამომძიებელი.

— ძმა მე მაწყნარებდა, მაგრამ არ დავუკერე. შურისძიება მინდოდა და დანაშაული ჩავიდინე. ის კი უდანაშაულოა.

— ღვინის შესახებ რაღას იტყვი?

— ღვინოც ჩვენ ამოვიღეთ. ქეიფისას უცებ

შემოგვაკლდა. შორს აღარ წავსულვართ, მარა...  
ნიც იქვე იყო.

— დოქი?

— ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად დოქი გადავაგდეთ.

— ძმაც თქვენთან იყო?

— არა, ძმა უკვე ცხვარში იყო. მან ამ ღვინის შესახებ არაფერი იცის.

სიმონ ღუღუშაური ბრალდებულის ჩვენების წერას განავრძობდა.

იმ ფენსაცემლებზე რაღას იტყვი, რომელსაც თქვენთან ვერ მივაკვლიეთ?

ნუგზარი ერთ წამს გაჩუმდა. შემდეგ თავი წელა ასწია და გამოძიებელს ბოროტად შემოხედა.

— მე ისეთი ღლაპი არა ვარ, როგორც თქვენ გგონიათ, არ უნდა ვამბობდე, მაგრამ წინაღმდეგობას აზრი აღარა აქვს. მე ვიცოდი რომ თქვენ ვენახში ფეხის კვალი აიღეთ. ამიტომ ის ფეხსაცმელები დავწვი.

გამომძიებელმა წერა დაამთავრა.

— ახლა ჩემთვის გასაგებია თუ ვინ ავრცელებდა სოფელში ხმებს შიოშვილების მონაწილეობაზე ამ დანაშაულის ჩადენაში. ის მისალოცი წერილიც თქვენი ნახელავია. მაგრამ შეგეშალათ. მე მგონი დარწმუნდით, რომ არ არსებობს დანაშაული რომლის გახსნაც ადრე თუ გვიან არ შეიძლებოდა.

ნუგზარმა მწარედ ჩაიციხა.

— თქვენ უბრალოდ ვაგიმართლდათ. მე თამაში წავაგე, მაგრამ საწადელს მივაღწიე. თქვენი კი...

— თავს ნუ იკატუნებთ, — შეაწყვეტინა გამომძიებელმა, — ეს გულხანდილობა სასამართლოსაც უნდა მოახსენოთ. კოლმეტურნობის გამგეობამ მთელი თქვენი სოფლის სახელით გვთხოვა, რომ საჯარო პროცესი მოგიწყოთ. ამას ალბათ სასამართლო გაითვალისწინებს.

...ნუგზარ შალვაშვილი ხმაგაკმენდილი იდგასახევაფითრებულს მხოლოდ საფეთქელთან უთამაშებდა ძარღვი.

ბრძოლა საბოლოოდ მოგებული იყო.



## პეტრე უმიკაშვილი — მსპერტი

1879 წელს თბილისში კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლო არჩევდა საკმაოდ გახმაურებულ საქმეს ტატო წულუკიძის, პეტრე იოსელიანის, ალექსი ყაზაროვისა და გიორგი გველესიანის ბრალდებათა გამო.

იმავე წლის 15 სექტემბერს გორის საპატიმროში პატიმარმა ტიმოფეევმა საპატიმროს ზედამხედველს წარუდგინა ქართულად დაწერილი წერილი, რაც მან თითქოსდა გ. გველესიანს ძილის დროს მოპარა.

ამ წერილით გველესიანი წერდა მის ნაცნობ გორგასანიძეს, რომელიც ცხოვრობდა მცხეთის ახლოს — სოფელ ნარეკავში, რომ მას დაერიგებინა მეღუქმე დანდუროვი, თითქმის მან საათი სხვისგან იყიდა. ამავე დროს თხოვდა, რომ ამ წერილს ნურავის აჩვენებდა, რადგან მას, ე. ი. წერილის ავტორს შეეძლო ოთხი სხვადასხვა კალიგრაფიით წერა. წინააღმდეგ შემთხვევაში პატიმარი გველესიანი იმუქრებოდა რომ ამ წერილის დაწერა თვითონ მას, გორგასანიძეს დაბრალდებოდა.

გველესიანი თავის მხრივ უარყოფდა, რომ წერილი მის მიერ იყო დაწერილი და მოითხოვდა კალიგრაფიული ექსპერტიზის წესით მის შემოწმებას.

სასამართლომ გადაწყვიტა მოეწვია კალიგრაფი ექსპერტები და დაედგინა საქმეში არსებული გველესიანის წერილისა და ახლად მომოგებული წერილის კალიგრაფიული იგივეობა.

სასამართლომ ასეთი ხასიათის ექსპერტიზის ჩასატარებლად მოიწვია თბილისის გიმნაზიის ქართული ენის მასწავლებელი პეტრე უმიკაშვილი. მასთან ერთად მოწვეულნი იქნენ აგრეთვე ტატოშვილი და გურგენიძე.

ექსპერტებმა ხელახლა აიღეს სამართალში მიცემული გველესიანის ხელწერის ნიმუშები, შეამოწმეს ორი წერილის იგივეობა და მივიდნენ შემდეგ დასკვნამდე: თუმცადა ყველა ამ წერილებში ანბანებს ერთმანეთთან დიდი მსგავსება აქვთ, მაგრამ ხელის საზოგადო ხასიათი ისეთია, რომ არ შეიძლება დარწმუნებით თქვას კაცმა, რომ ეს ორი წერილი ერთი და იგივე კაცისაგან იყოს დაწერილი.

სასამართლომ სამსჯავრო სხდომაზე ექსპერტად დაითხოვა პეტრე უმიკაშვილი.

ქვემოთ მოგვყავს პროკურორისა და ექსპერტების და კერძოდ, პეტრე უმიკაშვილის, როგორც ექსპერტის საპროცესო დიალოგი.

**პროკურორი** — რას ეძახით ხელის საზოგადო ხასიათს?

**ტატიშვილი** — ხელის საზოგადო ხასიათი არის ანბანების ერთმანეთთან გადაბმა და იმათი საზოგადო ხაზე.

**უმიკაშვილი** — საზოგადო ხასიათის გარდა ანბანებშიაც არის განსხვავება. მაგალითად, იმ სტრიქონებში, რომელიც ჩვენ დავაწერინეთ აქ გველესიანს, ასო **მ** არის ისეთნაირად დაწერილი, როგორც დაწერდა რუსი, რომელიც წერს რუსულ ციფრს **მ**, რასაკვირველია, თავის კუდით. ამ წერილებში კი ეს არ არის. ამას გარდა წერილებში სხვადასხვანაირად არის დაწერილი ქართული ასო **შ**. ერთში **შ**-ს კბილები აქვს. როგორც ნაბეჭდში, მეორეში კი ამ კბილების მაგიერ პირდაპირ ვადაბმული ხაზია.

**პროკურორი** — ვანა ერთ და იგივე კაცს არ შეუძლიან ასო **შ** ინპაროს წერილში სხვადასხვანაირად.

**უმიკაშვილი** — ქართული წერის ხასიათი ისეთია, რომ ძნელი წარმოსადგენია, რომ ერთმა კაცმა, რომელსაც მიუჩვენია ხელი ერთნაირად წერაზე სხვადასხვანაირად იწყოს ამ ასოების წერა.

**პროკურორი** — შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ ერთ კაცს, ამ ორი წერილის დამწერს, შესძლებოდა იმ მესამე წერილის დაწერაც, თუ ცუდ პირობებში დაწერა, ე. ი. ვთქვათ, თუ ჩქარობდა, მაგია არა ჰქონდა და სხვ.

**უმიკაშვილი** — არა, არ შეიძლება.


**პროკურორი** — გვითხარით გადაწყვეტით, არის თუ არა ეს ორი წერილი ერთი და იგივე კაცის ხელით დაწერილი?

**უმიკაშვილი** — არ არის. ბევრი ასოებიც სხვადასხვა არიან ამ წერილებში, ხელის საზოგადო ხასიათიც სხვადასხვა არის. მე ვფიქრობ, უფრო დასაჯერებელია, რომ ეს წერილები სხვადასხვა კაცისაგან იყოს დაწერილი.

აქ თავდება ეს დიალოგი.

ფრიად საინტერესოა, რომ მწერალი, საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი, ზეპირსიტყვიერების ცნობილი შემკრები პეტრე უმიკაშვილი კალიგრაფიული ექსპერტიზის დარგშიც მოღვაწეობდა. ეს კი ერთი მნიშვნელოვანი შტრახია მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიისა.

## უანგაკო აღაშიანი



მწერალ-აკადემიკოსს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს კონსტანტინე გამსახურდიას ვრთვან ნათქვამი აქვს: „ჩვენ უნდა ვისწავლოთ სიყვარული ჩვენს თანამედროვეთა მიმართ“. მართლაც, თანამედროვეთა სიყვარული ჩვენი ადამიანური ვალია. რა სჯობია კარგად იცნობდე შენს თანამედროვეთ, აფასებდე მათ იმგვარად, რის ღირსნიც ისინი არიან.

დასაფასებელნი კი ყველა დარგში არიან. ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის ღვაწლმოსილი იურისტი ვიქტორ ანტონის ძე იმედაშვილი. იგი ამჟამად 73 წლის ასაკშია, იურიდიულ მოღვაწეობას ეწევა 47 წელია.

იურიდიული მოღვაწეობა მოითხოვს ნიჭიერებას, პატიოსნებას, შემართებულობას, საქმიანადმი უზადო სიყვარულსა და თავდადებას. ვიქტორ იმედაშვილი მთელ თავის ხანგრძლივ მუშაობაში ყოველთვის ამ თვისებებით გამოირჩეოდა. ვიქტორ ანტონის ძე იმედაშვილი დაიბადა 1892 წლის 30 აპრილს ქუთაისის გუბერნიის სოფელ ზემო ქვიტირში, ღარიბი, უმიწაწყლო მშობელთა ოჯახში. მშობლებს თითქმის არავითარი შესაძლებლობა არ აღმოაჩნდათ შვილებისათვის განათლება მიეცათ. სამაგიეროდ ვიქტორის ბიძამ თომა იმედაშვილმა თავს იღო ძმისწულის განათლებისათვის ზრუნვა. ვიქტორსა და მის ძმას მიაღებინა ჯერ პირველადწყებითი განათლება, შემდეგ კი ქუთაისის გიმნაზიაშიც შეიყვანა.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ვიქტორ იმედაშვილი ბიძისავე დახმარებითა და ხელის შეწყობით შევიდა ოდესის უნივერსიტეტის იუ-

რიდიულ ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი წარმატებით დაამთავრა 1915 წელს. იმავე წელს ვიქტორმა სახელმწიფო გამოცდები მოსკოვის უნივერსიტეტში ჩააბარა და საქართველოში დაბრუნდა. აქ იგი მალე არმიაში გაიწვიეს და სამხედრო სამსახურს კავკასიის ოლქის საინტენდანტო სამმართველოში იხდიდა.

ამ პერიოდში ვ. იმედაშვილი დუაბლოვად რევოლუციურად განწყობილ პირებს და ჯარის ნაწილებში მოწინავე რევოლუციურ იდეებს ავრცელებდა.

1917 წელს, როდესაც დამხობილი იქნა მეფის თვითმპყრობელობა, ვ. იმედაშვილი ჯარისკაცებმა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს.

კომიტეტში მუშაობის დროს ვ. იმედაშვილმა სასტიკად გაილაშქრა შავრაზმელი ბებიაკინის წინააღმდეგ და მიაღწია მის ადგილზე ბოლშევიკი ინჟინრის ტიმოფეევის დანიშვნას.

შემდეგში ვიქტორ იმედაშვილი იუსტიციის ორგანოებში იწყებს მუშაობას. 1931 წლამდე იგი მუშაობს სახალხო გამომძიებლის თანამდებობაზე. ჭეშმარიტად ნაყოფიერი იყო ამ დარგში მისი მოღვაწეობა. უანგაკო და პეტროსანმა მუშაკმა იუსტიციის ორგანოებში სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ჯერ კიდევ 20-იან წლებში მის სახელთან არის დაკავშირებული სამაოდ გახმაურებული სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიება, რომელიც ეხებოდა თბილისის სახელმწიფო ოპერის ღირიკორ სტოლერმანის მიერ მისივე ცოლის მკვლელობას.

დანაშაულის ერთი ძირითადი მიზეზი იყო მეტად რომანტიკული ამბავი. სტოლერმანის ცოლმა, რომელიც ქსანტიპას როდი ჩამოუვარდებოდა, დახია ქართული მუსიკალური ჩუქურთმის გენიალური ხელოვნების ზაქარია ფილიაშვილის სახელგანთქმული ოპერის „ბეგსლომ და ეთერის“ პარტიტურის დედანი. სტოლერმანმა ეს ველარ მოითმინა და ცოლს რევოლვერი ესროლა.

ვ. იმედაშვილმა მეტად ფაქიზად და საქმის ღრმა ცოდნით გამოიძია ეს იშვიათი საქმე.

1931-32 წლებში ვ. იმედაშვილი მუშაობდა სამხედრო პროკურატურაში. 1932 წლიდან კი იგი მუდმივ სამუშაოდ საქართველოს

ხსრ ადვოკატთა კოლეგიაში შევიდა. პერიოდულად კი 1935—1964 წლებში მუშაობდა იურისკონსულტად სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებებში, ხუთი წელი იმუშავა თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომში.

გ. იმედაშვილი რვა წლის განმავლობაში საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის წევრად ითვლებოდა. იგი ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა საქართველოს რესპუბლიკის ადვოკატურის საქმიანობის სწორი ორგანიზაციისათვის, მოსახლეობისათვის იურიდიული მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. საგრძნობი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდა იურიდიული კადრების მომზადების საქმეშიც.

ვიქტორ იმედაშვილის უანგარო მოღვაწეობა სათანადოდაა დაფასებული. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავთან დაკავშირებით სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტისა და საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრე-

ზიდიუმის მიერ დაჯილდოებული იქნა საპატიო სიგელით.

1962 წლის 24 აპრილს ვიქტორ იმედაშვილს დაბადებიდან სამოცდაათი წლის შესრულებისა და ადვოკატთა კოლეგიის რიგებში ზანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის დადგენილებით გამოეცხადა ნაღობა და დაჯილდოებული იქნა ფასიანი საჩუქრით, მიეცა ოქროს საათი წარწერით.

ასეთია ღვაწლმოსილი ქართველი იურისტის ვიქტორ იმედაშვილის ცხოვრება აღსავე ნაყოფიერი შედეგებით, დამყარებული მაღალ ზნეობრივ საფუძვლებზე, გამსჭვალული საზოგადოებისადმი, ხალხისადმი სამსახურის უანგარო გრძნობით.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, ვიქტორ იმედაშვილი საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიაში დღესაც განაგრძობს ნაყოფიერ მუშაობას.



## მეორეაღმოსავლეთი საზღვარი ინიციატივის სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმის

ამას წინათ ჩატარდა ქუთაისის მშრომელთა დებუტატების საქალაქო საბჭოს მეათე მოწვევის მეორე სესია. სესია გახსნა მშრომელთა დებუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ უ. ცეკელიძემ.

სესიამ განიხილა ორი საკითხი: ქალაქში სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებათა შესახებ და კულტურულ-საგანმანათლებლო მუდმივი კომისიის ანგარიში.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ქალაქის პროკურორი ა. უდენტაძე.

ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია, — თქვა ა. უდენტაძე, — მოითხოვს, რომ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლას ეწეოდნენ არა მარტო აღმინისტრაციული ორგანოები, არამედ მთელი საზოგადოებრიობა, რომ ეს საქმე თითოეული მოქალაქის სისხლხორცულ საქმედ იქცეს. სწორედ ამას მოითხოვს სკკპ პროგრამა, რომელშიც ხაზგასმითაა აღნიშნული: „სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების პროცესში მოხდება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების თანდათანობით გადაქცევა საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოებად“.

ამ მიმართულებით ჩვენი ქალაქის პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანოებმა ბევრი ქმედითი და საქმიანი ღონისძიებანი გაატარეს, რის შედეგადაც საგრძნობლად იკლო საშიშ დანაშაულთა რაოდენობამ, შემცირდა ძარცვის, სახელმწიფო ქონების გატაცების, გაფლანგვისა და სხვა დანაშაულობათა შემთხვევები.

მიუხედავად ამისა, ქალაქში ჯერ კიდევ ვხვდებით ზოგიერთი სახის მძიმე დანაშაულს, რაც დაუშვებელია.

ეს გამოწვეულია იმიტომ, რომ ჯერ კიდევ სუსტია საზოგადოებრიობის როლი ამ საქმეში. რაც საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს არა აქვთ შეგნებული, თუ რა როლს შესრულება შეუძლიათ საწარმოთა კოლექტივებს სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში, ჩვენთან კი არც ისე იშვიათია შემთხვევები, როცა ამა თუ იმ საწარმოს ხელმძღვანელი ვერ იყენებს კოლექტივის ძალას კანონიერების დამრღვევთა მიმართ. ქუთაისის მე-

ბოსტნეობის სასელექციო სადგურიდან (უფროსი ამხ. ჩაგანავა) მივიღეთ მიმართვა, რომელშიც გვწერდნენ, რომ მინდვრის მცველი მუშა, ხუთი შვილის მამა დ. ჯერიანაშვილი სისტემატურად ლოთობს და შეურაცხყოფას აყენებს ცოლ-შვილს, აღმინისტრაციის მითითებებს არავითარ ყურადღებას არ აქცევს. ისინი დახმარებას გვთხოვდნენ. საკითხავია, ნუთუ კოლექტივს, მის ხელმძღვანელობას უნარი არ შესწევთ წესრიგისაკენ მოუწოდონ საკუთარ წევრს?

მიუხედავად სახელმწიფო ქონების გამტაცებელთა მკაცრად დასჯისა, რასაც გასულ წლებში ჰქონდა ადგილი, მაინც ვხვდებით სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-განაივების ცალკეულ შემთხვევებს. ეს იმიტომ ხდება, რომ ზოგიერთ საწარმო-დაწესებულებაში ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილების საქმეს. ხშირია შემთხვევები, როცა მატერიალურად პასუხსაგებ სამუშაოზე დასაწყობებულ ნაკლებად შემოწმებულ პირებს. გარდა ამისა, სუსტია სარევიზიო-საკონტროლო ჯგუფების მუშაობა, რევიზიები ტარდება უხარისხოდ.

სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორგანოები ვალდებული არიან სასტიკი ბრძოლა აწარმოონ ბოროტებულ დანაშავეთა მიმართ, ამასთან საზოგადოებრივად ნაკლებ საშიშ დანაშავეთა საქმეები გადასცენ კოლექტივებს მათ მიმართ აღმზრდელობითი ღონისძიების გატარების მიზნით. სწორედ ამაში გამოიხატება აღმზრდელობითი და დასჯითი ღონისძიებების უნარიანად შეხამება.

ზოგჯერ ორგანიზაციის ხელმძღვანელი თავის დაზღვევის მიზნით არასრულყოფილ მასალებს აგზავნის პროკურატურაში, რაც მასალათა შემოწმებისა და გამოძიების ვადების გაჭინაურებას იწვევს. მიმდინარე წლის მაისში ფინანსთა

სამინისტროს საკონტროლო სარევიზიო სამმართველოს ქ. ქუთაისის კონტროლიორ-რევიზორის მიერ წარმოდგენილი იქნა საგალანტერიო წარმოების რევიზიის აქტი, რომელსაც არ ახლდა სათანადო მასალები, მიმართვიდან არც კი ჩანდა ვის რაში ედავებოდნენ.

უკანასკნელ პერიოდში გაუმჯობესდა მშრომელთა კოლექტივებზე ისეთ დანაშავეთა შემდგომი აღზრდა-გამოწორებისათვის ვადაცემა,

რომლებმაც მცირე დანაშაული ჩაიდინეს და აღიარეს იგი, წინათ პასუხისგებაში არ ყოფილან და დადებითად ხასიათდებიან. სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორგანოები ვალდებული არიან პერიოდულად შეამოწმონ მათ მიერ კოლექტივებზე გადაცემულ პირობათა საქმიანობა სამუშაო ადგილებზე ან უბნებში. შემოწმებები გვიჩვენებს, რომ უმრავლეს შემთხვევებში აღსაზრდელად და გამოსასწორებლად გადაცემული პირები ბეჯითი, მონდომებული და ნაყოფიერი შრომით ამართლებენ ნდობას და მოწინავეთა რიგებში დგებიან.

ასე მაგალითად: ტყავფეხსაცმელების კომბინატის დამხმარე მასალების საწყობის მეკუჭნავეს — ნუცუბიძეს დაუდევრობის შედეგად გამოვლინდა 143 მანეთის მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისი და 1951 მანეთის მეტობა.

მხედველობაში იქნა მიღებული, რომ ნუცუბიძე წინათ პასუხისგებაში არ ყოფილა, წარსული საქმიანობით ხასიათდებოდა დადებითად, კომბინატს მატერიალური ზარალი არ მიუღია და რომ მან აღიარა დანაშაული, დაკმაყოფილებული იქნა ტყავფეხსაცმელების კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების შუამდგომლობა და ნუცუბიძე გადაეცა მათ შემდგომი აღზრდა-გამოსწორებისათვის.

წმირია შემთხვევები, როდესაც მშრომელთა კოლექტივებმა უსაფუძვლოდ შუამდგომლობენ ისეთ პირებს, რომლებიც ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და სიმძიმის მიხედვით არ იმსახურებენ შეღავათებს. ზოგიერთ შემთხვევაში კი დამნაშავე პირები არ ამართლებენ მშრომელთა კოლექტივის ნდობას და განმეორებით ჩადიან დანაშაულს. ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის ხარატმა ვ. კალატოზიშვილმა 1964 წლის 6 აპრილს ჩაიდინა ხულიგნობა. ქარხნის მშრომლებმა კოლექტივს შუამდგომლობის საფუძველზე იგი გადაეცა კოლექტივს აღზრდა-გამოსწორებისათვის. კალატოზიშვილმა ბოროტად გამოიყენა კოლექტივის ნდობა და 1965 წლის 28 მარტს მთვრალ მდგომარეობაში მოქ. ა. ყფიანს დანით მიაყენა სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანება.

კალატოზიშვილის მიმართ წარმოებით განახლდა 1964 წ. შუამდგომლობის საფუძველზე შეწყვეტილი საქმე და პასუხისგებაში მიეცა ახლად ჩადენილ დანაშაულთან ერთად.

ჩვენში დიდი ავტორიტეტითა და უფლებებით სარგებლობენ ამხანაგური სასამართლოები, რომელთა მიზანია ადგილზე გადაწყვეტონ მშრომელთათვის საინტერესო და საჭირობო-ტო საკითხები. ისინი თავიანთი აქტიური მოქმედებით ხელს უწყობენ სოციალისტური კანონი-

ერების განმტკიცებას, საბჭოთა აღმშენებლის კომუნისტური სულისკვებით აღზრდასა და მათ შორის კოლექტივიზმისა და ურთიერთპატივისცემის გრძობის განვითარებას. ისინი საზოგადოებრივი ზემოქმედებისა და დარწმუნების გზით აღწევენ მართლწესრიგის დაარღვევათა თავიდან აცილებას. პრაქტიკულად გაამართლა თავისი დანიშნულება საუბნო-სამეურნეო კომისიებთან შექმნილმა ამხანაგურმა სასამართლოებმა. კარგად მუშაობენ საწარმო-დაწესებულებებთან და №№ 1, 18, 30, 49 საუბნო-სამეურნეო კომისიებთან შექმნილი ამხანაგური სასამართლოები. ისინი მტკიცედ იცავენ დებულებასა და საქმეთა განხილვის ვადებს. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც საქმეებს იხილავენ დაგვიანებით, ისიც ზემდგომი ორგანოებიდან გადაგზავნილს, ანდა ისეთებსაც, რომლებიც მათ არ ექვემდებარებათ. ამხანაგური სასამართლოების ნაკლოვანებად უნდა ჩითვალოს ისიც, რომ ისინი განიხილავენ მხოლოდ იმ საქმეებს, რომელთაც აღმასკომი, პროკურატურა და სხვა ორგანოები გადასცემენ, თვითონ კი არ იჩენენ ინიციატივას.

მართალია, უკანასკნელ წლებში საგრძნობლად ამაღლდა საქმეთა მოკვლევისა და გამოძიების ხარისხი, პროკურატურა მონაწილეობს სასამართლო პროცესებში, მაგრამ პროკურატურის, მილიციისა და სასამართლოს ორგანოების მიერ ჯერ კიდევ ჭიანჭურდება საქმეთა გამოძიება — განხილვის ვადები, ჯეროვან ღონეზე არ დგას საზოგადოებრიობასთან კავშირურთიერთობა.

კარგ შედეგს იძლევა ჩვენს პრაქტიკაში დანერგილი პროკურატურის, მილიციის, სასამართლოსა და ოპერატიული მუშაკების გაერთიანებული თათბირების ჩატარება, რაც კვარტალში ერთხელ ეწყობა. ამით ჩვენ კონტაქტს ვაყარებთ და ვსახავთ ღონისძიებებს, რათა ერთიანი ძალით ვაწარმოოთ განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლა.

მთელმა საზოგადოებამ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუტყუდოს იმ პირებს, რომლებიც ცრუმოწმეთა როლში გამოდიან და ამით ხელს უშლიან ჭეშმარიტების დადგენას; შესაბამისმა ორგანოებმა მთელი სიმკაცრით უნდა დასაჯონ ისინი. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია არასრულწლოვანთა შორის მუშაობის საკითხი. გასულ წელს პასუხისგებაში სხვადასხვა დანაშაულისათვის მიცემულ იქნა დამდენიმე არასრულწლოვანი. გარდა ამისა, მილიციის ბავშვთა ოთახებში აღრიცხულია ბავშვთა უზედამხედველობის მთელი რიგი შემთხვევები.

ქალაქის პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავში-



რულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ბევრი კარგი ღონისძიება გაატარეს, რათა მინიმუმამდე შეემცირებინათ არასრულწლოვანთა დანაშაულობანი, ადევნათ ბავშვთა უზედამხედველობა. არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის წყარო მშობელთა უზედამხედველობა, მათი არასწორი ქცევის შედეგია.

ასე მაგალითად, რ. ცხადაძემ, დაბადებულმა 1948 წელს, თავი დაანება სწავლას და არც მუშაობდა. მისი მშობლები კომუნისტები არიან. რ. ძოწენიძემაც აღარ მოისურვა სწავლა და აირჩია ქუჩაში უქმად ხეტიალი, ზ. ქათამაძე კი ქუთაისის აბრეშუმკომბინატში მუშაობდა. სამივე 1965 წლის მარტში ჩაიღინეს ხულოვნობა, დანით დაჭრეს მოქალაქეები, რისთვისაც მიცემულ იქნენ პასუხისმგებლობა.

ბ. სამხარაძე 1949 წელს დაიბადა, მაგრამ მოასწრო ერთ წელიწადში 6 დანაშაულის ჩადენა, ხოლო გასული წლის ნოემბერში მალაზია გატეხა და 12 ათასი მანეთის ძვირფასი ნივთები გაიტაცა, რისთვისაც 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

მომხსენებელს მოჰყავს სათანადო ფაქტები და დასკვნები და აღნიშნავს, რომ კონკრეტულ დანაშაულებთა მიმართ გატარებულია შესაბამისი ღონისძიებანი. განსაკუთრებით უნდა ამაღლდეს მშრომელთა პასუხისმგებლობა თავიანთი შვილების აღზრდის საქმეში. გარდა ღმისა სპირობა

სკოლებში მკვერთად გაუმჯობესდეს სასკოლო-აღმზრდევლობითი მუშაობა.

სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის უნდა ჩაებას ყველა მოქალაქე. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მივალწიოთ სასურველ შედეგებს.

ამის შემდეგ სესიამ მოისმინა საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მ. ნინუას თანამოსხენება.

სესიამ მოისმინა აგრეთვე ქალაქის საბჭოს კულტ-საგანმანათლებლო მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის შ. პირველის მოხსენება.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ ა. იობიძემ, სახალხო რაზმეულების საქალაქო შტაბის უფროსის მოადგილემ ა. წურწუშიამ, მილიციის საქალაქო განყოფილების უფროსის მოადგილემ დ. გვეტაძემ, ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ჭაველიძემ, საქართველოს ალკ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა შ. ხვედელიძემ და სხვ.

განხილული საკითხების ირგვლივ სესიამ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

**მ. ვაჟაფლიშვილი**



ახალციხეში გაიმართა რაიონული პარტიული აქტივის კრება შემდეგი დღის წესრიგით: „სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცების საქმეში ადმინისტრაციული ორგანოების ამოცანების შესახებ“.

კრებას დაესწრნენ საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილების გამგის მოადგილე ვ. კვარაცხელია, რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე გ. ბიწაძე, მილიციის სამმართველოს უფროსი ვ. შადური.

მოხსენებით გამოვიდა ახალციხის რაიონის პროკურორი შ. გელაშვილი.

საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში, — აღნიშნა მომხსენებელმა, — მნიშვნელოვანი როლი სოციალისტურ კანონიერებას ენიჭება. ახალციხის რაიონის ადმინისტრაციულმა ორგანოებმა—პროკურატურამ, სასამართლომ და მილიციამ ფართო საზოგადოებრივობაზე დაყრდნობით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელეს საბჭოთა კანონიერების განმტკიცებისა და დანაშაულთა აღკვეთის საქმეში, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად შემცირდა ისეთი

საშიში დანაშაულობანი, როგორცაა ძირცვა, გაფლანგვა, ქურდობა და ხულოვნობა.

რაიონის პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოები ძირითადად სწორად წყვეტენ მათ წინაშე მდგარ ამოცანებს, მაგრამ მათ მუშაობაში შეიმჩნევა ნაკლოვანებანიც. პროკურატურას მიმდინარე წელს საქმეთა არახარისხიანად გამოძიების გამო დამატებით გამოძიებაში დაუბრუნდა 5 საქმე.

არასახარბიელოდ მუშაობს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროსთან არსებული ახალციხის საგამომძიებლო ჯგუფი.

ადგილი აქვს მოქალაქეთა უსაფუძვლოდ დეკავებისა და გაჩხრეკის შემთხვევებს, მისჯილ პირთა მიმართ დაძებნა-დაპატიმრებაზე სათანადო ზომების მიუღებლობას. ა. ა. აივაზიანი, რომელსაც მისჯილი ჰქონდა ორი წლით პატიმრობა, ყოველდღე ქალაქის რესტორნებში ქეიფობდა, მის მიმართ კი საკავშირო ძებნა იყო გამოცხადებული. აღნიშნული პირი სხვა უკანონო მოქმედებაზე ასპინძის მილიციამ დააკავა. აივაზიანი დეკავების ოთახიდან გაექცათ ისე, რომ მილიციის მუშაკებმა არ იცოდნენ, რომ მას

მიმართ ძებნა არსებობდა. ბოლოს, როგორც იქნა აიგაზიანი დააკავეს რესტორანში.

ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს მილიციის სოციალისტური საკუთრების მტაცებლობის და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილება.

რაიონში ადგილი აქვს სოციალისტური კანონიერების დარღვევის ფაქტებს, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა მეტად სუსტად მიმდინარეობს.

მომხსენებელმა გარკვეული ადგილი დაუთმო სახელმწიფო დავალებებისა და გეგმების შესრულების საკითხს. გეგმა კანონი და კანონის შეუსრულებლობის უფლება არავის არა აქვს. ახ. შ. გელაშვილმა მოიყვანა მთელი რივი საგულისხმო ფაქტები, როდესაც დაწესებულებები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დაკისრებულ გეგმებს არ ასრულებენ, მთელ რიგ პასუხსავე ამოცანებს ზერელედ და უგულისყუროდ ეცედიან. ახ. შ. გელაშვილი შეეხო აგრეთვე წარმოება-დაწესებულებებში შრომის დისციპლინის საკითხს.

ილაპარაკა რა დიდსა და სასარგებლო მუშაობაზე, რასაც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ეწევიან სახალხო რაზმელები, ახ. შ. გელაშვილმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ ცუდად არის დაკავშირებული მოსახლეობასთან, არ სწავლობს პირობებს, რომლებიც ხელს უწყობენ სამართლის დარღვევას. საწარმოთა და დაწესებულებათა ზოგიერთი ხელმძღვანელები რაზმელებად გამოპოყფს შემოწმებელ პირებს, რომლებიც ხშირად თვითონ არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს.

საზოგადოებამ ფაქტის წინაშე უნდა დააყენოს ყოველი მოქალაქე, დაარწმუნოს, რომ კანონის წინაშე ყველა თანაბარია.

მომხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

სიტყვით გამოდის ახალციხის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე **ლ. ჯღარკავა**.

ხელმძღვანელობს რა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით, ახალციხის რაიონის სახალხო სასამართლო სერიოზულ ღონისძიებებს ახორციელებს ახალი ამოცანების შესაბამისად მუშაობის გარდაქმნისათვის. ძირითადად აღმოფხვრილია საშიშ დამნაშავეებზე შედავათების გავრცელების არასწორი პრაქტიკა. იმ პირთა მიმართ, კი, რომლებმაც პირველად ჩაადინეს ნაკლებად საშიში დანაშაული და შეიგნეს ის, ზორციელდება ისეთი ღონისძიებანი, როგორცაა დამნაშავის გადაცემა ორგანიზაციებსა და კოლექტივებზე ხელახალი აღზრდისათვის, ან ისეთი სასჯელის შეფარდება, რაც იზოლაციასთან არ არის დაკავშირებული.

ჩვენ სასამართლოს მუშაკებს კარგად ესმით, რომ დასაბუთებული და კანონიერი განაჩენი


მასებში ნერგავს პატივისცემას საბჭოთა კანონიერებისადმი, იმ ორგანოებისადმი, რომლებიც იბრძვიან დანაშაულთა აღკვეთისათვის. მცირე შეცდომაც კი სასამართლოს მხრივ, მოქალაქის უკანონო იზოლაციის ყოველი ფაქტი იწვევს სამართლიან აღშფოთებას და უკმაყოფილებას. ყოველი გაუქმებული განაჩენი ან გადაწყვეტილება ეს წუნი სახალხო სასამართლოს მუშაობაში.

სასამართლოში საქმის განხილვის დროს საზოგადოების მონაწილეობა ჯერ კიდევ ნაკლებია, საზოგადოებრივი ბრალმდებლისა ან საზოგადოებრივი დამცველის გამოყოფა ხშირად ავიწყდება წარმოება-დაწესებულების, საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებს.

ახალციხის რაიონილიციის უფროსმა **პ. ლეკიშვილმა** აღნიშნა, რომ ახალციხის რაიონილიციის განყოფილების მიერ შემუშავებული იქნა ოპერატიული გეგმა, რომელიც მიმართული იყო სისხლის სამართლის დანაშაულობათა წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისა და რაიონში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის. ზემოაღნიშნულმა სასურველი შედეგი გამოიღო და მიმდინარე წელს გასულ შესაბამის ბერიოდთან შედარებით სისხლის სამართლის დანაშაულობანი შემცირებულია. ჯერ კიდევ არაღმარაგაყოფილებელია ფასების დამახინჯებისა და სპეკულაციის ფაქტების გამოვლინების შემთხვევები მიუხედავად ამისა, რომ ხშირად ტარდება რეიდები საზოგადოების აქტივის მონაწილეობით. ამ მიმართულებით საჭიროა გარდაიქმნას მუშაობა.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ მუშაობას სწორად წარმართვისათვის ძირითადად და გადაწყვეტს კადრები წარმოადგენენ და სწორედ ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ კადრების სწორად შერჩევის, აღზრდისა და განაწილების საქმეს, ლაპარაკობს ახალციხის რაიონკომპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე **გ. მუმლაძე**. თუ წარსულ წლებში ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მატერიალურად პასუხსაგებ სამუშაოებზე მუშაკების ხელაღებით მიღებას, ამჟამად რაიონკომპკავშირში შექმნილია სპეციალური საატესტაციო კომისია, რომელიც ამა თუ იმ პირის სამუშაოზე მიღების საკითხს წყვეტს მილიციისა და სხვა ორგანოებთან შეთანხმებით. ასეთმა მეთოდმა საუკეთესო შედეგი გამოიღო.

ახალციხის საწარმოო სამმართველოს პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე **შ. ბლიაძემ** თავის გამოსვლაში განიხილა ახალციხის საწარმოო სამმართველოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის მუშაობა და შეჩერდა



პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის დადებით და ნაკლოვან მხარეებზე.

უნდა აღნიშნოთ ისიც, თქვა ამხ. ბლიაძემ, რომ ზოგიერთი წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები არღვევენ შრომის კანონმდებლობას და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან თანხმობის გარეშე სამუშაოდან ხსნიან ან აქვეითებენ მუშაკებს. ეს დიდი ნაკლია და უნდა აღმოიფხვრას.

ვალის საკომლურნეო პ/პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ს. ხითაიშვილმა თავის გამოსვლაში ილაპარაკა კომლურნეობაში ჩამოყალიბებული წესრიგის დაცვის მოხალისეთა რაზმის აქტიურ და ნაყოფიერ საქმიანობაზე.

ცხადია, მარტო დასასჯელი ღონისძიებებით შეუძლებელია მივალწოთ დამნაშავეთბისა და სხვა ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა სრულ ლიკვიდაციას, აღნიშნა ახალციხის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ლ. ისაყაძემ. საჭიროა გავაუმჯობესოთ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, განსაკუთრებით სახალხო რაზმეულებისა და ამხანაგური სასამართლოების მუშაობა, რომელთაც შეუძლიათ აქტიური დანხარება გაუწიონ ადმინისტრაციულ ორგანოებს. სშირია შემთხვევები, როდესაც ამხანაგური სასამართლოები ფორმალურად არსებობენ.

რაიონში მომხდარ დანაშაულობათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ დანაშაულს და ანტისაზოგადოებრივ ქმედობას სშირად ჩაღიან უსაქმური და პარაზიტი ელემენტები, ისინი ვინც არ ეწვეიან საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას.

სშირია შემთხვევები, როდესაც ხელმძღვანელები მუშაკები გაუმართლებელ ლიბერალიზმს იჩენენ ასეთ პირთა მიმართ. მილიციის განყოფილების მონაკვლევით მასალებით და პროკურატურის სასაქციით მიმდინარე წლის მარტში რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით გასახლებული იქნა მოქალაქე მელიქსეტიანი. იგი არსად არ მუშაობდა, ოჯახში შეურაცხყოფდა მეუღლესა და ოჯახის წევრებს, სიკვდილით ემუქრებოდა მათ. მელიქსეტიანი გასახლებული იქნა, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ კი მისი მეუღლე აგროვებს საბუთებს მისი ვადამდე აღრე დაბრუნებაზე გადასახლების ადგილიდან. მას შემადგომლობაე კი მისცეს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მიერ დამოწმებული.

პარტიული აქტივის კრების მიერ მიღებულ იქნა რეზოლუცია ზემოთ აღნიშნულ საკითხზე.

ლ. ზანტაშვილი

\* \* \*

1965 წლის 1 ივნისს მშრომელთა დებუტატების კიროვის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომის სესია შესავალი სიტყვით განხსნა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ქუტიამ.

მოსხენებით „რაიონში დანაშაულობათა მდგომარეობისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ“ გამოვიდა ქ. თბილისის კიროვის რაიონის პროკურორი ა. გვგია.

უკანასკნელი წლების მანძილზე, — ამბობს ამხ. ა. გვგია, — დიდი მუშაობა განხორციელდა სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის, მილიციის, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების მუშაობის გასაუმჯობესებლად. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულებისა და ამხანაგური სასამართლოების საქმიანობას, რომელთა მოვალეობაა დაამყარონ სანიმუშო წესრიგი მათ სამოქმედო უბანზე, თვალყური ადევნონ იმას, რომ დაცული იქნეს მოქალაქეთა უფლებები და ინტერესები. ჩვენს რაიონში 2500 სახალხო რაზმელია და 72 ამხანაგური სასამართლო, რომელიც აერთიანებს 430 წევრს. საუკეთესოთა შორის მომხსენებელი ასახელებს საიუველირო ფაბრიკის, ტყავის პირ-

ველი და მეორე ქარხნების, სააღმწენებლო ბანკის რაზმეულებს. ზოგიერთი რაზმელი ხულიგნების წინააღმდეგ მებრძოლად ვერ გამოდგება. სახალხო რაზმელი უწინარეს ყოვლისა თვითონ უნდა იყოს სანიმუშო, როგორც დისციპლინის, ისე საზოგადოებრივი საქმიანობის მხრივ. მაგრამ ზოგი ვერ იჭერს თავს საზოგადოებაში, თვით არღვეს წესრიგს, ლოთობს და აყალბაყალს ტეხს. ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ელექტროავტომატის ქარხნის მუშამ, კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირმა ა. ჟამიერაშვილმა ჩხუბი ატეხა სასადილოში, ბოთლების სროლის შემდეგ მძიმედ დაჭრა იქ მყოფი მოქალაქეები, ხოლო სასამართლო პროცესზე ბრალდებულთა „დამცველად“ გამოვიდა და წინააწარ შეცნობით ცრუ ჩვენება მისცა სასამართლოს, რათა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ეხსნა ხულიგნები.

მთელი რიგი ამხანაგური სასამართლოები კარგად მუშაობენ, სწორად აქვთ გაგებული თავისი მოვალეობანი სოციალისტური კანონიერებისათვის ბრძოლაში. ასეთებია: 41, 42, 43 სახლმართველობების, ბამბის, ძაფსართავი ფაბრიკის, № 2 სატრიკოტაჟო ფაბრიკის ამხანაგური სასამართლოები.

მაგრამ რა შეიძლება ითქვას პლასტმასის ქარ-

ხანასთან არსებული ამხანაგური სასამართლოს მუშაობაზე, რომელსაც 9 თვის განმავლობაში არც ერთი საქმე არ განუხილავს; რეზინის ნაწარმის ქარხნის ამხანაგური სასამართლოს ამავე ვადაში მხოლოდ ორი საქმე აქვს განხილული. აი, სწორედ ამითაც არის გამოწვეული, რომ რაიონის მთელ რიგ ფაბრიკა-ქარხნებში ადგილი აქვს სახელმწიფო ქონების წვრილმანი გატაცების ფაქტებს.

სახალხო რაზმეულები და ამხანაგური სასამართლოები ფართოდ უნდა იყენებდნენ შეძენილ გამოცდილებას, სრულყოფდნენ და დაუღალავად ეძებდნენ ახალ ფორმებს აღამინათა ყოფაქცევაზე აქტიური ზემოქმედების მოსახლენად.

ამხ. ა. გეგიაძე ყურადღება მიაპყრო განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა ფაქტებს. გამოძიების მასალები ცხადყოფენ, რომ ძირითადი მიზეზები, რომლებიც ხელს უწყობენ პირიქების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს არის ზულიანობა. საგამომძიებლო ორგანოებიდან სასამართლოში წარმართულ მკვლელობისა და სხეულის დაზიანების თითქმის ყოველი საქმე ზულიანობის ნიადაგზეა ჩადენილი. ამიტომაც ზულიანობის წინააღმდეგ ბრძოლა სასტიკი რევოლუციით უნდა წარმოებდეს. მათ წინააღმდეგ საბრძოლველად ადმინისტრაციული ორგანოების ზემოქმედებასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ ძალას. მომხსენებელი ზულიანობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით სესიაზე განსახილველად აყენებს საკითხს: ზულიანური ქმედობის დროს დამნაშავე პირთან ერთად პასუხი მიეთხოვოს იმ წარმოება-დაწესებულებებს ხელმძღვანელებს, პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს, იმ კოლექტივს, სადაც ისინი მუშაობენ ან სწავლობენ.

ამხ. ა. გეგიაძე ლაპარაკობს მოძვე რესპუბლიკათა პროფკავშირულ ორგანიზაციის ნაცად საშუალებებზე: უკრაინის სსრ საწარმო-დაწესებულებებში წესრიგის დამრღვევთ არ აძლევენ კუთვნილ შევებულებებს, საცხოვრებელი ბინის მიღების რიგი გადააქვთ სულ ბოლოს და ა. შ. ყოველივე ეს გათვალისწინებულია მათ კოლექტიურ ხელშეკრულებებში. საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევ სტუდენტებს არ აძლევენ სტიპენდიას და სხვ.

სისხლის სამართლის დანაშაულს უმეტესად არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეები და ის პირები ჩადიან, რომლებიც არ მუშაობენ და ეწვეიან პარაზიტულ ცხოვრებას. საჭიროა ფართო საზოგადოებრიობის დახმარებით გამოვავლინოთ უსაქმურები, ჩაებათ ისინი სასარგებლო შრომაში, მივალწიოთ იმას, რომ ჩვენნი რაიონის ყველა შრომისუნარიანი პირი

საზოგადოებრივად სასარგებლო მუშაობაში იღებდეს მონაწილეობას. ამით ორი საქმე გაკეთდება: ჯერ ერთი, საგრძნობლად გადიდება შრომის ნაყოფიერება და მეორეც შემცირდება დანაშაულის ჩადენის რიცხვი.

რაიონში გარკვეული მუშაობა ჩატარებული არასრულწლოვანთა შორის დანაშაულობათა აღკვეთა — აცილებსათვის, ბავშვთა სწავლისა და შრომაში ჩაბმისათვის. ამ მიმართულებით არ შეიძლება არ აღინიშნოს კიროვის რაიონის მილიციის განყოფილებასთან არსებული ბავშვთა ოთახისა და რაისაბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა განყოფილების მუშაობა. მათ მიერ გასულსა და მიმდინარე წლის ოთხ თვეში გამოვლინებული და სამუშაოზე მოწყობილი იქნა 400 მოზარდი.


ახალგაზრდობის აღზრდაში დიდი როლი ეკუთვნის ოჯახს, მშობლებს, სკოლას. სწორედ აქ ეყრება საფუძველი მათ მსოფლმხედველობას და ზნეობას. 70-ე საშუალო სკოლის მოსწავლეთა კომკავშირებმა — მორაზვამა და რევაზოვმა გატეხეს სკოლის კაბინეტი და მოიპარეს მცირე კალიბრისანი შაშხანები. მორაზოვი ადრეც იყო შემჩნეული ქურდობაში სკოლის დირექტორის მიერ, მაგრამ მის მიმართ არავითარი ქმედითი ღონისძიება არ გატარებულა, არც მშობლებს შეუწყუხებიათ თავი შვილების ყურადღებისათვის. ასეთი ფაქტები არც ისე იშვიათია.

არ შეიძლება არ აღინიშნოს წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელობის, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების არასათანადო მუშაობა ამ ხაზით. ზოგიერთი მათგანი არასრულწლოვანთა შრომაში ჩაბმის საქმეს არაფულისმიერად ეკიდება, არ ზრუნავს მოზარდთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, უარს ამბობენ არასრულწლოვანთა სამუშაოზე მიღებაზე ან კიდევ ცოტადენი დარღვევების გამო ითხოვენ მათ სამუშაოდან.

ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს მოზარდზე და ისინი თავს ანებებენ რა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას ეწვეიან პარაზიტულ ცხოვრებას, უსაქმურობას და ზოგჯერ სისხლის სამართლის დანაშაულსაც კი ჩადიან.

ჩვენ ვაღიბებულნი ვართ გავაძლიეროთ ახალგაზრდა თაობის იდეური აღზრდა, ვებრძოლოთ არაჯანსაღ განწყობილებას მათ რიგებში, აღმოზარდოთ მტკიცე და გაბედული, იდეურად გამოწრთობილი ახალგაზრდობა.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის უზრუნველყოფისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობა აქვს მოსახლეთა და ცივი აზრალის ამოღებას.



ყველასათვის ცნობილია, განაგრძობს ამხ. ა. გევია, რომ კიროვის რაიონში ყველაზე მეტად არის გავრცელებული სპეკულაცია. ჩვენს რაიონში არიან ადამიანები, რომლებიც გაურბიან საზოგადოებრივად სისარგებლო შრომას, ცხოვრობენ სხვის ხარჯზე, სპეკულანტები დიდ ზიანს აყენებენ ჩვენს სახალხო მეურნეობას, სახელს უტეხენ საბჭოთა ვაჭრობას, ჩვენი რაიონისა და დედაქალაქის ღირსებას და ძარცვავენ მომხმარებლებს. ისინი მოურიდებლად გამოდიან ქუჩებში, მაღაზიების წინ და ეწევიან აშკარა სპეკულაციას.

ძირითადი მიზეზი სპეკულაციის გავრცელებისა ჩვენს რაიონში უნდა ვეძიოთ იმაში, რომ მათ წინააღმდეგ ბრძოლას გააჩნია ლიბერალიზმი, არ ხდება მათი გამოვლინება და კანონის შესაბამისად დასჯა. საჭიროა გამოვავლინოთ სპეკულაციის წყარო და მთელი სისასტიკით ვებრძოლოთ მას.

შემდეგ მომხსენებელი ეხება სოციალისტური საკუთრების დაცვის გაძლიერების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების მტაცებელთა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის, საზოგადო ქონების განიავების, წარმოების წუნის, ზომიწონაში მოტყუების საკითხებს.

როგორც ამხ. ა. გევია აღნიშნავს, დამნაშავეობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა ლიკვიდაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მილიციის, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების გამართულ მუშაობას.

არის შემთხვევები, როცა ეს ორგანოები მეტისმეტად აჭიანურებენ საქმეთა გამოძიებასა და განხილვას, არასაკმარისია მათ მიერ გატარებული პროფილაქტიკური ღონისძიებანი, იშვიათად გამოდიან მოსახლეობაში ლექცია-მოსხენებებით სამართლებრივ თემებზე, არადაამკაცოფილებლად სწარმოებს კანონის პროპაგანდა მოსახლეობაში და სხვა.

მოხსენების დასასრულს ამხ. ა. გევია აღნიშნა, რომ კიროვის რაიონის პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოები საზოგადოების ფართო მასების მხარდაჭერით აღმოჩნდებიან პარტიისა და ხალხის მოწოდების სიმალლეზე საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების ბრძოლის საქმეში.

მოხსენებას ცხოველი კამათი მოჰყვა.

კამათში გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს, რომ ბრძოლა იმის წინააღმდეგ, ვინც აშკარად ფეხქვეშ თელავს საზოგადოებრივ ინტერესებს უფრო წარმატებით განხორციელდება, თუ ადმინისტრაციული ორგანოები, საზოგადოებრიობა უფრო სწრაფად, ოპერატიულად გაოთხმურება ანტისაზოგადოებრივი მოქმედების ფაქტებს. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ბრძოლა ყოველი საბჭოთა ადამიანის წმიდათა წმიდა მოვალეობაა.

დამნაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში, ამბობს თბილისის მილიციის სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი ნ. ჯინჭარაძე, წარმატებებს ვერ მივაღწევთ თუ მთელი სიგრძე-სიგანით არ დაგვაყენებთ და წინა ადგილზე არ წამოვწევთ საზოგადოებრივი აზრის შექმნისა და ზეგავლენის მოხდენის საკითხს. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ზოგიერთი წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელები აღნიშნულ საკითხს მეორეხარისხოვან საქმედ თვლიან და უყურადღებობას იჩენენ. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მიმდინარე წლის ხუთი თვის განმავლობაში მილიციის რაიგანყოფილების მიერ 96 წესრიგის უხეშ დამრღვევ მოქალაქეზე გაიგზავნა შეტყობინების წარმოება-დაწესებულებებში, პასუხი კი მხოლოდ 29 გამოავაზენეს. ასეთ „მეგობრულ“ დემილს რა თქმა უნდა ყოველთვის ცუდი შედეგი მოჰყვება.

ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს საქმიანობაზე შეკრებილთ ესაუბრა სასამართლოს თავმჯდომარე ვ. არავიაშვილი.

საინტერესო იყო ტყავის საწარმოთა გაერთიანების № 1 ფილიალის დირექტორის ვ. ჯიჭიძის გამოსვლა. მან ილაპარაკა მუშა-მოსამსახურეთა შორის საზოგადოებრივი ქონების გატაცების, ხულიგნობის, ლოთობისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედობათა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციაზე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე დეპუტატებმა ვ. ჯიჭიამ, ა. მეტრეველმა, დ. მარაზოვსკიმ.

სესიამ მიიღო გადაწყვეტილება განხილულ საკითხზე.

### საზოგადოებრივების უპირთი კალა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟთან ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩამოყალიბდა იურის-კონსულტთა საბჭო, რომელიც მოწოდებულია აქტიურად იბრძოდეს არბიტრაჟის ორგანო-

ბის საქმიანობაში საზოგადოებრივი საწყისების დანერგვისათვის, სამეურნეო დაეათა გადაჭრისას დაშვებული ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის, საწარმოებსა და ორგანიზაციებში

საქართველო  
საგარეო ურთიერთობების  
მინისტროს

სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

უწყობს რა ხელს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში სოციალისტური კანონიერების ურყევად ვატარებას, იურისკონსულტთა საბჭო ამასთანავე წარმოადგენს მორგანიზებულ და ხელმძღვანელ შტაბს ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებსა და ორგანიზაციებში იურიდიული სამსახურის სათანადოდ წარმართვის საქმეში.

იურისკონსულტთა საბჭოს წინაშე დასმულია ამოცანა შეისწავლოს და განზოგადოს საწარმოთა ეკონომიკის განმტკიცებაში სამართლებრივ საშუალებათა უქვეყნად გამოყენების გზები და საშუალებანი, აღკვეთოს სოციალისტურ ორგანიზაციათა სამეურნეო ურთიერთობაში არასწორი დამოკიდებულება და სადავო საკითხთა უსწორო გადაწყვეტა, მონაწილეობა მიიღოს ხსენებულ დამოკიდებულებათა სამართლებრივი რეგულირების სრულყოფილ ნორმათა შემუშავებაში, განამტკიცოს შრომის კანონმდებლობის განუხრელი დაცვა.

საბჭოს მიერ შესწავლილ იქნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟში სამეურნეო დავათა აღძვრის პრაქტიკა, რომლის დროსაც გამოირკვა, რომ ამ დავათა თითქმის 25 პროცენტი უსაფუძვლოა და მტკიცებას მოკლებულია. შემოწმებული იქნა აგრეთვე საწარმოებში შრომის კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობა, რომელმაც ცხადყო ამ კანონმდებლობის უხეში დარღვევის ზოგიერთი ფაქტი. ამ რამოდენიმე ხნის წინათ ქ. ჭიათურაში მოეწყო მარგანეცის მალარობებში უსაფრთხოების ტექნიკის წესების ვატარებისა და ზიანის მიყენების გამო

ზარალის ანაზღაურების საქმეთა შესწავლა, რაც განზოგადებული იქნა ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა და ორგანიზაციათა იურისკონსულტების კვალიფიკაციის ასამაღლებელ თაბიტი-სემინარზე, რომელიც ამ ქალაქში იქნა ჩატარებული.

მრეწველობის მართვის ახალ ფორმებზე გადასვლასთან დაკავშირებით ამ მოკლე დროში განზრახულია შესწავლილ იქნას ცალკეულ სამინისტროების საზით უხარისხო პროდუქციის გამოშვებისა და სახელმწიფოებრივ ვალდებულების დარღვევის გამო გადახდილ ჯარიმების და გაწეულ სხვა უნაყოფო ხარჯების მდგომარეობა.

თავის მუშაობაში იურისკონსულტთა საბჭო ეყრდნობა სამეურნეო და სამართლებრივ დარგის მუშაკთა ფართო საზოგადოებრიობას. ზოგიერთ ქალაქებში — ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ჭიათურაში, ზესტაფონსა და რუსთავში ორგანიზებულია საბჭოს ბიუროები (ფილიალები), რომელნიც აქტიურ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ადგილებზე იურიდიული სამსახურის განმტკიცებისათვის.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იურისკონსულტთა საბჭო სამეურნეო და საწარმოთა იურიდიულ მუშაკთა ფართო საზოგადოებრიობის მხარდაჭერით შესრულებს მის წინაშე დასახულ ამოცანებს, სათანადო დონეზე აიყვანს ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა და ორგანიზაციების იურიდიულ სამსახურს და ამით თავის წვლილს შეიტანს სახალხო მეურნეობის ეკონომიკის განმტკიცების საქმეში.

**ნ. შირაძე**

იურისკონსულტთა საბჭოს თავმჯდომარე

## გეგმიური სამართლებრივი მუშაობის კანონმდებლობის პროპაგანდა

სამართლის ცოდნის სახალხო უნივერსიტეტის მუშაობის გამოცდილებიდან


საქართველოს კე ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს მიერ 1963 წლის 19 აპრილის დადგენილებით საზოგადოება „ცოდნას“ საქალაქო განყოფილებასთან და პოლიტიკური განათლების კაბინეტთან შეიქმნა სამართლის ცოდნის სახალხო უნივერსიტეტი, რომელშიც გაერთიანებულია 67 მსმენელი. მსმენელთა შორის არიან ქალაქის წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, პროფკავშირული მუშაკები, ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეები და სხვ. უნივერსიტეტის ლექტორებად დამტკიცებული არიან პარტიული ორგანოების, პროკურატურისა და სასამართლოს მუშაკები. უნი-

ვერსიტეტი მუშაობს კვარტალური გეგმებით. შემუშავებულია ჩასატარებელი ლექციების თემატიკა, ლექციებთან ერთად ტარდება სემინარული მეცადინეობები.

უნივერსიტეტმა მუშაობის საკმაო გამოცდილება დააგროვა. ლექციები ტარდება მაღალხარისხოვანად. ლექციები უკავშირდება ქალაქის სინამდვილეს.

შექმნილია აგრეთვე სამართლის ცოდნის პროპაგანდის მუდმივმოქმედი ლექტორიუმი, რომლის სამუშაო გეგმა წინასწარ ეგზავნება წარმოება-დაწესებულებებს. დაინტერესებულ პირებს საშუალება აქვთ მოემზადონ ლექცია-





მოხსენებისათვის. სახალხო უნივერსიტეტის ლექტორთა ძალებით ლექციები ჩატარებული იქნა საავტომობილო, ელექტრომექანიკური, საკონსერვო, ლიტონის, სატრაქტორო ქარხნებში, აბრეშუქობაში, მადის, სამკერვალო, საკონდიტრო და სხვა ფაბრიკებში, აგრეთვე ქუთავარობისა და სასაიდლოების ტრესტის მუშაკებისათვის. ლექციები წავითხული იქნა თემებზე: „საზოგადოებრიობის როლი დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში“, „საზოგადოების მონაწილეობა დანაშაულთა გახსნასა და გამოძიებაში“, „საბჭოთა კანონმდებლობა შრომის დაცვის საკითხების შესახებ“, „საეკულაციისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა“, „პასუხისმგებლობა მექრთამეობისა და სახელმწიფო ქონების გატაცებისთვის“, „ამხანაგური სასამართლოები, სახალხო რაზმეულები და მშრომელთა სხვა ორგანიზაციები საბჭოთა კანონიერების დაცვის სადარჯოზე“, „საბჭოთა კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებიც ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან“ და სხვა. ლექცია-მოსხენებებს ხშირად ატარებენ პროკურატურისა და სასამართლოს მუშაკები **ბ. ჩეჩელაშვილი, გ. ვაჭარაძე, ბ. ცხელაშვილი, ბ. სტურუა** და სხვები.

უნივერსიტეტში სემინარული მუშაობის დროს ლექტორებს მოჰყავთ ფაქტები ქალაქში შემჩნეულ და გამოვლინებულ სამართლის დარღვევებისა და დამნაშავეობის შესახებ; ყურადღებას ამახვილებენ — მტაცებლობის, მკვლელობის, ხულიგნობის, საეკულაციის, ვაჭრობის წესების უხეშად დარღვევის შემთხვევებზე და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ქალაქში გატარებული ერთობლივი ღონისძიებების შედეგად დანაშაულის საერთო შემცირებას აქვს ადგილი, ასევე შემცირდა განსაკუთრებით საშიში სახის დანაშაულობანი.

უნივერსიტეტის მსმენელთა და სახალხო რაზმელთა მიერ ქალაქში მომხდარი ბევრი დარღვევა იქნა თავიდან აცილებული.

საბჭოთა კანონმდებლობის ფართო პრობა-

ვანდისათვის კარგად ვიყენებთ უნივერსიტეტის საღამოებს. ერთ-ერთ ასეთ საღამოზე, რომელიც მთლიანად მიეძღვნა საბჭოთა კანონმდებლობასა და სხვადასხვა იურიდიულ საკითხებს, 70-ზე მეტი შეიკითხა იქნა შემოტანილი, რომლებზეც ამომწურავი პასუხები გასცეს პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოების მუშაკებმა.

სამართლის ცოდნის სახალხო უნივერსიტეტის ლექტორები, საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდისა და მოსახლეობაში სამართლის ცოდნით გამტკიცების მიზნით ხშირად აქტუალური ხასიათის სტატიებით გამოდიან პრესის ფურცლებზე. მართო მიმდინარე წელს გაზეთებში — „ქუთაისსა“ და „კუთაისკია პრავდაში“ დაიბეჭდა 40-მდე სტატია და წერილი, რომელთა ავტორები არიან სახალხო მოსამართლეები — ა. რობიძე, ბ. სტურუა, პროკურატურის მუშაკები — ა. ყდვრია, გ. ვაჭარაძე, მილიციის მუშაკები — გ. შალამბერიძე, გ. თელია და სხვები. ვიყენებთ ადგილობრივ რადიო გადაცემებს.

ქ. ქუთაისის პროკურორის მოადგილის მ. ცქიფურიშვილის ლექცია თემაზე „დამნაშავეთა ფაქტეზე უნდა იწოდეს მიწა“ რადიოთი იქნა გადაცემული ცენტრალურ სტადიონზე, სადაც რამდენიმე ათასი მსმენელი ესრებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წელს სამართლის ცოდნის სახალხო უნივერსიტეტი საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკური განყოფილების მიერ პრემიერებული იქნა კარგი მუშაობისათვის. მიმდინარე წლის 19 თებერვალს მოეწყო უნივერსიტეტის მსმენელთა გამოშვება, მსმენელებს საზეიმო ვითარებაში დაურიგდათ უნივერსიტეტის დამთავრების მოწმობები.

მიმდინარე წელს ახალი ნაკადი ას მსმენელამდე გაიზარდა; მუშაობის გამოცილებება საშუალებას მოგვცემს უკეთ ორგანიზებული გავხადოთ უნივერსიტეტის საქმიანობა, რაც ხელს შეუწყობს განმტკიცდეს კანონიერება ჩვენს ქალაქში, ავღზარდოთ მასებში საბჭოთა კანონმდებლობისადმი პატივისცემა.

**შენცდომის გასწორება**

ყურნალ „საბჭოთა სამართლის“ 1965 წლის მე-4 ნომერში გამოქვეყნებული იყო ინფორმაცია მაცაშვილისა და ტყემელიძის წიგნის განხილვის თაობაზე. ინფორმაციაში გაპარულია შეცდომა. 91-ე გვ. მე-4 აბზაცში წერია: „დოც. ბ. ხარაზიშვილის მოსაზრება მექრთამეობის ორმხრივ დანაშაულად ცნობის შესახებ შეცდომაა, ჯერ ერთი . . . .“ უნდა იყოს: „დოც. ბ. ხარაზიშვილის აზრით, მექრთამეობის ორმხრივ დანაშაულად ცნობა შეცდომაა. ამ აზრის დასამტკიცებლად დოც. ბ. ხარაზიშვილმა მოიყვანა შემდეგი მოსაზრებები: ჯერ ერთი . . .“.

6 106/20



ფან 50 კპკ.

ИНДЕКС 76185

# СОВЕТСКОЕ ПРАВО № 5

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР  
и Юридической комиссии при Совете Министров  
Грузинской ССР